ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

უნივერსიტეტი

26 ნოემბერი, სამშაბათი, 2013 წ., №16

ლადო ჭანტურია:
„სამართლის და სახელმწიფოს განვითარების თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების შეცვლა მოხდა კონსტიტუციური გზით, ეს უკვე სახელმწიფოს სიმწიფის დასტურია და ხელს შეუწყობს საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას“.

გვ. 11

ლაურა კუტუბიძე:
„უნივერსიტეტთან დაკავშირებული ნებისმიერი თემა, ისე, როგორც ყველა სხვა თემა, რომელიც ე.წ. სახელისუფლებო ბატალიებს არ ასახავს, რჩება მედიის ყურადღების მიღმა“.

გვ. 6

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ჩანართი

რექტორობის 100 დღე

გვესაუბრება თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

100 დღე, ერთი მხრივ, საკმაოდ დიდ დროს მოიცავს, მაგრამ ძირეული რეფორმების გატარებისთვის ეს მაინც მცირე პერიოდია.

წლების შემდეგ, საუნივერსიტეტო საზოგადოებამ პირველად იგრძნო, რომ საქმე დაიძრა. გასულ წლებში იმის ხიბლი გვქონდა ყველას, რომ თუ დიდად არაფერი კეთდებოდა, არაფერი ფუჭდებოდა მაინც, რაც თვითკმაყოფილებისთვის, თავისთავად, არასწორი საფუძველია. დღეს კი შეფასების სხვაგვარ ხედვასა და პრინციპს გვთავაზობს რექტორი ლადო პაპავა, რომელიც პოსტზე მისი მოსვლიდან 100 დღის ანგარიშს საზოგადოებას აბარებს.

მე-7-10 გვერდზე

რა არის დადებითი და რა — უარყოფითი ფაკულტეტების დაყოფის ამა თუ იმ მოდელში?

დისკუსია

ხელოვნურად გაერთიანებული ფაკულტეტების დაშლა-დაყოფის მართლზომიერებაზე დღეს უნივერსიტეტის არაერთი პროფესორი საუბრობს, თუმცა ყველა მომხრეა, რომ ჩატარდეს პროფესურის საფუძვლიანი გამოკითხვა და გაიმართოს დისკუსია თემაზე — რა არის დადებითი და რა — უარყოფითი ფაკულტეტების დაყოფის ამა თუ იმ მოდელში? რითი სჯობს ერთი მოდელი მეორეს? გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ სწორედ ამ მისიას კისრულობს და ამ მეტად საჭირბოროტო საკითხის ირგვლივ ფართო დისკუსიას შლის.



მე-3-4 გვერდზე

საუნივერსიტეტო საზოგადოებას შეუძლია მახათას მთაზე სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის მონაწილე გახდეს გვ. 12

ნომერში

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს დეკანის მოვალეობის ახალი შემსრულებელი ჰყავს 13

საბიბლიოთეკო ფონდის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურით უზრუნველყოფა იგეგმება 2

ტელეკომპანია „ენკი-ბენკი“ თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს ტელეკომპანიაში სტაჟირების გავლას სთავაზობს 6

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანე — „დამოუკიდებლობის 1028 დღე“ 12

„კაკოს ეპოქა“ იურიდიულ ფაკულტეტზე 13

გზავნილი ადმინისტრაციას

რექტორთან შეხვედრის შემთხვევაში რა საკითხს წამოსწევთ? გვ. 13

დიდი ინტერესი და მცირე აუდიტორია

რექტორი სტუდენტებს შეხვდა გვ. 5

ახალი ინიციატივა

საბიბლიოთეკო ფონდის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურით უზრუნველყოფა იგეგმება

არაერთ სტუდენტს, არაერთხელ, საჯარო თუ პირად საუბრებში უთქვამს, რომ ზოგიერთ საგანში ძირითადი სახელმძღვანელოები მათთვის ხელმიუწვდომელია და ისინი არც თსუ-ის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში მოიპოვება. ამის მიზეზი, ძირითადად, გახლავთ ის, რომ სილაბუსში მითითებული ლიტერატურა ქართულ ენაზე არ არსებობს, უცხოენოვანია და ზოგიერთ შემთხვევაში საქართველოში მისი შეძენა შეუძლებელია. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით მიმდინარე წლის 4 ნოემბერს თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ „თსუ-ში საბაკალავრო პროგრამების კურსის სილაბუსში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურით საბიბლიოთეკო ფონდის უზრუნველსაყოფად გასატარებელი დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ ბრძანება გამოსცა. თსუ-ის რექტორის გადაწყვეტილებას სტუდენტები დადებითად აფასებენ, თუმცა ისინი უფრო დიდ მნიშვნელობას გაცემული ბრძანების ხარისხიანად შესრულებას ანიჭებენ.

ნატო ოგოლაძე

ზურაბ გაიპარაშვილი

ტარიელ ზარანდია

„სტუდენტებისთვის დიდი პრობლემაა, რომ ზოგიერთ საგნებში სახელმძღვანელოები არ არსებობს. ზოგჯერ, ლექტორებს ლექციებზე უცხოენოვანი მასალები შემოაქვთ, ძირითადად ინგლისურ ენაზე. ასეთ დროს ქულებს გვიმატებენ, თუმცა მათი გაცნობა იმდენად რთულია, რომ ხშირ შემთხვევაში ბავშვები დავალებებს კარგად ვერ ამზადებენ. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულებაზე ასევე არის საგნები, როდესაც ლექტორებს მათ მიერ მომზადებული გვერდნახევრიანი მასალები მოაქვთ (რაც ფაქტობრივად არაფრის მომცემია) და გვეუბნებიან — სურვილის შემთხვევაში, ესა თუ ის საკითხი უფრო ვრცლად უცხო ენაზე შეგვიძლია წავიკითხოთ. შესაბამისად, მასალების თარგმნისა და ძირითადი სახელმძღვანელოების თსუ-ის ბიბლიოთეკაში განთავსების ინიციატივას სტუდენტები მივესალმებით. მთავარია ეს ყოველივე ხარისხიანად გაკეთდეს, რადგან სახელმძღვანელოების პრობლემა თსუ-ში მწვავედ დგას და პირდაპირ აისახება უნივერსიტეტში არსებულ განათლების ხარისხზე“, — აღნიშნავს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების III კურსის სტუდენტი ანო მაჭავარიანი.

ვლადიმერ პაპავას 4 ნოემბრის ბრძანების თანახმად ვებ-გვერდზე — sms.tsu.ge ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსები ვერ აიტვირთება, თუ მათში მოცემული ძირითადი ლიტერატურა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში დაცული არ არის. ამ მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, თსუ-ის ბიბლიოთეკამ და ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტმა სპეციალური დავალება მიიღეს — 2014 წლის პირველ იანვრამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ბიბლიოთეკას დამტკიცებული სასწავლო კურსების სილაბუსების ელექტრონული ვერსიები უნდა მიანოდოს. თავის მხრივ, თსუ-ის ბიბლიოთეკა ვალდებულია 2014 წლის პირველ მაისამდე ელექტრონულ კატალოგებში, უპირველესად, ის წიგნები შეიტანოს, რომლებიც სილაბუსებშია მოცემული და თსუ-ის წიგნად ფონდშია დაცული. რაც შეეხება იმ სახელმძღვანელოებს, რომლებიც თსუ-ის ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მათ შეძენას გეგმავს.

1
მაისამდე სილაბუსებში მითითებული ყველა ლიტერატურის გაციფრულება გვევალება

„როდესაც ხარ ხელმძღვანელი საქართველოში ყველაზე ტრადიციული და ლიდერი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა, რომელიც ქვეყანაში პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შემდეგ, წიგნადი ფონდის მოცულობით, რიგით მეორეა და შენი მკითხველი — სტუდენტი ამბობს, რომ ბიბლიოთეკაში წიგნი არ არის, ამას ემოციის გარეშე ვერ შეხვდები. თუმცა, ჩვენ ამ საქმის სპეციალისტები ვართ და ნებისმიერი სტუდენტის ნათქვამს უნდა ვიღებდეთ, როგორც პრობლემის გაჩენის შესახებ სიგნალს. ამ დროისთვის, რექტორის ბრძანების თანახმად, ჩვენ ველოდებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს. მისი მიღების შემდეგ დავიწყებთ ელექტრონულ კატალოგთან მათ შედარებას, რომელშიც ახლა 40 000-ზე მეტი საბიბლიოთეკო ერთეულია ასახული. თუ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ჩვენს ელექტრონულ კატალოგში არ არის ატვირთული, მაგრამ ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში მოიპოვება, 1 მაისამდე ყველა მათგანის გაციფრულება გვევალება. ჩემი ფუნქცია სილაბუსების ანალიზი არ არის, მაგრამ ზოგიერთ მათგანში ძირითად ლიტერატურად დასახელებულია ისეთი სახელმძღვანელოებიც, რომლებიც საქართველოს ბაზარზე არ იყიდება. ასეთ შემთხვევაში სილაბუსის ავტორს რეკომენდაცია მიეცემა, რომ მოიძიოს შემცვლელი ლიტერატურა ან ერთობლივად ვითანამშრომლოთ და მისი რჩევით შევძლოთ ამ ლიტერატურის შეძენა. არსებობს მეორე პრობლემაც, როდესაც ძირითად სახელმძღვანელოდ უცხოენოვანი ლიტერატურაა მითითებული. ამიტომ ასევე არსებობს რექტორის ბრძანება, რომელიც აკადემიურ პერსონალს ქართულ ენაზე სალექციო კურსის შექმნას და ამ სასწავლო მასალის თსუ-ის ბიბლიოთეკაში განთავსებას ავალდებულებს, რათა იგი სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი გახდეს“, — განაცხადა თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

თსუ-ის რექტორის 4 ნოემბრის ბრძანება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებსაც ეხება. დოკუმენტის მიხედვით, მათ დამტკიცებული სილაბუსები ბრძანებასთან შესაბამისობაში 2014 წლის 1 სექტემბრამდე უნდა მოიყვანონ. წინააღმდეგ შემთხვევაში სილაბუსების sms.tsu.ge-ზე ატვირთვა ვერ მოხერხდება, შესაბამისი პროგრამის ამოქმედება კი თსუ-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს მომავალი წლის 1 მაისამდე დაევალა.

„ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებული გვაქვს. სილაბუსების ატვირთვა თსუ-ის ვებ-გვერდზე მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ მასში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში მოიძებნება. აუცილებელია, რომ სტუდენტისთვის ყველა ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომი იყოს. სწორედ ამიტომ სილაბუსის ატვირთვისას პროგრამა ძირითად ლიტერატურას დასახელების ან გამოცემის თარიღის მიხედვით ავტომატურ რეჟიმში ეძებს. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში წიგნს მოძებნის, მხოლოდ მაშინ აიტვირთება ვებ-გვერდზე სილაბუსი“, — განაცხადა თსუ-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის უფროსმა ტარიელ ზარანდიამ.

„თსუ-ში საბაკალავრო პროგრამების კურსის სილაბუსში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურით საბიბლიოთეკო ფონდის უზრუნველსაყოფად გასატარებელი დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ რექტორის ბრძანების მიხედვით, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, თსუ-ის ბიბლიოთეკაში ყველა ის ძირითადი სახელმძღვანელო უნდა იყოს დაცული, რომელიც ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებშია მითითებული. ბრძანების შესრულებას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა გააკონტროლებს.

წელს ERASMUS MUNDUS-ის მიერ 9 პროექტი დაფინანსდება

თამარ დადიანი

საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა საფეხურის სტუდენტების, ახალგაზრდა მკვლევრებისა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ERASMUS MUNDUS-ის პროექტების (WEBB, BACKIS, HERMES, EMBER) კოორდინატორებთან თსუ-ში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ბოლონიის უნივერსიტეტის (იტალია) წარმომადგენელი ლიჩია პროსერპიო, მონპელიეს უნივერსიტეტის (საფრანგეთი) წარმომადგენელი კოლინ ვოლე, სევილიის უნივერსიტეტის (იტალია) წარმომადგენელი სანტიაგო მელკონი და ათენის უნივერსიტეტის (საბერძნეთი) წარმომადგენელი ამალია მოსერი ესწრებოდნენ.

თსუ-ის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის თეა გერგედავას თქმით: „2013 წლიდან აღნიშნული პროექტების ფარგლებში გაცვლითი პროგრამები ევროპის 50 უნივერსიტეტში ხორციელდება. მიმდინარე წლის Erasmus Mundus-ის პროექტებში ჩვენი უნივერსიტეტი განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა, რაც ძალიან გვახარებს. კავკასიის რეგიონში დაფინანსებული 9 პროექტიდან 4-ში თსუ აქტიურად იყო ჩართული და ერთერთი პროექტის თანაკოორდინატორსაც წარმოადგენს.

წელს Erasmus Mundus-ის მიერ დაფინანსდება კვლავ 9 პროექტი. ორივე წელს დაფინანსებული კონსორციუმების ხანგრძლივობა 3-4 წელია. ევროკავშირი მთლიანად აფინანსებს მობილობის ხარჯებს, კერძოდ თვიურ სტიპენდიას, გადაადგილებასა და დაზღვევას. სტუდენტებისთვის ყოველთვიურად გაიცემა სტიპენდია 1000 ევრო, დოქტორანტებისათვის — 1500 ევრო, პოსტდოქტორანტებისთვის — 1800 ევრო და ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და პროფესორებისთვის — 2500 ევრო. მობილობის პერიოდი გრძელდება 6-დან 24 თვემდე, ხოლო რაც შეეხება პოსდოქტორანტურას, აქ მობილობის ხანგრძლივობა 6 თვეა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და პროფესორებისთვის კი 1-დან 3 თვემდე“, — განაცხადა თეა გერგედავამ.

შეხვედრაზე ორი სხვადასხვა კონსორციუმის კოორდინატორებმა თვითონ წარმოადგინეს პროგრამის დეტალები და გააკეთეს პრეზენტაცია — თუ როგორ უნდა გახდეს პროგრამის მონაწილე Erasmus Mundus-ის წარმატებული აპლიკანტი.

აპლიკანტის შერჩევა მოხდება რამდენიმე ეტაპად. პირველი ეტაპი არის უნივერსიტეტის მიერ აპლიკაციის ტექნიკური შემოწმება, მეორე ეტაპზე, სავარაუდოდ, მიმღები უნივერსიტეტი შეაფასებს აპლიკანტებს, ხოლო ბოლო ეტაპზე, რომელიც მომავალი წლის გაზაფხულზე გაიმართება, შეიკრიბება შესარჩევი კომისია, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს და უზრუნველყოფს გრანტების განაწილებას.

„ასეთი პროექტების განხორციელება საშუალებას აძლევს ქართველ სტუდენტებს დამოუკიდებლად იცხოვრონ, იმუშაონ და ისწავლონ საზღვარგარეთ; გაიჩინონ ახალი მეგობრები, იცხოვრონ იმ ენობრივ გარემოში, რომელ ენაზეც სურთ გამართულად ისაუბრონ. პროექტში მონაწილეობა სტუდენტს არა მარტო აკადემიურად, პიროვნულადაც გაზრდის“, — აღნიშნა თეა გერგედავამ.

შეხვედრაზე საინტერესოდ ისაუბრა საქართველოში ტემპუსის ეროვნული ოფისის კოორდინატორმა ლიკა ღლონტმა, რომელმაც მოუწოდა სტუდენტებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ Erasmus Mundus-ის პროგრამებში: „საგრძნობლად გაიზარდა ევროკავშირის დაფინანსება სტუდენტებისა და პერსონალის მობილობისთვის, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს უპრეცედენტო შესაძლებლობა რაც შეიძლება მეტი სტუდენტი და პერსონალი გავგზავნოთ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. დღეს საქართველოში Erasmus Mundus-ის 18 პროგრამა მოქმედებს. დეტალური ინფორმაცია ამ პროგრამების შესახებ შეგიძლიათ ნახოთ ვებ-გვერდზე: tempus.ge. გასულ წელს ასობით ქართველმა სტუდენტმა ისარგებლა ამ მობილობით, წელსაც საკმაოდ ბევრი ადგილი გვაქვს “, — აღნიშნა ლიკა ღლონტმა.

სევილიის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა სანტიაგო მელკონიმ მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქტიური თანამშრომლობისთვის და განაცხადა, რომ Erasmus Mundus-ის პროგრამებში ქართველი სტუდენტების ჩართვა მნიშვნელოვანია განათლების საერთაშორისო სივრცეში ადგილის დასამკვიდრებლად. „პროექტი საშუალებას მისცემს მონაწილეებს მობილობის გარკვეული პერიოდი ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში გაატარონ. კონსორციუმი სულ 9 ევროპული და 11 არაევროპული უნივერსიტეტისგან შედგება. პროგრამას მთლიანად ევროკავშირი აფინანსებს“, — განაცხადა მან.

აღნიშნული პროექტების ფარგლებში 2013 წელს გაცვლითი პროგრამები ევროპის 36 უნივერსიტეტში განხორციელდება.

დისკუსია

რა არის დადებითი და რა — უარყოფითი ფაკულტეტების დაყოფის ამა თუ იმ მოდელში?

ხელოვნურად გაერთიანებული ფაკულტეტების დაშლა-დაყოფის მართლზომიერებაზე დღეს უნივერსიტეტის არაერთი პროფესორი საუბრობს, თუმცა ყველა მომხრეა, რომ ჩატარდეს პროფესურის საფუძვლიანი გამოკითხვა და გაიმართოს დისკუსია თემაზე — რა არის დადებითი და რა — უარყოფითი ფაკულტეტების დაყოფის ამა თუ იმ მოდელში? რითი სჯობს ერთი მოდელი მეორეს? გაზეთი ,,თბილისის უნივერსიტეტი“ სწორედ ამ მისიას კისრულობს და ამ მეტად საჭირბოროტო საკითხის ირგვლივ ფართო დისკუსიას შლის.



მოსაზრებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დაყოფის თაობაზე

ნოდარ გელქანია,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების პროფესორი:

— თავის დროზე, როცა ფაკულტეტები ისე გააერთიანეს, რომ არავისთვის არაფერი უკითხავთ, ყველა ამის წინააღმდეგი იყო. ახლა კარგია, რომ პროფესორების და სტუდენტების აზრი აინტერესებთ. საერთოდ, გამუდმებული ცვლილება არ იძლევა გამოცდილების დაგროვების საშუალებას. ვერ ვასწრებთ შევეგუოთ ახალს და ისევ ახალი ცვლილებაა კარზე მომდგარი. შეიძლება ითქვას, რომ წინსვლის საშუალება არ ეძლევა სასწავლებლებს, ორგანიზაციებს, ფაკულტეტებს, მიმართულებებს... როცა ფაკულტეტების გაერთიანება მოხდა, 2005 წელი იყო. დღეს 2013 წელია და ისევ დაიწყო ძირეულ ცვლილებებზე საუბარი.

დღეს დადგა საკითხი ფაკულტეტის გაყოფისა. ისეთი დიდი მიმართულებები, როგორიცაა, ვთქვათ, ფსიქოლოგიის მიმართულება, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება, ყოველთვის ძლიერი მიმართულებები იყო — ისინი გარკვეული ტრადიციებით მოდიან და არც ცალკე გამოყოფის შემთხვევაში ექნებათ სტუდენტების მიღების პრობლემა, მაგრამ რა ქნან მცირე მიმართულებებმა? ზოგადად, რა შეიძლება მოყვეს ამ დაშლას? პირველი: ჩემი აზრით, ეს იქნება ნამდვილი ფინანსური გამოწვევა უნივერსიტეტისთვის, რადგან ყველა ახლად წარმოქმნილ ფაკულტეტს თავისი ადმინისტრაცია დასჭირდება, რაც შტატების რაოდენობით დიდად გადააჭარბებს დღეს არსებული ფაკულტეტის ადმინისტრაციული შტატების რაოდენობას. მეორე — ჩვენი სააუდიტორიო რესურსი პრაქტიკულად უკვე ამოწურულია. იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტები ცალკე გავლენ, სტუდენტთა რაოდენობასაც გაზრდიან (ძირითადად ფინანსური საჭიროებიდან და არა სხვა რაიმე მიზანშეწონილებიდან გამომდინარე) და ამ თვალსაზრისით კიდევ მეტი პრობლემა წარმოიქმნება — დაიწყება მიმართულებებს შორის ბრძოლა სასწავლო და ადმინისტრაციული ფართებისთვის: ფსიქოლოგები III კორპუსის დაბრუნებას მოითხოვენ, ჟურნალისტები — VI კორპუსის (ეს კორპუსები ადრე მათი იყო). რა ქნან ასეთ შემთხვევაში პოლიტოლოგებმა, სოციოლოგებმა, სოციალური მუშაობის, საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებებმა, რომლებიც ერთ პატარა IV კორპუსში არიან თავმოყრილნი და დღესდღეობით, ძირითადად, ფაკულტეტის სხვა კორპუსებით სარგებლობენ? ამჟამად არსებობს სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი საგნები ფაკულტეტის შიგნით. რა მოხდება დაყოფის შემდეგ – მივცემთ სხვა ფაკულტეტების სტუდენტებს ჩვენი საგნების არჩევის საშუალებას თუ არჩევანი სხვებისთვის შეიზღუდება? თუ შეიზღუდება — მაშინ სად იქნება ბოლონიის პროცესი? დაყოფის შემთხვევაში, რომელიც ყველაფერთან ერთად მალე პროფესორთა რაოდენობის გარდაუვალ ზრდასაც გამოიწვევს, როგორი ფინანსური გადანაწილება მოხდება, გვექნება ამის შესაძლებლობა? როგორ უპასუხებს ამგვარ ფინანსურ გამოწვევას უნივერსიტეტი, როცა არ ვიცით — 2014 წელს დაგვაფინანსებს თუ არა სახელმწიფო და თუ დაგვაფინანსებს, რა ოდენობით? ამ და სხვა მსგავს კითხვებზე დამაჯერებელი და არგუმენტირებული პასუხებია საჭირო.

ჩემი აზრით, ამგვარი საკითხების გადაწყვეტისას ჩვენთვის ჩვეული სიჩქარე არ არის საუკეთესო მრჩეველი და მართლაც, ასჯერ უნდა გავზომოთ, ვიდრე ერთხელ გავჭრით.

იაგო კაჭკაჭიშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების პროფესორი:

— მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ფაკულტეტების გაერთიანება, თავის დროზე, უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო შესაბამის ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან. ამ რეფორმამ მნიშვნელოვნად დაზოგა ადმინისტრაციული რესურსები და ფინანსები და, რაც მთავარია, სასწავლო პროგრამები შინაარსობრივად დაუახლოვა ერთმანეთს. პროგრამებმა მნიშვნელოვნად გადაფარეს ერთმანეთი სხვადასხვა სასწავლო კურსების საფუძველზე და კოოპერაცია დისციპლინებს შორის გაიზარდა. მიუხედავად ამისა, მრავალწლიანმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ამ თავისთავად კარგ საქმეში შესაძლებელია გარკვეული კორექტივების შეტანა.

კერძოდ, ჩვენს ფაკულტეტზე არსებობს ერთი შეუსაბამობა, რაც ფსიქოლოგიის ფაკულტეტს შეეხება. პირობითად მას ვუწოდე „ფაკულტეტი ფაკულტეტში“.

მოგეხსენებათ, რომ ფსიქოლოგიური სკოლა, უზნაძის სკოლის სახელწოდებით, საქართველოში ძალიან დიდი ტრადიციების მატარებელია. იგი ყოველთვის იყო პოპულარული პროფესია და მეცნიერულად განვითარებული დარგი (შესაძლოა, ყველაზე მეტად განვითარებულიც კი სოციალურ მეცნიერებებში). წლების წინ უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ცალკე არსებობდა და როცა იგი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში გაერთიანდა, საფაკულტეტო სტრუქტურა და შინაარსი შეინარჩუნა. რაში გამოიხატება ეს? ამ ფაკულტეტზე არცერთ სხვა მიმართულებას, ბაკალავრიატის დონეზე, არ აქვს ალტერნატიული პროგრამები. ყველა სხვა მიმართულებაზე ერთი საბაკალავრო პროგრამაა – აქვთ ერთიანი კურიკულუმი, საგანთა ერთიანი ჩამონათვალი და ასე შემდეგ.

ფსიქოლოგიასთან სხვაგვარად გვაქვს საქმე. ამ მიმართულებაზე, ბაკალავრიატის დონეზე, 5 ქვემიმართულება მუშაობს — სოციალური ფსიქოლოგია, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია; ნეირო და კოგნიტური ფსიქოლოგია; ზოგადი ფსიქოლოგია და განათლების ფსიქოლოგია. ყველა ამ ქვემიმართულებას თავისი კურიკულუმი აქვს. რასაკვირველია, არსებობს საერთო სავალდებულო საგანთა ჩამონათვალიც, მაგრამ სინამდვილეში ფსიქოლოგიის ბაკალავრიატში არსებობს სპეციალიზაციები. ანუ, ფსიქოლოგიის მიმართულებას ფაკულტეტის სტრუქტურა აქვს. ეს დისონანსშია საერთო საფაკულტეტო სტრუქტურასთან, რადგან ყველა სხვა სპეციალობას (მოგეხსენებათ, სულ 7 მიმართულებაა ჩვენთან) აქვს ერთი — ასე ვთქვათ, ჰოლისტური საბაკალავრო პროგრამა. ამიტომ ეს დისონანსი თავს იჩენს სხვადასხვა რამეში — მაგალითად, პროფესორ-მასწავლებელთ საშტატო ერთეულების რაოდენობის განსაზღვრაში. არცერთ სხვა მიმართულებას ამდენი პროფესორ-მასწავლებელი არ ჰყავს — 40-ზე მეტი შტატიანი პედაგოგია მათთან და ათეულობით მოწვეული პედაგოგი. ანუ ყველაზე დიდი შტატი ფსიქოლოგიას ჰყავს, რადგან ყველა ცალკე ქვეპროგრამას თავისი შტატი აქვს და ეს იწვევს პროფესორ-მასწავლებელთა გაზრდილ რაოდენობას. ანუ, საბოლოო ჯამში — ფსიქოლოგიის მიმართულება ან უნისონში უნდა მოვიდეს ყველა სხვა მიმართულების სტრუქტურასთან და ადმინისტრირებასთან, ან გავიდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჩარჩოებიდან და გახდეს ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. ეს საკითხი ბევრჯერ დამიყენებია საბჭოზე და მისაუბრია ამ პრობლემის შესახებ. თუ ვთქვათ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გაყოფაზე იქნება საუბარი — ყველაზე ადეკვატური ამ ტიპის დაყოფაა.

თანაც, სადავო არ არის, რომ ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, არ არის მხოლოდ სოციალური ხასიათის. ფსიქოლოგიაში არსებობს ძალიან მძლავრი ექსპერიმენტული მიმართულება, რომელიც თავისი არსით და ბუნებით უფრო საბუნებისმეტყველო მეცნიერების ტოლფასია. ამიტომ, კონცეპტუალურად და დისციპლინის კონცეფციიდან გამომდინარე, მისი სოციალური მეცნიერებებისთვის მიკუთვნება ბოლომდე სწორი არ არის – მას აქვს სოციალური განზომილებაც, მაგრამ გააჩნია ასევე მნიშვნელოვანი ექსპერიმენტული განზომილება, რომელიც, მაგალითად, ფიზიკასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე, სოციოლოგიასთან. ამდენად ამ ფაკულტეტის ცალკე ყოფნა ლოგიკურად და ბუნებრივად გამოიყურება.

ფსიქოლოგიის ფაკულტეტის გამოყოფაში არ ვხედავ სირთულეებს, რადგან ეს ფაკულტეტი იგივე შტატს შეინარჩუნებს, სტუდენტებიც იგივე რაოდენობის ეყოლება და დაფინანსების წყაროც იმავე მოცულობის ექნება. მართალია, ადმინისტრაციის ფინანსები მოიმატებს, რადგან თავისი დეკანი და მისი მოადგილე ეყოლება, მაგრამ, ჯერ ერთი, ადმინისტრაციული შტატის ოპტიმიზაციის საფუძველზე ფინანსებმა შეიძლება ბევრად არ მოიმატოს და მეორეც, მიმართულებას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც, პრინციპში, დეკანის ფუნქციას ასრულებს და რომელსაც, დეპარტამენტებად გარდაქმნის შემთხვევაში (რომელიც იგეგმება), ისედაც ექნება გარკვეული ანაზღაურება.

კორნელი კაკაჩია,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

— პირადად მე მხარს არ ვუჭერ ფაკულტეტების დაშლას.

ჩვენ გვავიწყდება, რომ ეს გაერთიანება მოხდა ბოლონიის პროცესის ფარგლებში. პირველ კურსზე, როცა სტუდენტი ახალი შემოსულია უნივერსიტეტში, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, რა სპეციალობაზე უნდა სწავლის გაგრძელება. ფაკულტეტების დაშლის პირობებში მას სასურველი სპეციალობის არჩევა გაუჭირდება და ეს მაშინ, როცა ერთი ფაკულტეტის პირობებში არჩევანის გაკეთება გამარტივებული იყო.

მეორე მთავარი მიზეზი: ფაკულტეტების დაშლა, ეს არის ნაბიჯი უკან საბჭოთა უნივერსიტეტისკენ. ევროპის უნივერსიტეტებში ერთი ფაკულტეტის ქვეშ გაერთიანებულ მიმართულებებს შორის ლოგიკური ბმა არის, აქ კი 30 ფაკულტეტად დაშლა ნიშნავს, რომ უარს ვამბობთ ბოლონიის პროცესზე.

მესამე მიზეზი: ყველა ახალ ფაკულტეტს თავისი ადმინისტრაცია უნდა ჰყავდეს, რაც გამოიწვევს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სახელფასო ხარჯების გაზრდას და ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ხელფასის კლებას. გაძლიერდება ბიუროკრატიული აპარატი, რაც მუშაობას კიდევ უფრო მოუქნელს გახდის.

ვფიქრობ, რომ ფაკულტეტების დაშლა ახალ სიძნელეებს წარმოქმნის მუშაობაში და ხელს არ შეუწყობს სწავლების ეფექტიანობას. თუ სისტემური ცვლილება გვინდა, სჯობს რამე სხვა სისტემა მოვიფიქროთ და თუ ამას ვინმეს ამბიციის დაკმაყოფილებისთვის ვაკეთებთ, ეს უკვე პოლიტიკური გადაწყვეტილებაა...

მოსაზრებები გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის შექმნის თაობაზე

იოსებ სალუქვაძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების პროფესორი:

— თავად გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე და ამ ორი მიმართულების გაერთიანების საწინააღმდეგო მაინცდამაინც არაფერი მაქვს. თუმცა, ბოლო დროს საკითხი გეოგრაფიის ორი მიმართულების — ფიზიკური და საზოგადოებრივი გეოგრაფიის გაერთიანებაზეც დაისვა. აქ გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი გაერთიანების შემთხვევაში გეოგრაფიაში ორი თანაბარუფლებიანი დეპარტამენტი უნდა იყოს: ფიზიკური გეოგრაფია და საზოგადოებრივი გეოგრაფია. ამას გარდა – უნდა იყოს განსაზღვრული, სად შეიქმნება ეს გაერთიანება, რა ფინანსური რესურსები ექნება და რა ხელფასები დადგინდება. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ ვართ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში და განსხვავებული ხელფასი გვაქვს ფიზიკური გეოგრაფიის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებისგან, რომლებიც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არიან მიერთებულნი.

რაც შეეხება სწავლის და კვლევის ხა-რისხს, არ ვიცი, დღეს ფიზიკურ გეოგრაფიაზე და გეოლოგიაზე კვლევის რა ხარისხია. ჩვენ მაინც სოციალურ მეცნიერებებთან დაგვჭირდება მჭიდრო ურთიერთობა, რადგან ფიზიკასთან, ქიმიასთან და ბიოლოგიასთან საერთო არაფერი გვაქვს.

მე-5 გვერდზე

დისკუსია

რა არის დადებითი და რა — უარყოფითი ფაკულტეტების დაყოფის ამა თუ იმ მოდელში?

მესამე გვერდიდან

რამინ გოგეჯიშვილი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების პროფესორი:

— გეოგრაფია — ფიზიკურიც და საზოგადოებრივიც, ერთიანი, მთლიანი უნდა იყოს და უმჯობესია, არსებობდეს გეოლოგიასთან ერთად. თუ გეოგრაფია დამოუკიდებლად იქნება — სწავლების ხარისხი, ცხადია, გაუმჯობესდება.

ბეჟან თუთბერიძე,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის მიმართულების პროფესორი:

— ზოგადად, ფაკულტეტების დაშლასთან მიმართებაში უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს. უნდა გადავხედოთ – რა არის დადებითი, რა არის უარყოფითი... სანამ არ აინონება პლუსები და მინუსები, ფინანსური საკითხები და ა.შ. მანამდე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გადაწყვეტილების მიღება. ფაკულტეტი დაიშალოს და მერე თავში ხელი ვირტყათ? ასე ხომ არ შეიძლება...

დავით კერესელიძე,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების პროფესორი:

— ადრე თანახმა ვიყავი ამ დაყოფის, მაგრამ ახლა — სხვადასხვა საკითხის, მათ შორის, ბიუჯეტის განხილვის გარეშე, ამაზე საუბარი ძალიან ძნელია.

თუ ეს უმტკივნეულოდ მოხდება, კი, ბატონო, მაგრამ ის, რომ დაიყოს სტრუქტურა და მერე აღმოჩნდეს, რომ ამ დაყოფილ სტრუქტურებს არსებობის შესაძლებლობა არ ექნებათ, ამის წინააღმდეგი ვარ.

რაც შეეხება საზოგადოებრივი გეოგრაფიისა და ფიზიკური გეოგრაფიის გაერთიანებას, თავის დროზე მათ დაყოფას ვეწინააღმდეგებოდი და ახლაც წინააღმდეგი ვარ გეოგრაფიის ამ ორი მიმართულების ცალცალკე არსებობისა. თუ გვინდა, რომ გეოგრაფია განვითარდეს, იგი ერთიანი უნდა იყოს.

ვფიქრობ, რომ ყველაზე უპრიანი იქნება, თუ ჩამოყალიბდება დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რისი ანალოგიც მსოფლიოს ბევრი ქვეყნის უნივერსიტეტშია. ოღონდ მასაც უნდა ჰქონდეს სათანადო ბიუჯეტი. ამ ფაკულტეტს შენახვა უნდა. ვერც გეოგრაფიას და ვერც გეოლოგიას ჩვენ აუდიტორიაში ვერ ვასწავლით. წარმოიდგინეთ — ნიადაგების გეოგრაფია როგორ უნდა ვასწავლოთ აუდიტორიაში, თუ სტუდენტი ველზე არ გავიყვანეთ?

გეოგრაფიის ამ ორი მიმართულების გაერთიანების შედეგად უნდა შეიქმნას ახალი კურიკულუმები, ჩატარდეს მოცულობითი სამუშაოები და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ სწავლებისა და კვლევის ხარისხის ზრდაზე.

ზურაბ სეფერთელაძე,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების პროფესორი:

— გეოგრაფია საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებაა, რომელიც იკვლევს გეოგრაფიული გარსის ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ კომპლექსებს. საბუნებისმეტყველო გეოგრაფია — სწავლობს ბუნებრივ მოვლენებსა და პროცესებს, ხოლო საზოგადოებრივი გეოგრაფია — ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებსა და პროცესებს. ამ ორი მიმართულების კვლევის ობიექტი გეოგრაფიული გარსია, რაც აერთიანებს საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ გეოგრაფიას. ამდენად, მათი გაყოფა მეცნიერულად არასწორია. ერთის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებზე მიერთება, ხოლო მეორესი – ზუსტ და საბუნებისმეტყველოზე შეცდომა იყო. ამის გამოსწორება შესაძლებელია, თუ ორივე მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები შევთანხმდებით და გავერთიანდებით.

გეოლოგია დედამიწის შინაგან აგებულებასა და მასში არსებულ მოვლენებს იკვლევს, ხოლო გეოგრაფია კი — დედამიწის ზედაპირზე მიმდინარე პროცესებს. ასე რომ, მათი კვლევის ინტერესები ურთიერთკავშირშია. ამდენად, მეცნიერული თვალსაზრისით, შესაძლებლად მიმაჩნია ჩამოყალიბდეს გარემოსა და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომელშიც გაერთიანდება ყველა ზემოთ დასახელებული დისციპლინები.

გიორგი გოგსაძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების პროფესორი:

— ჩემი აზრით, საზოგადოებრივი და ფიზიკური გეოგრაფიის გაერთიანება კარგი იქნება, მაგრამ გააჩნია, ვის რა წილი ექნება... უნდა დავსხდეთ და ცოტა დავფიქრდეთ. ოპტიმალური ვარიანტი ისაა, რომ, ყოველწლიურად, მხოლოდ საზოგადოებრივ გეოგრაფიაზე 80 სტუდენტის მიღება მაინც უნდა გვქონდეს ბაკალავრიატში, რომ არსებობა შევძლოთ.

გეოგრაფია-გეოლოგიის გაერთიანების და მისი ცალკე გამოყოფის შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს სტუდენტების რაოდენობა, ბიუჯეტი, ადმინისტრაციის სტრუქტურული მოწყობა და ა.შ. ჩვენ ახლა საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობთ თავს იქ, სადაც ვართ, თუმცა გაერთიანებაზეც არ ვამბობთ უარს. მთავარია კარგად დავფიქრდეთ პირობებზე.

მოსაზრებები ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტის შექმნის თაობაზე

დიანა ძიძიგური,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის მიმართულების პროფესორი:

— თუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე და, ზოგადად, უნივერსიტეტში სწორად არ იქნება გაგებული ბუნებისმეტყველების მნიშვნელობა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ მიდგომა არ შეიცვლება, რასაკვირველია, ფაკულტეტი უმჯობესი იქნება, რომ დაიყოს. დღეს, როგორც ვხედავ, ძალიან რთული გასაგებია, მაგალითად, ზუსტი მეცნიერების წარმომადგენლებისთვის ჩვენი სპეციფიკა. კერძოდ, რატომ გვჭირდება ამდენი რეაქტივი ან მოძველებული აპარატურის განახლება, რაც არ სჭირდება, ვთქვათ, ზუსტი მეცნიერების წარმომადგენელს. მათთვის ეს ძალიან რთული გასაგები აღმოჩნდა და ისე გამოდის, რომ ფაკულტეტიდან ბიუჯეტის დიდ წილს ჩვენ — ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის წარმომადგენლები ვითხოვთ. ამ დარგებს, რომლებიც ექსპერიმენტული დარგებია, სხვაგვარი მიდგომა სჭირდებათ. არ შეიძლება ერთსა და იმავე თანხით დაფინანსდეს და მომზადდეს კვალიფიციური სპეციალისტი ზუსტ მეცნიერებებში, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტულ მეცნიერებებში. ესენი სრულიად განსხვავებული სპეციალობებია. თუ ეს ხედვა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ან უნივერსიტეტის დონეზე არ შეიცვლება, გამოდის, რომ ჩვენ ერთ ფაკულტეტში ვართ გაერთიანებული, მაგრამ სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობთ. მეორე მხრივ, ფაკულტეტის ადმინისტრაციის პოზიციაც გასაგებია — საერთო ბიუჯეტიდან ყველაზე მეტს ჩვენ — ექსპერიმენტული დარგები ვითხოვთ — ვისაც გვჭირდება აპარატურა, რეაქტივი, ველზე გასვლა, ექსპედიციები, საწარმოო პრაქტიკები, რაც არ სჭირდება მათემატიკას, ინფორმატიკას... მათ არ სჭირდებათ ცდების ჩატარება, ექსპერიმენტული ცხოველები, რეაგენტების ყიდვა... ამიტომ, როცა ვითხოვთ ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დიდ თანხებს, ისინი ამას ვერ იგებენ. ანუ ხედვა უნდა შეიცვალოს, ზოგადად, უნივერსიტეტში და ამაზე ვისაუბრეთ კიდეც რექტორთან შეხვედრის დროს. არაერთი წელია საბუნებისმეტყველო მიმართულებებს პერმანენტულად გვახსენებენ, რომ გვინახავენ და დავალებულები ვართ ვიღაცისგან, არადა, ფაქტია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გარეშე ზოგადი განათლება არ არსებობს.

დაყოფამდე, ჯერ კარგად უნდა გავიაზროთ და შევაჯეროთ ისეთი საკითხები, როგორიც არის ბიუჯეტი, ფართი, სტუდენტების რაოდენობა და სხვა. თუ ფაკულტეტი დაიყოფა და ბიოლოგიის ფაკულტეტი ცალკე შეიქმნება, მოიხსნება საფაკულტეტო საგნები და დაემატება ჩვენი სპეციალური საგნები. ამ შემთხვევაში ბიოლოგიას უფრო სიღრმისეულად შევასწავლით.

რაც შეეხება ბიოლოგია-მედიცინის ფაკულტეტის შექმნას, თავდაპირველად მედიცინა სწორედ ბიოლოგიის ფაკულტეტის შემადგენლობაში შემოვიდა საუნივერსიტეტო სივრცეში, მაგრამ მაშინ იყო ბიოლოგიისა და ფუნდამენტური მედიცინის ფაკულტეტი. შემდეგ უკვე, როცა მკურნალი ექიმების გამოშვება დაიწყო, ასეთმა გაერთიანებამ აზრი დაკარგა და მედიცინაც ცალკე გამოეყო. მიუხედავად იმისა, რომ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები პირველი ორი წელი ძალიან ბევრ ბიოლოგიურ დისციპლინას ჩვენთან სწავლობენ, მკურნალი ექიმის გამოშვება ძალიან სპეციფიკურია და მიმაჩნია, გაერთიანება მართებული არ იქნება...

არნოლდ გეგეჭკორი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის მიმართულების პროფესორი:

— ფაკულტეტის დაშლას თავისი დადებითი მხარეც აქვს და უარყოფითიც. ცალსახად რამის თქმა შეუძლებელია. ამაზე, ალბათ, საფუძვლიანი მსჯელობა უნდა გაიმართოს და დასკვნა მერე უნდა გაკეთდეს. აქ გარკვეული მხოლოდ ისაა, რომ ერთ ფაკულტეტში თვისებრივად განსხვავებული 6-7 მეცნიერების გაერთიანება ძალიან რთულია და, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ჩვენი დეკანი კარგი ორგანიზატორია, ასეთი ფაკულტეტი მაინც რთული სამართავია.

ბიოლოგია და მედიცინა ახლოსაა ერთმანეთთან, მაგრამ კიდევ უფრო ახლო მეცნიერებებია ბიოლოგია, გეოლოგია და გეოგრაფია. ეს იქნება უაღრესად მომგებიანი, რადგან ეს სამი მიმართულება ერთმანეთს ავსებს. დანარჩენი – მაგალითად: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია კიდევ სხვა დამოუკიდებელი ბლოკია.

ჩემი აზრით — ბიოლოგია, გეოგრაფია და გეოლოგია უნდა იყოს ერთად, რადგან ამ სამი მიმართულების გაერთიანება ძალიან ოპტიმალურია და სტუდენტს ინტერდისციპლინარულ ცოდნას მისცემს.

დიმიტრი კორძაია,
მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი:

— მიმაჩნია, რომ მედიცინის ფაკულტეტის რომელიმე სხვა ფაკულტეტთან მიერთება არ არის მიზანშეწონილი. მსოფლიოს არცერთ უნივერსიტეტში ეს ასე არ არის. ადრე ვიყავით ბიოლოგიის ფაკულტეტთან ერთად და ამ შემთხვევაში ჩვენ ბიოლოგიის ფაკულტეტის რესურსებს ვიყენებდით საბაზისო დისციპლინის წარმართვაში, რადგან ერთ საუნივერსიტეტო სივრცეში ვიმყოფებოდით. დისკუსია ყველაფერზე შეიძლება, მაგრამ საინტერესოა — რას გულისხმობს ბიოლოგიის შემოერთება? თუ ეს გულისხმობს ბიოლოგიის მხოლოდ იმ ნაწილის შემოერთებას, რომელიც მედიცინასთან უშუალო კავშირშია (ვთქვათ, საბაზისო დისციპლინები, რომელსაც მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები სწავლობენ), სხვა არის, მაგრამ თუ ეს გულისხმობს აღწერილობითი ბიოლოგიის, ბოტანიკის და სხვა დარგების მედიცინასთან გაერთიანებას, ამას მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. სამედიცინო — ეს არის კლინიკური დარგი და მასთან მხოლოდ იმ დეპარტამენტების შემოერთება შეიძლება, რომლებიც დაკავშირებულია მედიცინასთან.

ომარ მუკბანიანი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების პროფესორი:

— ფაკულტეტების გაყოფაზე საუბარი დიდი ხანია მიმდინარეობს, ჯერ კიდევ გიორგი ხუბუას რექტორობის დროიდან. მაშინ ფაკულტეტის გაყოფის მომხრე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანიც იყო. სხვათა შორის, ამ საუბრებში აქტიურად იყო ჩართული ის ხალხი, რომლებიც დღეს ფაკულტეტის გაყოფა-არგაყოფაზე პასუხს დეკანის თვალებში ეძებენ. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან დღეს ფაკულტეტის გაყოფა გარკვეულ რეორგანიზაციას გამოიწვევს, რაც მოქმედ დეკანს არ აწყობს. ამის გამო, არგაყოფის კამპანიაში გამოყენებული იქნება დეკანატის ადმინისტრაციული რესურსები და მდგომარეობას მორგებული კოჰაბიტირებული პროფესურა.

დღეისათვის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი უნივერსიტეტის ყველაზე დიდი ფაკულტეტია, რომელიც მოიცავს 7 დეპარტამენტს (მათემატიკა, ბიოლოგია, ქიმია, გეოგრაფია, გეოლოგია, ფიზიკა და ელექტრონიკა) და 8 აკადემიურ ინსტიტუტს (პ. მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი, ა. ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი, მინერალური ნედლეულის კავკასიის ა. თვალჭრელიძის ინსტიტუტი, რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი. ვ. ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი, ა, რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი). ასე რომ, ასეთი დიდი კონგლომერატის მართვა რთულია.

კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით, რომელიც მხოლოდ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სახით არსებობდა. 2005 წლამდე კი ფაკულტეტების რაოდენობა 22-მდე გაიზარდა. დაგვეთანხმებით, ეს რომ ცუდი ყოფილიყო, ამდენი ფაკულტეტის გამოყოფა არ მოხდებოდა. 2006 წელს ფაკულტეტების გაერთიანება უფრო პოლიტიკური თვალსაზრისით მოხდა.

სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დღეს მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფაკულტეტის გაყოფა ისეთ ფაკულტეტებად, რომლებსაც ერთნაირი ხედვა და პრინციპები გააჩნიათ. აუცილებელია, რომ გამოყოფილი ფაკულტეტების დაფინანსება ხდებოდეს ცენტრალური ბიუჯეტიდან „ერთი ჯიბის“ პრინციპით. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სტუდენტთა მომზადება გაცილებით ძვირია სხვა ფაკულტეტებთან შედარებით, რაც ექსპერიმენტებთან და რეაქტივების შეძენასთანაა დაკავშირებული. ამდენად, ამ დეპარტამენტებს გარკვეული დაფინანსება დასჭირდება, რაც უნივერსიტეტმა სახელმწიფოს ხელშეწყობით, ზოგადად, და კონკრეტულად უნივერსიტეტის შიდახელშეწყობით უნდა განახორციელოს ისე, რომ ამან სახელფასო ფონდზე და სხვა ტიპის დაფინანსებებზე ზემოქმედება არ მოახდინოს. უნდა გაიზარდოს სტუდენტის სახელმწიფო დაფინანსების (გრანტი) ოდენობაც ექსპერიმენტული მეცნიერებებისთვის.

P.S. ფაკულტეტების დაყოფის თემაზე გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ დისკუსიას გაზეთის მომავალ ნომერშიც გააგრძელებს, რათა უფრო ფართოდ გამოიკვეთოს პროფესორ-მასწავლებლების აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით.

მოამზადეს
მაია ტორაძემ,
ნინო კაკულიამ

დიდი ინტერესი და მცირე აუდიტორია

რექტორი სტუდენტებს შეხვდა

თსუ-ის სტუდენტები რექტორს ვლადიმერ პაპავას, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და ფაკულტეტების დეკანებს შეხვდნენ. შეხვედრა, რომელიც მიმდინარე წლის საშემოდგომო სემესტრის დასაწყისში დაიგეგმა, 13 ნოემბერს გაიმართა. ღონისძიება რამდენიმე დღით ადრე სოციალური ქსელის www.facebook.com საშუალებით დაანონსდა, თუმცა სტუდენტების უმრავლესობა შეხვედრის თაობაზე არაინფორმირებული აღმოჩნდა. შესაბამისად, სააქტო დარბაზში სტუდენტების საკმაოდ მცირე რაოდენობა შეიკრიბა. თსუ-ის ხელმძღვანელობა სტუდენტებს იმ სიახლეებისა და ცვლილებების შესახებ ესაუბრა, რამაც ახალი რექტორის არჩევის შემდეგ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. დაიგეგმა მომდევნო შეხვედრაც, რომელიც 2014 წლის თებერვლის თვეში შედგება.

უმჯობესდება თუ არა სტუდენტური თვითმმართველობის ინსტიტუტი — რას ითვალისწინებს რეფორმა?

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში სტუდენტურ თვითმმართველობებთან დაკავშირებით შესატანი ცვლილებების პაკეტზე მუშაობას აგრძელებს, რომელშიც სტუდენტებიც აქტიურად არიან ჩართულნი, თუმცა მათი ნაწილი თვითმმართველობის ინსტიტუტის გაუმჯობესების პერსპექტივას ვერ ხედავს. აქედან გამომდინარე 13 ნოემბრის შეხვედრაზე ერთერთი აქტუალური თემა კვლავ იყო სტუდენტური თვითმმართველობა და ამ ორგანიზაციასთან მიმართებაში რექტორის დამოკიდებულების თაობაზეც დაისვა კითხვები.

„ჩვენ გვითხრეს, რომ უნივერსიტეტის წესდებაში არსებობს მექანიზმი, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის რეგულირებისთვის, ან შევცვალოთ მისი საარჩევნო კოდექსი, რომელიც საკმაოდ გაუმართავია. მაგალითად, სტუდენტური თვითმმართველობა არჩევნების დროს თვითონ ნიშნავს ყველა დონის საარჩევნო კომისიას; ასევე, კანდიდატის დარეგისტრირებისთვის აუცილებელია ფაკულტეტის საერთო შემადგენლობის 15%-ის ხელმოწერის მოგროვება. მე პოლიტიკის მეცნიერებას ვსწავლობ და ასეთი მაღალი ცენზი არცერთ არჩევნებში არ მინახავს. თუ თქვენ გვიპასუხებთ, რომ ეს ჩვენი ან თვითმმართველის გადასაწყვეტია, ამ გზით პრობლემის მოგვარება არ მოხერხდება. ხომ არ არსებობს რაიმე მექანიზმი, რათა დაგვეხმაროთ ან რეკომენდაცია მოგვცეთ?" — მიმართა თსუ-ის რექტორს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ლევან ლორთქიფანიძემ.

თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობასთან დაკავშირებული პრობლემების განსახილველად თსუ-ის რექტორმა სტუდენტებთან თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა: „სტუდენტური თვითმმართველობის, როგორც ორგანიზაციის, ფუნქციონირებას „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონი განსაზღვრავს. თუ თქვენ გაქვთ რაიმე პროექტი, რათა სტუდენტური თვითმმართველობა უფრო მეტად საუნივერსიტეტო ორგანიზაცია გახდეს, მზად ვარ მოვისმინო და ამის შესახებ თვითმმართველობის წარმომადგენლებსაც ვესაუბრო. გაზაფხულზე არჩევნები მოდის. შევხვდები ჩვენს იურისტებსაც, ვითანამშრომლოთ და განვიხილოთ — თუ რამდენად არის შესაძლებელი საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესება უნივერსიტეტის წესდების მეშვეობით", — განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.

რექტორი სტუდენტებს სათათბირო ორგანოს შექმნას სთავაზობს

ერთერთი თემა, რაზეც სტუდენტებმა თსუ-ის რექტორთან შეხვედრაზე გაამახვილეს ყურადღება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საქმიანობის გამჭვირვალობა გახლდათ. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ბექა გაბადაძემ რექტორთან დასმულ შეკითხვაში სტუდენტების ახალი ინიციატივაც გაახმიანა: „უნივერსიტეტის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, ხომ არ გამოქვეყნებულა რაიმე დამატებითი ინფორმაცია ბიუჯეტთან დაკავშირებით, როგორ აპირებთ მის დაგეგმვას და გვექნება თუ არა მასში მონაწილეობის საშუალება სტუდენტებს?" ამის პასუხად რექტორმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტზე ინფორმაციის და განსაკუთრებით საბიუჯეტო საკითხების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უკვე დაევალა.

ამ დროისთვის, კანონმდებლობის მიხედვით, თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოში, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტს ამტკიცებს, სტუდენტების ინტერესებს სტუდენტური თვითმმართველობის წევრები წარმოადგენენ. სტუდენტური თვითმმართველობა ასევე სარგებლობს სათათბირო ხმის უფლებით საფაკულტეტო საბჭოებშიც. იმ სტუდენტებს კი, რომლებიც ამ ორგანიზაციის წევრები არ არიან, თსუ-ის რექტორმა თანამშრომლობის ახალი ფორმა შესთავაზა.

„მზად ვარ თქვენთან თანამშრომლობისთვის. შესაძლებელია, რომ შეიქმნას რექტორთან სათათბირო ორგანო. მომაწოდეთ თქვენი მონახაზი, თუ რა ფორმატის იქნება ეს სტრუქტურა. ამავე დროს გაითვალისწინეთ, რომ გვყავს სამი საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტები", — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ.

სტუდენტები შუალედური გამოცდების პერიოდში სალექციო პროცესის შეჩერებას ითხოვენ

სტუდენტები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შუალედური გამოცდების პარალელურად (რომელთა უმეტესობას თსუ-ის საგამოცდო ცენტრი „მაღლივის ბიბლიოთეკის" შენობაში ატარებს) სასწავლო პროცესის მიმდინარეობას აპროტესტებენ. თსუ-ის ადმინისტრაციასთან გამართულ შეხვედრაზე ამ პრობლემის შესახებ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა თეკლა ჯამრულიძემ ისაუბრა: „ეს დიდი პრობლემაა. თუ მაღლივში გვექნება გამოცდები, იქნებ ლექციები მოგვიხსნათ, რადგან ფიზიკურად ვერ ვახერხებთ ორ ადგილზე ერთსა და იმავე დროს ყოფნას". საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების III კურსის სტუდენტმა მარიამ ყურაშვილმა კი ადმინისტრაციას შესთავაზა, რომ მათი ფაკულტეტისთვის იურიდიულ ფაკულტეტზე მოქმედი მოდელი მოერგოთ, რაც ასევე შუალედური გამოცდების დროს სასწავლო პროცესის დროებით შეჩერებას ითვალისწინებს. როგორც გაირკვა, თსუ-ის ხელმძღვანელობას ამ პრობლემის მოსაგვარებლად მუშაობა უკვე დაწყებული აქვს.

„საგამოცდო ცენტრმა წარმოადგინა წინადადება — იმ საგნებში, რომლებზეც განსაკუთრებით ბევრი სტუდენტია წარმოდგენილი, შუალედური გამოცდა კვირაში რამდენჯერმე ჩატარდება. ავტომატურად სტუდენტებს შუალედური გამოცდების ცხრილის შედგენის საშუალება ექნებათ. ეს პროექტი IT დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად მუშავდება და მომდევნო სემესტრიდან ვაპირებთ, რომ აკადემიური რეგისტრაციის გავლის პროცესშივე სტუდენტებმა შეძლონ საგნების არჩევის პარალელურად დაგეგმონ შუალედური გამოცდებისა და საბოლოო გამოცდების განრიგიც", — განმარტა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ნანა მაჭარაშვილმა.

„არის კიდევ ერთი მოდელი, რომელზეც ვმუშაობთ და რომლის მიხედვით ფაკულტეტებზე გამოცდები ჩატარდება. გამოცდების ჩატარების ის ფორმატი, რომელზეც ქალბატონმა ნანამ ისაუბრა, კომფორტულია სტუდენტებისთვის, მაგრამ მუშაობას ურთულებს პროფესორებს, რადგან საგამოცდო საკითხები რამდენჯერმე უნდა მოამზადონ. კომისია შექმნილია, ამ პრობლემაზე ვმუშაობთ. საჭიროა გამოცდების ისეთი სისტემა მოვიფიქროთ, რომ სტუდენტებს ერთ დღეს ორი გამოცდის ჩაბარება არ მოუწიოთ", — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ.

შეხვედრაზე სტუდენტებმა საგამოცდო ნაშრომების შეფასების სისტემის გაუმჯობესებაც მოითხოვეს.

„როდესაც საგამოცდო ნაშრომების შეფასებები იდება, სტუდენტებს საშუალება აღარ აქვთ გაიგონ — რატომ მიიღეს ესა თუ ის ქულა. თქვენი მხარდაჭერა გვჭირდება, რომ ლექტორებმა შეფასებები გარკვეული კომენტარების სახით განგვიმარტონ", — მიმართა თსუ-ის რექტორს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ბექა გაბადაძემ.

„ამ საკითხის შესახებ ელექტრონული საშუალებებით სხვა სტუდენტებმაც მომმართეს. უკვე ვმუშაობთ საგამოცდო ცენტრთან ერთად, რომ ეს ხარვეზი დავარეგულიროთ. აბსოლუტურად ვიზიარებ თქვენს შეხედულებას, გამოცდა არ არის მარტო შეფასება, გამოცდა უნდა იყოს სასწავლო პროცესიც", — აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.

ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი გადაუდებელ რეაბილიტაციას საჭიროებს

შეხვედრაზე ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის მდგომარეობის შესახებ პოლიტოლოგიის მიმართულების სტუდენტმა ნათია ახალაიამ ისაუბრა: „მესმის, რომ უნივერსიტეტში ბევრი პრობლემაა, მაგრამ მინდა თქვენი ყურადღება ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმზე გავამახვილო. სახლ-მუზეუმის ეზოს ღობე და ჭიშკარი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. აივანი ჩამოინგრევა, თუ იგი დროულად არ შეკეთდა. რამდენიმე დღის წინაც ვიყავი ჩასული და ნამდვილად სავალალო მდგომარეობაა. კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი იზრუნებს სახლ-მუზეუმის პოპულარიზაციაზე", — განაცხადა მან და თსუ-ს ხელმძღვანელობას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის დასაწყებად საჭირო ზომების მიღება სთხოვა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის ერმი ქემოკლიძის განმარტებით, სახლ-მუზეუმის სარემონტო სამუშაოების დაწყება რთულ პროცესთან არის დაკავშირებული, რადგან იგი თსუ-ის კუთვნილებას არ წარმოადგენს, თუმცა მუზეუმების გაერთიანებასთან და კასპის რაიონის ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით პრობლემის მოგვარება შესაძლებელია. სტუდენტებს ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო პროცესის დასაწყებად საჭირო ზომების მიღებას თსუ-ის რექტორიც დაჰპირდა.

რაც შეეხება სახლ-მუზეუმის პოპულარიზაციის თემას, ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს „საბავშვო უნივერსიტეტი", რომლის კოორდინატორი მარინა ლომოური ახალგაზრდებთან ერთად არაერთხელ სტუმრობდა სახლ-მუზეუმს პრობლემების გასაცნობად.

მოამზადა **ნატო ოგოლაძემ**

აქტუალური

როდის დაინტერესდება მედია უნივერსიტეტითა და განათლების პრობლემატიკით?

ერთი მხრივ, ნაციონალური მედია უნივერსიტეტისა და აკადემიური საზოგადოების საქმიანობის გაშუქებით თითქმის არ ინტერესდება – ჩვენში ასეთი თემები ნაკლებად ფასობს! მეორეს მხრივ, აკადემიურ და ინტელექტუალურ წრეებში მედიისა და ჟურნალისტების კრიტიკა დღეს მოდური ტრენდია და, ხშირად, სამართლიანიც.

მართებულია თუ არა იმის მოლოდინი, რომ ქართული მედია ერთ მშვენიერ დღეს სიყვითლის ბურუსიდან გამოფხიზლდება და სიღრმისეული თემებით დაინტერესდება? ვინ უნდა აყალიბებდეს დღის წესრიგს ქვეყანაში: მედია თუ პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა? – ამ თემებზე მედიის ანალიტიკოსს, ჟურნალისტიკის დოქტორს, თსუ-ის მოწვეულ ლექტორს ლაურა კუტუბიძეს *ვესაუბრეთ.*

— უნივერსიტეტთან დაკავშირებული ნებისმიერი თემა, ისე, როგორც ყველა სხვა თემა, რომელიც ე.წ. სახელისუფლებო ბატალიებს არ ასახავს, რჩება მედიის ყურადღების მიღმა. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს მოვლენა თანამედროვე ეპოქისა და, ზოგადად, ჟურნალისტიკისათვის დამახასიათებელია, რადგან, როგორც წესი, სიახლედ, ნიუსად მიიჩნევა განსხვავებული, განსაკუთრებული, არაორდინარული, სენსაციური და სკანდალური შეფერილობის მოვლენა. მეორე მხრივ, ყველა მედიამკვლევარი ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ქართული მედია იყო და რჩება პოლიტიზირების მაღალი ხარისხის მატარებლად: ყველა თემა მიბმულია ე.წ. პოლიტიკას. მართალია, განათლების პოლიტიკაც პოლიტიკაა, მაგრამ ამ შემთხვევაში იგულისხმება ე.წ. პოლიტიკური, სახელისუფლებო ბრძოლები, კულუარული ამბები, პერსონიფიცირება იმასთან დაკავშირებით, ვინ იქნება, რა იქნება, ვინ რა თქვა? — ეს ის თემებია, რომლებიც ზედაპირზე ტივტივებს და მედიის მეშვეობით მთავარ თემებად იქცევა ხოლმე.

— ***ანუ, ჩვენი მედია მხოლოდ პოლიტიკოსებს და მათ საქმიანობას აშუქებს?***

— სათანადოდ ვერც აშუქებს! აჩვენებს მხოლოდ იმას, რაც ზედაპირზე ტივტივებს რომელიღაც საინფორმაციო საბაბით. შეიძლება ითქვას, რომ ე.წ დღის წესრიგს ჩვენი მედია აგებს მხოლოდ პოლიტიკურ ბატალიებზე. შესაბამისად, ყველა მედიასაშუალების და, მათ შორის, შედარებით სოლიდური გამოცემების ყურადღების მიღმა რჩება სოციალურ თუ განათლების პრობლემატიკასთან დაკავშირებული სხვა თემები. ზოგადად, ეს მიმართულებებიც შუქდება, იგივე სტუდენტური პრობლემები, მაგრამ უმეტესად იმ შემთხვევაში, როცა საინფორმაციო საბაბი პოლიტიკასთან არის მიბმული, ან კრიმინალსა და სენსაციას უკავშირდება.

— ***გამოდის, ჩვენს მედიას მხოლოდ ეპატაჟი იზიდავს?***

— დიახ, ეპატაჟი მთავარია. თუმცა, რადგან თანამედროვე სამყარო ისეა მოწყობილი, რომ მედიალური კონსტრუქციები განსაზღვრავენ მოვლენების მიმართ ჩვენს დამოკიდებულებას და ცხოვრების წესს, ასეთ დროს იმაზე წუწუნი, თუ რატომ არ ექცევა სხვა თემები მედიისა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში, უსაგნო და უშედეგოა. უმჯობესია, ყველა ინსტანცია და ინსტიტუცია, მათ შორის უმაღლესი სასწავლებელიც, მიესადაგოს თამაშის არსებულ წესებს და მედიის ბუნებას.

> უნივერსიტეტთან დაკავშირებული ნებისმიერი თემა, ისე, როგორც ყველა სხვა თემა, რომელიც ე.წ. სახელისუფლებო ბატალიებს არ ასახავს, რჩება მედიის ყურადღების მიღმა.

არის ასეთი წიგნი, რომელიც ქართულადაც ითარგმნა — „აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობა საზოგადოებასთან". ამ წიგნში გერმანული მოდელის მიხედვით არის აღწერილი მთავრობის ურთიერთობა მედიასთან. იქ პირდაპირ წერია, რომ მთავრობა უნდა მიესადაგოს მედიალურ კონსტრუქციას, რადგან მედია ვერ მიესადაგება მთავრობის საქმიანობას.

— ***ანუ, რადგან მედიის ბუნება არის ახალი ამბების გავრცელება და გენერირება, ორგანიზაციის მიერ უნდა შეიქმნას საინფორმაციო საბაბი და დაიგეგმოს შესაბამისი კომუნიკაცია, რასაც სხვაგვარად პიარსაც ვეძახით?***

— დიახ, ასეა. ყველა ინსტანციას უნდა ყავდეს თავისი ნიუსმეიკერი, რომელიც შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე შესაბამისად შეფუთავს თემებს, რომელზეც სასურველია მედიისა და საზოგადოების ყურადღების გამახვილება. ჩვენს უნივერსიტეტს შეუძლია ისეთი თემების წამოწევა, რომელიც არა მარტო ამ უნივერსიტეტისთვის, არამედ მთელი საუნივერსიტეტო და საგანმანათლებლო სივრცისთვის იქნება აქტუალური. არ ვგულისხმობ მარტო შიდა ცხოვრებას, არამედ, იმ პრობლემებს, რომელთაც საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ლექტორები ვაწყდებით. მაგალითისთვის ვიტყვი, რომ პრობლემაა საბაზისო განათლების დაბალი დონე სტუდენტებში და ეს უშუალოდ აისახება ჩვენ მიერ სტუდენტის მომზადების ხარისხზე. ეს პრობლემა არ ეხება მხოლოდ პირველკურსელებს, ხანდახან მეოთხე კურსზეც კი პრობლემებს ვაწყდები, რადგან რაც უფრო სიღრმისკენ მიდის განათლება, მით მეტად ამოდის ზედაპირზე აისბერგის დაფარული მხარე: ყველაზე მონადინებულ სტუდენტსაც კი, რომელსაც ნიჭიც აქვს და სწავლის მოტივაციაც, უჭირს სიღრმისეული და ანალიტიკური თემების გააზრება და გაშლა, რადგან მას არ აქვს შესაბამისი საფუძველი, რომელიც ელემენტარულ ჰუმანიტარულ განათლებას და ელემენტარული ცნებების ცოდნას მოითხოვს. მაგალითისთვის, სტუდენტებთან როგორც კი ახსენებ რხევის ამპლიტუდას, რომელიც რაღაცის ასახსნელად გჭირდება, გაოცებულები გიყურებენ და 40 კაციან აუდიტორიაში აღმოჩნდება, რომ ფიზიკაში რხევის ამპლიტუდა ორ-სამ სტუდენტს აქვს ნასწავლი. შეიძლება ძალიან წვრილმანებისკენ მივდივარ, მაგრამ ფაქტია, საუნივერსიტეტო ცხოვრება მჭიდროდ არის მიბმული სასკოლო და ზოგად განათლებასთან. ამ პრობლემების წამოწევასა და გამოკვლევას მარტო მედიას ვერ დავავალებთ. ეს თემა, სხვა ინსტიტუტებთან ერთად, უნივერსიტეტმაც უნდა დააყენოს და აქტუალური გახადოს, რადგან მედია, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ამაზე ყურადღებას არ გაამახვილებს. ეს პრობლემები უნივერსიტეტში უნდა განიხილებოდეს და უნდა არსებობდეს ისეთი სამსახურები, რომლებიც ამ პრობლემებს და პოზიტივსაც შესაბამისად შეფუთავენ და ისე მოახდენენ მათ გენერირებას საინფორმაციო სივრცეში, რომ ყოველგვარი დანახარჯებისა და რეკლამირების გარეშე მოექცეს ის მედიის ყურადღების ცენტრში.

— ***ფიქრობთ, რომ იმ კონსტრუქციის ჩანაცვლება, რომელიც დღეს გვაქვს - როცა პოლიტიკოსი ყვირის და შემდეგ, მედიიდან დაწყებული, ყველა უკან მივყვებით, მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის ტექნოლოგიების შესაბამისი გამოყენებით იქნება საკმარისი?***

— მთავარია, რომ საზოგადოება გამოვიდეს ისტერიული მდგომარეობიდან, რაშიც უნივერსიტეტმაც შეიძლება საკუთარი წვლილი შეიტანოს, რადგან ეს საზოგადოების განათლების დონისა და ინფორმირებულობის ამაღლებას უკავშირდება. საამისოდ, პოლიტიკური ისტებლიშმენტისათვის მთავარი არ უნდა იყოს ამომრჩევლითა და პოლიტიკური პროცესებით მანიპულირება. საზოგადოებისა და მისი წევრების ყოველდღიური ცხოვრება არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, რომელი პოლიტიკოსი რას იტყვის, ვინ ვის დაუპირისპირდება მთავრობასა და პარლამენტში. ასეთ ვითარებაში მედიის ყურადღების არეალში სხვა თემებიც მოექცევა, თუკი შესაბამისი ფორმით მოხდება ამ თემების მიწოდება მედიისთვის.

მოამზადა **ლელა კურდღელაშვილმა**

ტელეკომპანია „ენკი-ბენკი" თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს ტელეკომპანიაში სტაჟირების გავლას სთავაზობს

ინტერვიუ ტელეკომპანია „ენკი-ბენკის" დირექტორთან ლელა ასლანიკაშვილთან

ნინო კაკულია

— ***რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ტელეკომპანია „ენკი-ბენკის" ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული თსუ-სთან. რა თანამშრომლობაზეა საუბარი?***

— მემორანდუმის ფარგლებში ჩვენ ვმუშაობთ ერთობლივ პროექტებზე და უნივერსიტეტის სტუდენტები ჩვენთან სტაჟირებას გადიან, მაგრამ ჩემი სურვილია, რომ ჩვენთან თანამშრომლობის მსურველი ახალგაზრდები შეირჩნენ იმ ნიშნით, ვისაც ნამდვილად აინტერესებს ჟურნალისტიკა და ვინც თავის მომავალ პროფესიას მედიის რომელიმე სფეროს დაუკავშირებს. ამას ხაზს ვუსვამ, რადგან ჩვენთან, უმეტესწილად, მოდიან ფსიქოლოგიის მიმართულების სტუდენტები, რომელთაც ჟურნალისტის უნარ-ჩვევების ათვისება ნაკლებად აინტერესებთ. სამწუხაროდ, ისინი ფიქრობენ, რომ ტელევიზიაში სიარულით გაერთობიან, არადა ჩვენ საკმაოდ მძიმე და სერიოზული სამუშაო გრაფიკი გვაქვს.

როდესაც „ენკი-ბენკი" იხსნებოდა, შევარჩიე ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებთანაც ძალიან კარგად ვიმუშავეთ. დღეს ისინი უკვე ჩემი თანამშრომლები არიან. მათ სტაჟირება გაიარეს ჯერ კიდევ ტელევიზიის გახსნის პერიოდში, ისწავლეს მონტაჟი, გადაღება, სატელევიზიო ტექსტის წერა და ა.შ.

— ***„ენკი-ბენკი" საბავშვო ტელევიზიად აღიქმება. საინტერესოა, თქვენთან სწავლება ჟურნალისტების გადასამზადებლად რამდენად პროფესიულ დონეზე მიმდინარეობს?***

— ჩვენნაირ მცირე ტელევიზიებს დიდი და გაბერილი შტატების ყოლის საშუალება არ აქვს. აქედან გამომდინარე, ჩვენს თანამშრომლებს უწევთ სხვადასხვა ფუნქციის შეთავსება — ისინი გადაცემების პროდიუსერებიც არიან, სცენარის ავტორებიც და ტექსტებსაც თავად წერენ, ანუ სტაჟიორად ისეთ კადრს ვარჩევთ, რომლისგანაც შეიძლება უნივერსალური თანამშრომელი გამოვზარდოთ. ამ თვალსაზრისით ჩვენთან სტაჟირების გავლა კარგი გამოცდილების მიღების საშუალებაცაა და, ამავე დროს, შემდეგში ჩვენთან დასაქმების შანსიც.

ჩვენს საზოგადოებაში უფრო მეტი ყურადღება ექცევა პოლიტიკურ ტელეარხებს, მთელ მსოფლიოში კი რეიტინგულ ტელეარხებად მიიჩნევა საბავშვო, მუსიკალური, სპორტული არხები... ჩვენთან პირიქით — სტუდენტებშიც კი მეტი ყურადღება ეთმობა პოლიტიკურ საინფორმაციო გამოშვებებს და ასეთი აზრიც კი დომინირებს, რომ თუ ჟურნალისტი ხარ, აუცილებლად პოლიტიკას უნდა აშუქებდე, რაც არასწორია. ჩვენს ირგვლივ უამრავი სფეროა, რომლის პოპულარიზაციითაც ჟურნალისტები, წესით, უნდა ინტერესდებოდნენ. გვინდა, რომ ჩვენთან მოსული ახალგაზრდები სწორედ ხელოვნებისა და კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესების გაშუქებაზე გავხადოთ ორიენტირებულნი და ამ მიმართულებით პროფესიონალებად ჩამოვაყალიბოთ როგორც თეორიული ცოდნის მიცემით, ისე პრაქტიკული მეცადინეობების გავლით.

— ***რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ტელეკომპანია „ენკი-ბენკით" დაინტერესდნენ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართული დიასპორას წარმომადგენლები. რა მომსახურებას სთავაზობთ მათ?***

— ჩვენ სატელიტზე ვმაუწყებლობთ და როდესაც ამ სატელიტური კომპანიის უცხოელმა დამფუძნებლებმა მარკეტინგული კვლევა ჩაატარეს, აღმოჩნდა, რომ ქართულ დიასპორას ყველაზე მეტად აინტერესებს საბავშვო ტელევიზიის განვითარება, რათა „ენკი-ბენკის" გადაცემების საშუალებით საზღვარგარეთ მცხოვრებ მათ ბავშვებსა და მოზარდებს ქართული განათლება მივცეთ. იქ მცხოვრებ მოზარდებს ხშირად ავიწყდებათ მშობლიური ენა, რაც ბევრი ქართული ოჯახისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით მათთვის ხსნად იქცა საბავშვო ტელევიზია „ენკი-ბენკი" — ჩვენს გადაცემებს ზოგი ინტერნეტის საშუალებით უყურებს, ზოგიც სატელიტის მეშვეობით და უხარიათ, რომ ბავშვები ქართულ სიმღერებს უსმენენ, საქართველოს ისტორიაზე გადაცემებს უყურებენ, საბავშვო-საინფორმაციო გამოშვებებს ადევნებენ თვალს და ა.შ. ჩვენ გვინდა, რომ ისინი მხოლოდ პასიური მაყურებლები არ იყვნენ და ჩვენთან თანამშრომლობის საშუალებაც ჰქონდეთ.

— ***უნივერსიტეტისგან რა მოლოდინი გაქვთ?***

— ძალიან გვინდა, რომ უნივერსიტეტი დაგვეხმაროს და დაგვაკავშიროს იმ მიმართულებებთან, რომელთა სტუდენტების მომავალი პროფესიაც, მეტ-ნაკლებად, მედიასაშუალებებთან და, მითუმეტეს, ტელევიზიასთანაა დაკავშირებული. სწორედ ასეთ სტუდენტებს ვეპატიჟებით ჩვენთან სტაჟირებაზე და იმედი მაქვს, რომ ჟურნალისტიკის მიმართულება ჩვენი ამ შეთავაზებით დაინტერესდება.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ჩანართი

რექტორობის 100 დღე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლეს ისტორიაში 2013 წლის 16 აგვისტოს ჩატარებულმა არჩევნებმა ახალი რეალობა შექმნა. აკადემიური საბჭოს 12 წევრიდან 10-მა ხმა მისცა აკადემიკოს ლადო პაპავას არჩევას რექტორის პოსტზე, რომლის კანდიდატურასაც თავად საზოგადოება რეკომენდირებდა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, ლადო პაპავამ ყოველგვარი პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე მოახერხა რექტორის პოსტის დაკავება. თავისუფალი არჩევანის გაკეთებით აკადემიურმა საბჭომაც გაითავისუფლა თავი პოლიტიკური გავლენისგან, რასაც ექსპერტები ქვეყანაში სისტემური ცვლილების ერთერთ პროდუქტად თვლიან და ამ რეალობას უნივერსიტეტის მხრიდან ავტონომიურობის უფლების მოპოვებად მიიჩნევენ.

ლადო პაპავა საუნივერსიტეტო საზოგადოებას იმთავითვე საქმიანი და მეტად კონკრეტულ ნაბიჯებზე გათვლილი სამოქმედო გეგმითა და კონცეფციით წარუდგა. ახალი რექტორი, დედა უნივერსიტეტის არსის უკეთ წარმოსაჩენად, იმ ტრადიციების დაბრუნებას ცდილობს, რასაც უნივერსიტეტისთვის წარსულში სახელი და დიდება მოჰქონდა. მისი პირველი ნაბიჯი რექტორის კაბინეტში ივანე ჯავახიშვილის პორტრეტის დაბრუნება იყო; მომდევნო სვლა — რექტორის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის განახლება, რომელშიც მან უნივერსიტეტიდან წლების მანძილზე დევნილი პროფესურის რამდენიმე წარმომადგენელი მოიწვია; მისი მესამე მნიშვნელოვანი ნაბიჯი კი, ორი ვიცე-რექტორის პოსტის გარდა, სტრატეგიული განვითარების საკითხებში ვიცე-რექტორის თანამდებობის შემოღება და მასზე მარინე ჩიტაშვილის დანიშვნა იყო.

კახა ლომაიას ხისტი რეფორმების შემდეგ პირველად დაიწყო საუბარი ხელოვნურად გაერთიანებული ფაკულტეტების დაშლაზე, რაც ცალკეულ დარგებსა და სპეციალობებს მეტი განვითარების შესაძლებლობას მისცემს. მსგავსი ინიციატივებით უნივერსიტეტმა, წლების შემდეგ, პირველად იგრძნო, რომ საქმე დაიძრა. გასულ წლებში იმის ხიბლი გვქონდა ყველას, რომ თუ დიდად არაფერი კეთდებოდა, არაფერი ფუჭდებოდა მაინც, რაც თვითკმაყოფილებისთვის, თავისთავად, არასწორი საფუძველია. დღეს კი შეფასების სხვაგვარ ხედვასა და პრინციპს გვთავაზობს რექტორი ლადო პაპავა, რომელიც პოსტზე მისი მოსვლიდან 100 დღის ანგარიშს საზოგადოებას აბარებს.

გვესაუბრება თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

შეიქმნა პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტი

— 100 დღე, ერთი მხრივ, საკმაოდ დიდ დროს მოიცავს, მაგრამ ძირეული რეფორმების გატარებისთვის ეს მაინც მცირე პერიოდია. პირველ რიგში ვისაუბრებ იმაზე, თუ რა სიახლეები გვაქვს უნივერსიტეტში? უმთავრესი გახლავთ აკადემიური საბჭოს მიერ უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურის მონაწილეობის შედეგად მომზადებული დებულების დამტკიცება პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შექმნის თაობაზე. ანუ 2014 წლიდან ჩვენ ვხსნით პოსტდოქტორანტურას, რაც სიახლეა არა მხოლოდ ჩვენს უნივერსიტეტში, არამედ მთელ საქართველოში. პოსტდოქტორანტურა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ფართოდ დანერგილი ტრადიციული ინსტიტუტია, რისი ამოქმედების გამოცდილებაც ჩვენ აქამდე არ გვქონია. კონკურსის გზით შევარჩევთ არაუმეტეს 12 დოქტორს, რომლებსაც სადოქტორო დისერტაცია წინა სამი წლის განმავლობაში უკვე დაცული აქვთ. პოსტოქტორანტურაში მათი დასაქმებით (დაფინანსებით) თითოეულს დამტკიცებული თემის მიხედვით სამეცნიერო კვლევაზე მუშაობის საშუალება მიეცემა. თუ დამატებით რომელიმე დოქტორანტი დაფინანსების სხვა წყაროს მოიძიებს, პოსტოქტორანტურაში მათი აყვანაც მოხერხდება, ოღონდ ერთი პირობის გათვალისწინებით — ყველა მათგანს გარკვეული სტანდარტი ექნება დასაკმაყოფილებელი, მიუხედავად ფულის შოვნისა. ეს ზედა ზღვარი (ვგულისხმობ 12 დოქტორის შერჩევას) შესაძლებელია შეიცვალოს იქიდან გამომდინარე, თუ როგორ გაიზრდება უნივერსიტეტის დაფინანსება.

100 დღე, ერთი მხრივ, საკმაოდ დიდ დროს მოიცავს, მაგრამ ძირეული რეფორმების გატარებისთვის ეს მაინც მცირე პერიოდია.

ახალი სასწავლო წლის დაწყების ცერემონიას თსუ-ში პატრიარქი ილია II და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე დაესწრნენ

დაწესდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია

— სიახლე, რაც ასევე მნიშვნელოვანია, უკავშირდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის შემოღებას, რომელიც ქართველოლოგიაში შეტანილი სამეცნიერო წვლილისათვის უცხო ქვეყნის მოქალაქეს ორ წელიწადში ერთხელ მიენიჭება. ამ პრემიის მიღებაზე კონკურსს სულ მალე გამოვაცხადებთ და უცხოელ მეცნიერებს მასში მონაწილეობა შეეძლებათ. ჩვენი უნივერსიტეტისთვის ეს ინიციატივა ერთობ მნიშვნელოვანია თუნდაც იმ კუთხით, რომ მსოფლიოში მოღვაწე სწორედ იმ ქართველოლოგების საერთაშორისო აღიარებას შევუწყობთ ხელს, ვინც ამ მიმართულებით კვლევას აწარმოებს. გარდა ამისა, საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიზრდება ქართველოლოგიისადმი დაინტერესებაც. აკადემიურმა საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი ამ ინიციატივას და მის განსახორციელებლად შესაბამისი დებულებაც უკვე მიღებული გვაქვს. პირველ პრემიას გავცემთ 2014 წლის აპრილში ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღის აღსანიშნავად. ეს მნიშვნელოვანი სიახლეც, გარკვეულწილად, ჩვენი უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარებაზეა ორიენტირებული.

ასევე, მიღებული გვაქვს გადაწყვეტილება, რომ ყოველი წლის აპრილში ჩატარდეს ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ორი სამეცნიერო ფორუმი როგორც პროფესორებისა და მეცნიერ-მკვლევრებისთვის, ასევე სტუდენტებისთვისაც. სქემა იქნება ასეთი: ყოველი ფაკულტეტი შეარჩევს თითო საუკეთესო მოხსენებას, რომელთა ავტორებს შესაბამისი სერტიფიკატი და პრემია გადაეცემა. იგივე სქემით ვიმუშავებთ სტუდენტებთან მიმართებაშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თითოეული ფაკულტეტი წარმოადგენს 3 საუკეთესო სტუდენტს (ერთ დოქტორანტს, ერთ მაგისტრანტს და ბაკალავრიატის ერთ სტუდენტს). ეს ინიციატივა სამეცნიერო საქმიანობაში სამივე საფეხურის სტუდენტების ჩართულობას გაზრდის მით უფრო, რომ შერჩეული სტუდენტებისთვის საკმაოდ სერიოზული ფულადი პრემია გვაქვს გათვალისწინებული.

დაწესდა „წლის საუკეთესო პედაგოგის“ წოდება და რექტორის სტიპენდია საუკეთესო სტუდენტისთვის

— შემოვიღეთ „წლის საუკეთესო პედაგოგის“ წოდება, რომელიც თითოეული ფაკულტეტის თითო პროფესორს მიენიჭება და რომელთაც ბაკალავრიატის სტუდენტები შეარჩევენ. ფაკულტეტების საუკეთესო პედაგოგებს, ყოველწლიურად, შესაბამისი ნომინაციით სერტიფიკატთან ერთად ფულადი პრემიაც გადაეცემათ.

გარდა ამისა, ყოველსემესტრულად დაინიშნება რექტორის სტიპენდია ყველაზე საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე ბაკალავრიატის სტუდენტისთვის. ყოველ სემესტრში საუკეთესო სტუდენტი მიიღებს პირადად რექტორის სტიპენდიას. საუკეთესო სტუდენტის შერჩევისას გავითვალისწინებთ იმ შეზღუდვას, რომ, მაგალითად, სტუდენტს სხვა სტიპენდია არ უნდა ჰქონდეს დანიშნული, რათა ერთსა და იმავე სტუდენტს ერთად რამდენიმე სტიპენდია არ გადაეცეს. ასევე, თუ რამდენიმე სტუდენტს აღმოაჩნდება ერთნაირი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები, მაშინ რექტორის სტიპენდიანტი დამატებითი კრიტერიუმების, კერძოდ კი, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიებისა თუ სხვა პუბლიკაციების გამოქვეყნების და ა.შ. მიხედვით შეირჩევა.

მე-8 გვერდზე

რექტორობის 100 დღე

გვესაუბრება თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

მეშვიდე გვერდიდან

ბიბლიოთეკებში სასწავლო ლიტერატურის ელექტრონულ ვერსიებზე წვდომა გაუმჯობესდება

— გვქონდა რამდენიმე შეხვედრა, სადაც მივიღეთ გადაწყვეტილება სტუდენტების მხრიდან სილაბუსების წვდომის თემასთან დაკავშირებით. შეთანხმების თანახმად, ბიბლიოთეკები მალე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიებით. იმედი გვაქვს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის ეს სისტემა მაქსიმალურად იქნება გამართული. სილაბუსების გამჭვირვალობის თემასთან მიმართებაში პროფესორ-მასწავლებლების მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ არ უნდა დაირღვეს მათი საავტორო უფლებები. იმისათვის, რომ ჩვენს პროფესორებს საავტორო უფლებების დაცულობის განცდა ჰქონდეთ, ვმუშაობთ საქპატენტთან, რათა ამ საავტორო უფლებების რეგისტრაცია მოგვარდეს.

სასწავლო ლიტერატურის თარგმნისთვის არანაკლებ 300 000 ლარი გამოიყოფა

— განვაახლეთ სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო. სასწავლო ლიტერატურის თარგმანისთვის მომავალი წლის ბიუჯეტში სულ მცირე 300 000 ლარს გამოვყოფთ. თუ რა უნდა ითარგმნოს — ამ საკითხზე, პრიორიტეტების განსაზღვრის მხრივ, უკვე აქტიურად მუშაობენ ფაკულტეტები. ეს პროცესი არ გამორიცხავს ცალკე ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოების შექმნას. ამის ინიციატივაც ფაკულტეტიდან უნდა მოდიოდეს. ჩვენ, ხელმძღვანელობა, მხოლოდ ხელს შევუწყობთ საინტერესო წინადადებების განხორციელებას. ასე რომ, სახელმძღვანელოების თარგმნის სისტემასაც მალე გავმართავთ.

სასწავლო ლიტერატურით სტუდენტების უზრუნველყოფის თემასთან არის მიბმული ლიტერატურის „გაციფრულების“ პრობლემაც, რაც ჩვენს ბიბლიოთეკაში ტრადიციული სკანერით ხდება. ეს კი მეტად შრომატევადი საქმეა. არსებობს სპეციალური ტექნიკა — რობოტოსკანერი, რომლის წარმადობა გაცილებით მაღალია და რომელიც გაცილებით ძვირიც ღირს. სამწუხაროდ, ჩვენს უნივერსიტეტს მისი შესყიდვის შესაძლებლობა ნაკლებად აქვს, თუმცა გარკვეულ კერძო სტრუქტურებს, რომელთაც უნივერსიტეტის დახმარების სურვილი ამოძრავებთ, შეიძლება ვთხოვოთ რობოტოსკანერის ყიდვა.

2014 წლიდან კარიერული ცენტრი ამოქმედდება

— ჩვენ ვქმნით კარიერულ ცენტრს, რომლის მთავარი ფუნქციაა ბიზნესის დაახლოება უნივერსიტეტთან. ამით ჩვენ სტუდენტებს გავხდით ორიენტირებულს — თუ როგორ შეიძლება ჩაერთონ ბიზნესში. გვინდა გავზარდოთ ფაკულტეტების ჩართულობაც ამ მიმართულებით. განსაკუთრებით ეს ეხება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე — კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებას და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე — ბიზნესის მიმართულებას, რომელთა თანამშრომლობაც კერძო სტრუქტურებთან სავსებით შესაძლებელია. ეს ინიციატივა, ვფიქრობ, უნივერსიტეტის შემოსავლების გაზრდას შეუწყობს ხელს. კარიერული ცენტრი უნივერსიტეტში უკვე 2014 წლიდან ამოქმედდება. სულ ახლახანს გამოვაცხადეთ კიდეც კონკურსი კარიერული ცენტრის კოორდინატორის ვაკანსიაზე. ასე რომ, დავიწყეთ იმის განხორციელება, რასაც თავიდანვე დავპირდი საზოგადოებას სამმაგი სპირალის კონცეფციის ამოქმედების თვალსაზრისით.

იქმნება საინჟინრო სკოლა, რომლის კურსდამთავრებულიც მიიღებს როგორც თსუ-ის დიპლომს, ასევე, ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომსაც

— სერიოზული პროექტი გვაქვს საინჟინრო სკოლის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, რომელიც ამერიკელების ინიციატივაა. ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ გამოყო 30 მილიონი დოლარი იმისთვის, რომ საქართველოში თანამედროვე საინჟინრო სკოლა ჩამოყალიბდეს. ამერიკის მხარემ შეარჩია 5 უნივერსიტეტი (შეიქმნა 3 ჯგუფი, მათ შორის, ერთ ჯგუფში არის ერთი უნივერსიტეტი და დანარჩენ ორ ჯგუფში ორ-ორი ამერიკული უნივერსიტეტი). საქართველოდან შეირჩა 3 სახელმწიფო უნივერსიტეტი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ილიას უნივერსიტეტი. ეს სამივე უნივერსიტეტი ამერიკელების სამივე ჯგუფში ვმონაწილეობთ სამი მიმართულებით — ეს არის კომპიუტერული ინჟინერია, ელექტრონიკა და ბიოინჟინერია (ჩვენი უნივერსიტეტი მხოლოდ მეოთხე – სამოქალაქო ინჟინერიის მიმართულებაში არ არის ჩართული). ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა და უკვე, სავარაუდოდ, 2014 წელს გამოვლინდება კონკურსში გამარჯვებული ამერიკული უნივერსიტეტი, რის შემდეგაც დაიწყება პროგრამის განხორციელება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა სასწავლო პროგრამებმა ამერიკული სტანდარტის შესაბამისად უნდა გაიაროს აკრედიტაცია. გარდა ამისა, საინჟინრო სკოლის კურსდამთავრებული მიიღებს არა მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტის დიპლომს, არამედ ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომსაც. ამ პროექტში მონაწილეობა ჩვენი უნივერსიტეტისთვის საერთაშორისო დონეზე სერიოზული გარღვევა იქნება.

მეცნიერება პოლიტიკის მიღმა — თანამშრომლობის პერსპექტივა რუსულ უნივერსიტეტებთან

— ჩემი რექტორობის დროს გაფორმდა პირველი შეთანხმება ერთ-ერთ რუსულ უნივერსიტეტთან. მასთან თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას უკვე მოეწერა ხელი. რიგში დგას რამდენიმე სხვა, საკმაოდ ცნობილი რუსული უნივერსიტეტიც, რომლებისგანაც თანამშრომლობის ინიციატივა მოდის. მათ სურთ ერთობლივი კვლევებისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელება, რასაც მხოლოდ მივესალმებით. ვთვლით, რომ მეცნიერება პოლიტიკის მიღმა უნდა იდგეს.

უნივერსიტეტის პანთეონში მისი ერთერთი დამფუძნებლის, იოსებ ყიფშიძის ნეშტის გადმოსვენება იგეგმება

— უნივერსიტეტის პანთეონში, სადაც უნივერსიტეტის დამაარსებლები არიან განსვენებულნი, არ არის ივანე ჯავახიშვილის ერთერთი თანამოაზრისა და მის გვერდზე მდგომი მოღვაწის — იოსებ ყიფშიძის საფლავი. პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის რჩევით შევქმენით კომისია მისი ნეშტის გადმოსასვენებლად. მისი მემკვიდრეებისგან თანხმობა უკვე მიღებული გვაქვს, ამჟამად ველოდებით ქალაქის მერიიდან პასუხს და იმედია, რომ წლის ბოლომდე იოსებ ყიფშიძის ნეშტის გადმოსვენების ცერემონია შედგება. ვაცხადებთ ტენდერსაც, რათა ჩვენს ბაღში შელახული ზოგიერთი ძეგლის რეაბილიტაციაც მოხდეს გარდა ახალი ძეგლის დადგმისა. გარდა ამისა, 2014 წლის შემოდგომაზე, იოსებ ყიფშიძის დაბადებიდან 130 წლისთავის აღსანიშნავად იუბილეს გადავიხდით.

მინდა გამოვეხმაურო საზოგადოებაში მოარულ ხმებს იმის თაობაზე, რომ თითქოსდა უნივერსიტეტიდან ბიუსტები დაიკარგა და განადგურდა. სინამდვილეში არაფერია განადგურებული. ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე და შემიძლია განვაცხადო, რომ ყველა ბიუსტი ადგილზეა, თუმცა ყველას რესტავრაცია ესაჭიროება. ასე რომ, რუსთაველის ბარელიეფიც დაუბრუნდება თავის ადგილს — არც იგია დაკარგული. ყველაფერი განახლდება. უბრალოდ ამას დრო სჭირდება, რადგან ეს ყოველივე შესყიდვების პრობლემასთანაა დაკავშირებული.

ვისი სახელობის ოთახები აღდგება საუნივერსიტეტო სივრცეში?

— გვინდა, რომ გვქონდეს ივანე ჯავახიშვილის ოთახი, რომელსაც, შესაძლოა, დარბაზი დავარქვათ. მასში განთავსებული იქნება სამუზეუმო ექსპონატები, აგრეთვე, საბიბლიოთეკო ნიმუშები და, ამავე დროს, გამოიყენება აუდიტორიულ სივრცედაც. ამ ოთახს ეყოლება თავისი პატრონი, რადგან მუდმივად ღია ვერ იქნება. ჯავახიშვილის ოთახის გარდა გვინდა ვაჟა-ფშაველას ოთახის მოწყობაც. ჩვენ სერიოზულად ვემზადებით 2015 წლისთვის, როდესაც 100 წელი შესრულდება დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გარდაცვალებიდან. მოგეხსენებათ, ვაჟა-ფშაველამ სწორედ უნივერსიტეტის შენობაში დალია სული და, ამდენად, კიდევ უფრო მეტი საბაბი გვაქვს მასთან დაკავშირებული ისტორიული თარიღის აღნიშვნისათვის. 2016 წელი კი შოთა რუსთაველის საიუბილეო წელია და გვსურს მისი სახელობის ოთახის გახსნაც. ჩვენი პრიორიტეტი დღეს ამ სამი სახელობითი სივრცის დაბრუნებაა უნივერსიტეტში. მათ გარდა, ჩვენ უკვე გვაქვს სხვა სახელობითი აუდიტორიები, რომლებიც უნდა აღიჭურვოს იმ სასიქადულო მეცნიერის ფოტო-პორტრეტითა და მცირე ზომის წარწერით მაინც, ვის სახელსაც ატარებს ესა თუ ის აუდიტორია, რათა სტუდენტმა იცოდეს, ვინ იყო ის მოღვაწე, ვისი სახელობის ოთახშიც ისმენს ლექციას.

თსუ-ში წიგნის მაღაზია გაიხსნება

— ბევრი წვალების შედეგად, მთავრობისგან მივიღეთ ნებართვა წიგნის მაღაზიის გახსნის შესახებ. ვინაიდან კანონით შეზღუდული ვართ და არ გვაქვს წიგნების გაყიდვის უფლება, ჩვენ გამოვაცხადეთ ტენდერი — თუ ვინ გაყიდის ჩვენსავე წიგნებს. წიგნების მაღაზიას, ალბათ, მალე გავხსნით.

მე-9 გვერდზე

რექტორობის 100 დღე

გვესაუბრება თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

მერვე გვერდიდან

რექტორი ვლადიმერ პაპავა და ვიცე-რექტორი მარინე ჩიტაშვილი

სამართლიანობის აღდგენის რა ტენდენციები შეიმჩნევა ახალი რექტორის მოსვლის დღიდან უნივერსიტეტში?

— ამ საკმაოდ რთულ შეკითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტს არ გააჩნია ის რესურსი, რომ ყველა ის პროფესორი უკან დააბრუნოს, რომელიც მართლაც ობიექტურად არის დაჩაგრული. ეს შეუძლებელია. ზოგადად, ჩემი პასუხი ასეთია: თუ ქვეყანაში მთლიანობაში არ აღდგება სამართლიანობა, ვერ შევძლებთ, რომ უნივერსიტეტი ცალკე სამართლიანობის ოაზისად ვაქციოთ. ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტა უფრო მასშტაბურია...

რაც შეეხება უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე დღეს დასაქმებულ პირებს, მათ არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ. ყველა შეინარჩუნებს თანამდებობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის თანახმად. როცა ვადა დასრულდება, გამოცხადდება კონკურსები, რომელშიც ყველას თანაბრად შეეძლება მონაწილეობის მიღება, მათ შორის დღეს მოქმედ პროფესორებს და უნივერსიტეტს გარეთ დარჩენილებსაც. რაც შეეხება შტატების გაზრდის თემას, წინადადებები უნდა მოდიოდეს ფაკულტეტებიდან იმ სურათის გათვალისწინებით, თუ რომელ მიმართულებაზე გვეძლევა მეტი პროფესორის მოზიდვის შესაძლებლობა სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით. შესაბამისად გამოცხადდება კონკურსებიც.

თსუ კონკურსანტებს გასაჩივრებისთვის აპელაციის მექანიზმს სთავაზობს

— ჩვენ შევცვალეთ საკონკურსო დებულება, მართალია ძირეულად ვერა, მაგრამ გავითვალისწინეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი: პირველ რიგში უპირატესობა მივანიჭეთ მეტ საჯაროობას.

მოგეხსენებათ, დღეს კონკურსანტები მათი მოწინააღმდეგეების მასალების გაცნობას ითხოვენ, რისი უფლებაც მათ არ აქვთ. აკადემიური კონკურსების ახალი წესის თანახმად, კონკურსანტი საბუთების წარდგენისას ხელს მოაწერს თანხმობას, რომ კონკურსის დასრულების შემდეგ მისი საბუთების ნახვის უფლება სხვა ნებისმიერ კონკურსანტს ექნება. ჩვენ, ასევე, შემოვიღეთ ახალი რეგულაცია, რომლის თანახმადაც საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება, არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, უნდა გამოქვეყნდეს. ანუ ყველას ეცოდინება საკონკურსო კომისიის შედეგი მანამ, ვიდრე აკადემიური საბჭო მას დაამტკიცებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველას შეეძლება გასაჩივრება, რისთვისაც მათ მიეცემათ 5 სამუშაო დღე. ანუ ჩვენ კონკურსანტებს გასაჩივრებისთვის ვთავაზობთ აპელაციის მარტივ მექანიზმს (სრულყოფილი სისტემის შეთავაზება ასეთ მოკლე პერიოდში ვერ მოხერხდებოდა) და როცა საკონკურსო კომისია საბოლოოდ მიიღებს გადაწყვეტილებას, შედეგები მხოლოდ ამის შემდეგ გადაეგზავნება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

საკონკურსო კომისიის შერჩევის წესთან დაკავშირებით კი რაიმე სპეციალური რეგულაცია არ მიგვიღია, თუმცა საკონკურსო კომისიის შემადგენლობას დეტალურად ვიხილავ ფაკულტეტის დეკანთან ერთად, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს შესაძლებელი დაპირისპირებები და კონფლიქტები, რისგანაც, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით დაზღვეულნი არ ვართ.

თსუ-ში ადმინისტრაციული და სახელფასო რეფორმა დაიწყება

— ვამზადებთ სერიოზულ რეფორმას, რომელსაც შეიძლება პირობითად ვუწოდოთ ადმინისტრაციული და სახელფასო რეფორმა. ჩვენთან კემბრიჯის უნივერსიტეტიდან ვიზიტად მყოფი კონსულტანტი ამ მიმართულებით გარკვეული მონახაზის შექმნაში დაგვეხმარა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცენტრალური ადმინისტრაციის ფორმირებისას მათი რეკომენდაციით შემუშავებულ სქემას ჩვენ პირწმინდად გადმოვიღებთ. ჩვენ გავითვალისწინებთ საკუთარ სპეციფიკას და რეალობას. ჩაფიქრებულია, რომ კონცეფცია — თუ როგორ რეფორმას ჩავატარებთ ადმინისტრაციაში (რათა იგი უფრო კომპაქტური და უფრო ეფექტიანი გახდეს), 2014 წლისთვის უკვე მზად გვექნება. ამ მიზნით შევქმენით „თსუ აკადემიური და ადმინისტრაციული მოდერნიზაცია 2014“-ის სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელსაც სათავეში ვიცე-რექტორი სტრატეგიული განვითარების საკითხებში, პროფესორი მარინე ჩიტაშვილი უდგას. ამ ჯგუფს სახელფასო რეფორმაზეც მოუწევს მუშაობა.

ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტის პროფესურას დახარჯული შრომის ადეკვატური ანაზღაურება უნდა ჰქონდეს, თუმცა უნდა არსებობდეს გარკვეული სტანდარტი — თუ რას ნიშნავს ლექციის წაკითხვა 20-კაციან აუდიტორიაში და რას ნიშნავს ლექციის კითხვა 100-კაციან აუდიტორიაში? გვინდა, მკაფიოდ გავითვალისწინოთ დოქტორანტებთან მუშაობისა და მათი ხელმძღვანელობის ნიუანსები. არასწორად მიმაჩნია პროფესორთა, ასოცირებულ პროფესორთა და ასისტენტ-პროფესორთა დღეს არსებული საათობრივი დატვირთვის გეგმის შენარჩუნება, რადგან გამოდის, რომ ყველაზე მეტად ასისტენტ-პროფესორია დატვირთული და სტუდენტსაც უფრო ხშირი ურთიერთობა სწორედ მასთან აქვს. ჩვენ გვექნება ყველასთვის ერთი სტანდარტი, განსხვავება იქნება ხელფასში: რაც უფრო კვალიფიციურია პედაგოგი, მისი საათი უფრო ძვირი ეღირება, თორემ დატვირთვის მინიმალური სტანდარტი ყველასთვის საერთო იქნება. ასეთი მიდგომა სტუდენტებს იმის შესაძლებლობას მისცემს, რომ მათ უფრო მეტი შეხვედრა ჰქონდეთ მაღალი რანგის პროფესორებთან. ასისტენტ-პროფესორსაც საკუთარ თავზე მუშაობისთვის მეტი დრო დარჩება, რათა შემდგომში უფრო უკეთეს შედეგს მიაღწიოს. სწორედ ამ ტიპის საკითხებზე მუშაობს ხსენებული ჯგუფი.

სამწუხაროდ, 2012-2013 წლების შედეგებით უნივერსიტეტმა მიიღო ყველაზე გაუმჭვირვალე უმაღლესი სასწავლებლის სერტიფიკატი, რაც საკმაოდ უარყოფითი და სამარცხვინო ფაქტია. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს. ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ ვიყოთ ჩვენი ქვეყნის ერთერთი საუკეთესო უმაღლესი სასწავლებელი და ამ დროს ვითვლებით ყველაზე გაუმჭვირვალე დაწესებულებად, რაც მიუღებელია! ამიტომ ადმინისტრაციულ და სახელფასო რეფორმაში აუცილებლად ჩაიდება ის კომპონენტი, თუ როგორ გავაუმჯობესოთ გამჭვირვალობის ხარისხი და როგორ გავხადოთ ჩვენზე ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომი.

რაც შეეხება სახელფასო რეფორმას, მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით ყველამ გაიგოს, რომ რეფორმა ჩემგან დავიწყე: რექტორს სახელფასო დანამატი აღარ აქვს, რადგან გავაუქმე. რექტორს არც პრემია აღარ აქვს, რადგან ეს ბევრად უფრო ადრე გავაუქმე, ვიდრე მსგავსი აკრძალვა მომავალში სხვებზეც გავრცელდება. ჯობია, ყველამ წინასწარ იცოდეს, რომ 2014 წლის ბიუჯეტი სულ სხვა პრინციპებით აიგება. სახელფასო დანამატების იმედი ადმინისტრაციაში ნულარავის ექნება. ჩვენ პროფესორ-მასწავლებლებს პრემიას, პრაქტიკულად, ვერ ვაძლევთ — ეს სისტემა 2013 წლის განმავლობაში ვერ შევცვალე ერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულია და, თანაც, წლის ბოლომდე სულ რამდენიმე თვე იყო დარჩენილი. იმით, რომ რექტორს აღარ აქვს არც სახელფასო დანამატი და არც პრემია, სხვებისთვისაც შეიძლება გავხდე მაგალითი. ამ პრინციპის გამო, შესაძლოა, უნივერსიტეტმა ზოგიერთი კომპეტენტური კადრი დაკარგოს. კი ბატონო, თუ ვინმეს ჩვენი ეს გადაწყვეტილება არ მოეწონება, წავიდეს. ქვეყანაში შრომის საკმაოდ დიდი ბაზარი გვაქვს და ყოველთვის მოვახერხებთ კონკურსების ჩატარებას თუ მაღალკვალიფიციური კადრების მოწვევას — ეს არ არის პრობლემა. ამასთანავე, მინდა განვმარტო, რომ პრემიას საერთოდ კი არ გავაუქმებთ, არამედ წინააღმდეგი ვარ გარანტირებული პრემიის. ვიცი, რომ ადმინისტრაციისთვის საკმაოდ არაპოპულარულ განცხადებას ვაკეთებ, მაგრამ ამ შემთხვევაში არ მაინტერესებს იაფფასიანი პოპულარობა. ჩემთვის უფრო პრიორიტეტულია იმის განსაზღვრა, თუ რა არის საქმისთვის უკეთესი. ამ მიმართულებით საკმაოდ კარგი ურთიერთგაგება ჩამომიყალიბდა უნივერსიტეტის კანცლერთან და მოცემულ საქმეში ჩვენ თანამოაზრენი ვართ.

IT-სამსახურის რეორგანიზაცია დაიწყო

— მიმდინარეობს სერიოზული რეორგანიზაცია და მუშაობა IT-სამსახურთან მიმართებაში. ხელმძღვანელობა უკვე შეიცვალა. გამოცხადდება კონკურსი ახალი, უფრო კვალიფიციური კადრების მოსაზიდად, რათა ეს სამსახური უფრო გაძლიერდეს. ვფიქრობთ, IT-სამსახურის მუშაობასთან დაკავშირებული ის პრობლემები, რაც სტუდენტთა რეგისტრაციის დროს იკვეთებოდა, ახალი სემესტრისთვის გამოსწორდება და თუ 100%-ით არა, მისი მუშაობა ბევრად მაინც გაუმჯობესდება. დარწმუნებული ვარ, რომ ახალი სასწავლო წლისთვის გავალთ იმ მაქსიმუმზე, რითაც, პრაქტიკულად, უნივერსიტეტში როგორც სტუდენტების, ასევე, პროფესორ-მასწავლებლების მხრიდან საერთო განწყობა დადებითად შეიცვლება.

რა სიკეთეს მოიტანს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის უახლოეს ხანში სპეციალური საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება?

— საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებობს რექტორთა საბჭო, რომელსაც სათავეში უდგას თავად განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. ამ საბჭოზე განიხილება საკმაოდ საინტერესო საკითხები და მუშაობა მეტად კონსტრუქციულად მიმდინარეობს. პრაქტიკულად ჩვენ უკვე შევთანხმდით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სპეციალური საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით, რის რეალობაში დანერგვასაც მოუთმენლად ველით. ამ სტატუსის მინიჭება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გაუადვილებს როგორც სამეცნიერო-სასწავლო ლიტერატურის, ტექნიკის, რეაქტივების და საერთოდ ლაბორატორიებისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენისთვის შესაბამის პროცედურებს, ასევე სხვა პრობლემების გადაწყვეტასაც, მათ შორის ზოგიერთი გადასახადის საკითხის დარეგულირების პრობლემას და სხვ., რომელიც უნივერსიტეტის საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

რა საკითხების აქტუალიზაციას ცდილობს რექტორი მთავრობის წინაშე?

- იმ 17 სპეციალობიდან, რომლის პირდაპირ დაფინანსებასაც მთავრობა გამოყოფს, მხოლოდ 13 სპეციალობის დაფინანსების გადაწყვეტილება შეეხო უნივერსიტეტს. მაგრამ პრობლემაა, რომ გამორჩენილია ორი მნიშვნელოვანი სპეციალობა — გეოგრაფია და გეოლოგია. ამიტომ ჩვენ მივმართეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თხოვნით, რომ შემდეგი წლის დაფინანსებაში გაითვალისწინონ გამორჩენილი ეს მნიშვნელოვანი და ქვეყნისთვის მეტად პრიორიტეტული დარგები. მათი დაფინანსების გარეშე ძნელია ამ მიმართულებით სწავლების ადეკვატურად წარმართვა.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მივმართეთ წერილით, რომ შემოიღოს დოქტორანტურის პირდაპირი დაფინანსება. ქვეყნის მასშტაბით დოქტორანტურის დასაფინანსებლად საჭირო თანხა არ აღემატება 11 მილიონ ლარს (მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტისთვის ეს ვერ გაკეთდება).

მე-10 გვერდზე

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ჩანართი

რექტორობის 100 დღე

უნივერსიტეტი ხელისუფლებას ექსპერტულ მომსახურებას სთავაზობს

მეცხრე გვერდიდან

თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივითა და აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გადაწყვეტილებით უახლოეს ხანში შეიქმნება სსიპ – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების, სახელმწიფოებრიობისა და მისი მდგრადი დემოკრატიული განვითარების საკითხების შესწავლას, ექსპერტიზას და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას.

ცენტრი არის უნივერსიტეტის მრავალპროფილიანი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ორიენტირებულია სახელმწიფო მართვის, ეკონომიკის, ახალგაზრდული პოლიტიკის, გეოპოლიტიკის, რელიგიის, სოციოლოგიის, ისტორიის, კულტუროლოგიის, ეკოლოგიის, რეგიონალური თანამშრომლობის საკითხებისა და პრობლემების ინტერდისციპლინარულ კვლევაზე.

ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებას; აქტუალური ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების კვლევას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საქართველოს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის კონტექსტში; საერთაშორისო პრობლემების შესწავლას; კავკასიის რეგიონის ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობების კვლევასა და ანალიზს; კომპლექსური რისკების შესწავლას გლობალურ და რეგიონალურ განვითარებაში; საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აქტუალური პრობლემების შესწავლას; საქართველოს და სხვა ქვეყნების რელიგიური გამოცდილების შესწავლას; ახალგაზრდული პოლიტიკის აქტუალური პრობლემების შესწავლას; საექსპერტო და სამეცნიერო წრეებს შორის გამოცდილების გაზიარებას და ა.შ.

ინტერვიუ

რექტორის რეაქცია თსუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენობა-ნაგებობების გასხვისების თაობაზე და მთავრობის გამოხმაურება

თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ 15 ნოემბერს განცხადებით მიმართა საქართველოს მთავრობას — უმოკლეს ვადაში განიხილონ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენობა-ნაგებობების საკითხი. გთავაზობთ რექტორის მიმართვის ტექსტს.

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის იყო განათლებისა და მეცნიერების მთავარი საყრდენი, საზოგადოებრივი ცხოვრების ტონის მიმცემი. ამიტომ თსუ საზოგადოების მხრიდან ყოველთვის მაღალი ყურადღებისა და ინტერესის სფეროა. სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში მეცნიერების განვითარებისადმი მცდარმა დამოკიდებულებამ ხელი შეუშალა უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობას. კერძოდ, თსუ-სთვის გადმოცემული 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან უმეტესობა შენობა-ნაგებობების გარეშე დარჩა: ნაწილი შენობებისა უკვე გასხვისებულია, მეორე ნაწილის თსუ-სთვის გადმოცემა კი, რატომღაც, ფერხდება.

გასათვალისწინებელია ამ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მომუშავე მეცნიერთანამშრომელთა სტრესული მდგომარეობა. შეუსაბამო შენობისა და ინფრასტრუქტურის გამო, სამეცნიერო საქმიანობა და კვლევები სრულყოფილად ვერ ხორციელდება. იმის მიუხედავად, რომ უნივერსიტეტმა შეძლებისდაგვარად მოახერხა შენობების გარეშე დარჩენილი ინსტიტუტების სხვა კორპუსებში გადანაწილება, მათი მდგომარეობა მაინც მძიმეა.

პრივატიზების შედეგად შენობები ჩამოერთვა ისეთ კვლევით დაწესებულებებს, რომელიც არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის საქმიანობას ეწეოდა. მათ შორისაა: ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, ა. ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი. სამწუხაროდ, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო ფერხდება პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ძირითადი კორპუსების გადმოცემის საკითხი. გაურკვეველია არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბედი. დღის წესრიგში დგას თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სასწავლო-კვლევითი დანიშნულების დაწესებულების — ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო ლაბორატორიის საკითხი. ამ ლაბორატორიაში სერიოზულ კვლევებთან ერთად სასწავლო პროცესი მიმდინარეობს.

მივმართავ საქართველოს მთავრობას, რომ უმოკლეს ვადაში განიხილოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენობა-ნაგებობების საკითხი, გაითვალისწინოს, როგორც ამ ინსტიტუტების, ასევე მეცნიერთანამშრომლების ბედი. ვიმედოვნებ, რომ საქართველოს ხელისუფლება სწორად განსაზღვრავს პრიორიტეტებს და არ გაიმეორებს ადრე დაშვებულ შეცდომებს“, — აღნიშნულია ვლადიმერ პაპავას განცხადებაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მიმართვას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მყისიერად გამოეხმაურა. როგორც სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, სამინისტროში ეს საკითხი განხილვის პროცესშია და აქტიური მუშაობა მიმდინარეობს უნივერსიტეტისთვის იმ შენობების გადაცემის თაობაზე, რომლებშიც განთავსებულია ან განთავსებული იყო სხვადასხვა კვლევითი დაწესებულებები. სამუშაო პროცესში ჩართულნი არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც. „ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ საქართველოს მთავრობას სურს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქვეყანაში სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროცესის განვითარებას, ამიტომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მოხდება როგორც სახელმწიფოს, ისე უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

თსუ-ის რექტორი კმაყოფილებას გამოთქვამს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან ადეკვატური პასუხის მიღების გამო და აცხადებს: „თანამშრომლებმა უნდა იგრძნონ, რომ მათ შენობებს საფრთხე არ ემუქრებათ, ხოლო შემდეგ უკვე ვიბრძოლებთ მათი შრომის სათანადო ანაზღაურების საკითხზეც“.

ცხოვრების ჩვეული რიტმი უნივერსიტეტში

ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან დღემდე უნივერსიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი და მაღალი დონის საერთაშორისო სიმპოზიუმი, კონფერენცია და სემინარი გაიმართა. ამ ხნის მანძილზე უნივერსიტეტმა მრავალი მაღალი რანგის სტუმარს უმასპინძლა, მათ შორის როგორც სხვადასხვა ქვეყნის ელჩებს და პოლიტიკოსებს, ისე ცნობილ მეცნიერებსაც. მიმდინარე სემესტრის მანძილზე ჩატარებულ ღონისძიებებს შორის თსუ-ის რექტორი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებაზე 14 ნოემბერს მულტიმედია ცენტრის გახსნას, რომელსაც აშშ-ის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი დაესწრო.

რიჩარდ ნორლანდი,
აშშ-ის ელჩი საქართველოში:
„იმ დროს, როდესაც საქართველო ესოდენ მნიშვნელოვან გზას გადის დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესში, ინსტიტუტები უფრო და უფრო დიდ როლს თამაშობენ ქვეყნის დემოკრატიულ ცხოვრებაში. ერთერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი კი თავისუფალი მედიაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამ მედიაცენტრის გახსნით, სტუდენტებს ხელი შევუწყვეთ ხარისხიანი განათლების მიღებაში. ჩვენ ვეცადეთ, მათ ჰქონოდათ ისეთი სივრცე, სადაც ტექნოლოგიურად მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებას შეძლებდნენ, რითაც ხელს შეუწყობენ საქართველოში მედიასივრცის განვითარებას“.

WWW.MULTIMEDIA.TSU.GE

პროექტი, რომლის ფარგლებშიც მულტიმედიური ცენტრი გაიხსნა, დაფინანსდა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ ერთი მიზნით — ხელი შეუწყოს მომავალ ჟურნალისტთა განათლების დონის ამაღლებას, თანამედროვე ტექნოლოგიებთან მათი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებას.

პროექტზე მუშაობა გასულ წელს დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში განახლდა და ახალი ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვა სატელევიზიო სტუდია, რის შედეგადაც პირდაპირი ეთერის რეჟიმში შესაძლებელია სხვადასხვა თოქ-შოუებისა და გადაცემების ჩაწერა და მომზადება. მოეწყო ნიუსრუმი, შეიქმნა ვებ-გვერდი — www.multimedia.tsu.ge, რომელიც თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს საშუალებას მისცემს, თავიანთი პროდუქცია განათავსონ ვებ-გვერდზე.

„ჩვენ გვაქვს იმის ამბიცია, რომ გვყავს საუკეთესო სტუდენტები, რომლებსაც ნამდვილად შეუძლიათ საქართველოში მედიასივრცის უკეთესობისკენ შეცვლა და ვფიქრობ, ისინი ამას აუცილებლად შეძლებენ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სტუდენტებს ამ ახალ ლაბორატორიაში შეეძლებათ თავიანთი იდეების განხორციელება. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მულტიმედია ცენტრის გახსნისთვის“, — განაცხადა თსუ-ის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა მარიამ გერსამიამ.

ვლადიმერ პაპავა,
თსუ-ის რექტორი:
„ამ ცენტრში სტუდენტებს ხარისხიანი განათლების მიღების საშუალება ექნებათ, რაც ჩვენი მედიასივრცის განვითარებას შეუწყობს ხელს. მოხარული ვარ, რომ მულტიმედია ცენტრის გახსნაზე ბატონი რიჩარდ ნორლანდი მობრძანდა. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი უნივერსიტეტი და მისი პროფესურა სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას შეძლებს“.

ჩანართი მოამზადა ნინო კაკულიამ

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲘᲧᲝᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲚᲐᲓᲝ ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐᲡᲗᲐᲜ

„დღემდე ძალიან საინტერესოდ ვიცხოვრე და არასდროს გამჩენია სინანულის გრძნობა ჩემი წარსულის გამო. პირიქით, ბედნიერი ვარ, რომ იშვიათი შესაძლებლობა მომეცა, საკუთარი სახელმწიფოს სამართლებრივი საძირკვლის ჩაყრაში მიმეღო მონაწილეობა. ჩემთვის უდიდესი პატივია ის ფაქტი, რომ ჩემი წვლილი შევიტანე პირველი სამოქალაქო კოდექსისა და მეწარმეთა შესახებ პირველი კანონის შექმნაში. დიდი პატივია ისიც, რომ მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, არასდროს გამიწყვეტია უნივერსიტეტთან კავშირი. დღეს უნივერსიტეტის პროფესორი ვარ და გადაჭარბების გარეშე ვამბობ: ჩემთვის ენით აღუწერელი სიამოვნებაა სტუდენტებთან ურთიერთობა“, — ასე აფასებს ლადო ჭანტურია საკუთარ განვლილ გზას. დღეს იგი ოჯახთან ერთად გერმანიაში ცხოვრობს და კილის უნივერსიტეტში საქმიანობს, თბილისში კი პერიოდულად ჩამოდის და სტუდენტებისთვის ინტენსიურ სალექციო კურსს კითხულობს.

წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კილის (გერმანიის) უნივერსიტეტის პროფესორსა და საპატიო დოქტორს, ათეულობით სამეცნიერო ნაშრომის ავტორსა და ქართული და ევროპული სამართლის მკვლევარს, წარსულში საქართველოს იუსტიციის მინისტრსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ამჯერად კი გერმანიაში საქართველოს ელჩად წარდგენილ ᲚᲐᲓᲝ ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐᲡ *50 წელი შეუსრულდა.*

— ამ ეტაპზე სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობით ხართ დაკავებული, თუმცა 2004 წლამდე უმნიშვნელოვანესი თანამდებობები გეკავათ. რომელ სფეროში საქმიანობა იყო უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი თქვენთვის?

— პოლიტიკასა და სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა ჩემი ძირითადი მიზანი არასოდეს ყოფილა. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, 1985 წელს მუშაობის დაწყება პროკურატურაში შემომთავაზეს, რომელიც იმ პერიოდის ერთერთ საუკეთესო სახელმწიფო დაწესებულებად ითვლებოდა, თუმცა, უარი ვთქვი და სამეცნიერო საქმიანობა ვარჩიე. მოგვიანებით, მოსკოვში დავიცავი დისერტაცია, შემდეგ კი, 1991 წელს, ერთერთი პირველი ქართველი იურისტი ვიყავი, ვინც გერმანიაში, გოტინგენის უნივერსიტეტში წავიდა სადოქტორო დისერტაციის გასაკეთებლად. ამასობაში საბჭოთა კავშირი დაიშალა, საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, შემდეგ იყო სამოქალაქო ომი, 1992 წლის შემოდგომაზე კი ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები და ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს იუსტიციის მინისტრობა შემომთავაზა. მაშინ 29 წლის ვიყავი.

— თუმცა თქვენ იუსტიციის მინისტრის თანამდებობა მხოლოდ 1998 წლიდან დაიკავეთ. გამოდის, უარი თქვით შემოთავაზებაზე?!

— უარი ვთქვი, რადგან სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელება და დისერტაციის დასრულება მინდოდა. 24 საათი მომცეს მოსაფიქრებლად, როგორც ჩანს, აქ პარლამენტში უკვე გამოეცხადებინათ ამის შესახებ და ამიტომ, არ იყო ადვილი უარის თქმა.

დისერტაციაზე მუშაობის დასრულების შემდეგ, 1993 წელს საქართველოში დავბრუნდი. ეს პერიოდი ემთხვევა სამართლებრივი რეფორმების დაწყებას. მაშინ ბატონი სერგო ჯორბენაძე ხელმძღვანელობდა სამოქალაქო კოდექსის შემმუშავებელ კომისიას და მე ამ კომისიის წევრი ვიყავი. პრაქტიკულად, მთელი კანონმდებლობა, რომელზეც დაფუძნდა ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს კერძო სამართალი, იმ პერიოდში მომზადდა. იმდენად, რამდენადაც საქართველო მანამდე დამოუკიდებელი სახელმწიფო არ ყოფილა, საჭირო გახდა ახალი სახელმწიფოსთვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. განსაკუთრებით ეს ეხებოდა კერძო სამართალს, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში არ არსებობდა, რადგან აკრძალული იყო როგორც კერძო საკუთრება, ისე კერძო სამეწარმეო საქმიანობა. ახალი კანონმდებლობის შექმნაში გერმანელი კოლეგები გვეხმარებოდნენ. მათთან თანამშრომლობით მომზადდა სამოქალაქო კოდექსი, მეწარმეთა შესახებ კანონი, სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი, კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და ა.შ. ყველა ეს კანონი დღემდე ძალაშია, თუმცა, სახელმწიფოს მშენებლობა ხანგრძლივი და რთული პროცესია. საქართველოში ამ პროცესში წინსვლასთან ერთად ბევრი ჩავარდნა იყო, მათ შორის სამართალშიც. სახელმწიფო ინსტიტუტების მატერიალური ბაზის მოწესრიგების თვალსაზრისით ბოლო წლებში ბევრი გაკეთდა: სასამართლოებისთვის აშენდა ახალი შენობები, სასამართლო სისტემა აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით, სამართალწარმოებაში დამკვიდრდა კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოსამართლეების კვალიფიკაცია ბევრ სფეროში გაუმჯობესდა, მოვიდნენ ახალი თაობის იურისტები, მაგრამ არის პრობლემა: იქ, სადაც სახელმწიფო ზეწოლას ახორციელებს მოსამართლეებზე, ძნელია სასამართლოს დამოუკიდებლობაზე საუბარი. ამიტომ, საყვედური, რომელიც ხშირად გაისმოდა და დღემდე გაისმის სასამართლოს მისამართით, შეეხება იმას, რომ მოსამართლეებს არ ჰქონდათ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. თუმცა, მიმაჩნია, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევა და მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა შემოწმდეს და თავი უნდა შევიკავოთ ყველა მათგანისათვის ზოგადი იარლიყის მიწებებისგან.

ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔ, ᲠᲝᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲔᲚᲘᲢᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲕᲘᲢᲔ ᲓᲐᲕᲑᲠᲣᲜᲔᲑᲝᲓᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲐᲜᲘᲭᲔᲑᲓᲐ.

სამართალში არსებულ პრობლემებზე მეტყველებდა სისხლის სამართლის საქმეებზე დიდი რაოდენობის პატიმრების არსებობა, სახელმწიფოს მხრიდან ქონების უკანონოდ ჩამორთმევისა და საკუთრების უფლების ორგანიზებული ხელყოფის ფაქტები. ზოგიერთ სფეროში, მაგალითად, კრიმინალურ იუსტიციაში, მოხდა სამართლის გამრუდება, მაგრამ თუ საზოგადოება ჯანსაღია, უნდა ეყოს ძალა ამ პრობლემებზე საჯაროდ იმსჯელოს და სადაც მათი გამოსწორება შესაძლებელია, გამოასწოროს კიდეც. კარგია, რომ ამის შესახებ დღეს უკვე ღია დისკუსიები მიმდინარეობს.

— თქვენი აზრით, სად უჭირს ქართულ სამართალს და რა თემებზე უნდა მიმდინარეობდეს დღეს საზოგადოებრივი და პროფესიული დისკუსიები?

— ამჟამად, იუსტიციის სამინისტროს დავალებით, ვმუშაობთ მეწარმეთა კანონის ახალ რედაქციაზე, რომელიც წლის ბოლოსათვის წარედგინება მთავრობას. ბევრი ცვლილების გამო მოქმედი კანონი პრაქტიკულად გამოყენებისათვის გამოუსადეგარი გახდა. რა ამოცანები გვაქვს ამ სფეროში? – პირველი, ჩვენ ვართ ევროპის კავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის წევრი, რაც გვავალდებულებს ევროპული სამართლის პრინციპები ქართულ სამართალში გადმოვიტანოთ. ეს ძირითადად ეკონომიკურ და სამოქალაქო კანონმდებლობას შეეხება, თუმცა, ადამიანის უფლებათა საკითხში მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის კანონმდებლობაც; მეორე – ვთვლი, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს დაწვრილებით წესებს. მაგალითად, როგორ უნდა განხორციელდეს კომერციული საქმიანობა, როგორ შევქმნათ იურიდიული პირები. ამის ტრადიცია, გამოცდილება საქართველოში არ არსებობდა, ამიტომ კანონს ჩვენთან მომწესრიგებლის ფუნქციასთან ერთად აღმზრდელობითი ფუნქციაც უნდა ეკისრებოდეს. ანალოგიური გამოწვევებია სხვა სფეროშიც. მთავარი ამოცანაა შევეცადოთ, რომ საერთაშორისო სტანდარტები დავნერგოთ. ეს გაგვიადვილებს ევროპის კავშირში ინტეგრაციას და ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამართალთან შედარებით ქართული სამართალი საკმაოდ განვითარებულია და საკითხები, რომლებიც ჩვენ ჯერ კიდევ 20 წლის წინ გადავწყვიტეთ, მაგალითად, სამართლის დაყოფა კერძო და საჯარო სამართლის სფეროებად, ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ჯერ კიდევ გადასაწყვეტი და მოსაგვარებელია.

— 2004 წელს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ვადის ამოწურვის შემდეგ თუ გქონდათ შემოთავაზებები საქართველოს ხელისუფლებიდან?

— კი, იყო ასეთი შემოთავაზებები, მაგრამ მე სამეცნიერო საქმიანობა უფრო მაინტერესებდა. სხვა მიზეზებიც იყო: დავინახე, რომ პოლიტიკურ ელიტას საქართველოში ნაკლებად აინტერესებდა სამართალი და ქვეყნის სამართლებრივი განვითარება, ამიტომაც გადავწყვიტე დავბრუნებოდი სამეცნიერო საქმიანობას, რომელიც ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. თითქმის 10 წელია უკვე გერმანიაში ვსაქმიანობ და ამ პერიოდში ჩემი სამეცნიერო პროდუქტიულობა ძალიან გაიზარდა; დაახლოებით 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ვარ, რომელთაგან ბევრი გამოქვეყნებულია უცხო ენებზე.

— ხომ არ გქონდათ განცდა, რომ მოგიწევდათ პრინციპულად მიუღებელი საქმიანობა. ამიტომ ხომ არ აარიდეთ თავი საქართველოში საქმიანობას?

— ნაწილობრივ ასეც იყო. თანაც, სასამართლო ხელისუფლებას საქართველოში კეთილისმსურველი და გულშემატკივარი ნაკლებად ჰყავდა.

— სასამართლო ხელისუფლება ხელისუფლების მესამე შტოა და ალბათ, კეთილისმსურველებზე არც უნდა იყოს დამოკიდებული...

— სასამართლო ხელისუფლება პირობითად ითვლება ხელისუფლებად და ვერასოდეს გაუწევს კონკურენციას აღმასრულებელ ან საკანონმდებლო ხელისუფლებას. სასამართლო არ წარმოადგენს ერთ ხელმძღვანელზე დამოკიდებულ იერარქიულ სისტემას, აქ კონკრეტული მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე. მთავარი, რისი გაკეთებაც სახელმწიფოს შეუძლია, არის ის, რომ უზრუნველყოს კონკრეტული მოსამართლის დამოუკიდებლობა, კვალიფიკაცია და არ ჩაერიოს მის საქმიანობაში.

— ასეთი სკეპტიციზმის მიუხედავად, თქვენ 2003 წელს საუკეთესო რეფორმატორად დასახელდით, თუმცა იმ პერიოდში რეფორმატორობაზე სხვა პოლიტიკურ ჯგუფს ჰქონდა პრეტენზია...

— წლის რეფორმატორის პრიზი ამერიკის იურისტთა ასოციაციამ გადმომცა ქალაქ ტირანაში, რადგან მიიჩნიეს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო პოსტსაბჭოთა სივრცეში კომპეტენტური და მიუკერძოებელი სასამართლო იყო.

უნდა ითქვას, რომ მაშინ საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთი ქვეყანა გახლდათ, რომელმაც უზენაესი სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების გამოქვეყნება დაიწყო. მანამდე გადაწყვეტილებები საერთოდ არ ქვეყნდებოდა. ჩვენი მიზანი იყო, რომ სასამართლო დაქვემდებარებოდა კონტროლს საზოგადოებისა და პროფესიონალების მხრიდან და პროცესი ყოფილიყო გამჭვირვალე. დიდი მიღწევა იყო ისიც, რომ იმ პერიოდში უზრუნველყოფილი იყო მოსამართლეთა დამოუკიდებლობა. ასევე, მაშინ ჩაეყარა საფუძველი იუსტიციის უმაღლესი სკოლის შექმნის იდეას. სხვათა შორის, სწორედ ჩემი ინიციატივა იყო პატრულის პროექტიც. იმ პერიოდში სამთავრობო კომისიას ვხელმძღვანელობდი, რომელიც სამართალდაცვის ორგანოების რეფორმების პროექტს ამზადებდა და ამ რეფორმის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ავტოინსპექციის გაუქმებას და პატრულის შექმნას ითვალისწინებდა. ასე რომ, საქართველოს განვითარება 10 წლის წინ არ დაწყებულა, ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობდა და კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ხაზი გადაესვას ყველაფერს იმას, რაც მანამდე გაკეთდა.

— რას უსურვებთ სასამართლო ხელისუფლებას და ქართულ სამართალს?

— ჩვენ გვყავს ახალი თაობის მაღალი კვალიფიკაციისა და ენთუზიაზმის მქონე იურისტები. სახელმწიფოს პოლიტიკური ხელისუფლების პასუხისმგებლობაა ის, რომ ამ ადამიანებს ცუდი საქმე არ გააკეთებინოს. ასევე, სამართლის და სახელმწიფოს განვითარების თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების შეცვლა მოხდა კონსტიტუციური გზით, ეს უკვე სახელმწიფოს სიმწიფის დასტურია და ხელს შეუწყობს საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას. მიმაჩნია, რომ ჩვენ გვაქვს პოტენციალი, საქართველო გახდეს კარგი სამართლებრივი სახელმწიფო და დარწმუნებული ვარ, რომ ეს მოხდება.

— ბოლო დროს გარკვეულ წრეებში გაჩნდა სკეპტიციზმი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივასთან დაკავშირებით. რა შანსები აქვს საქართველოს ამ მხრივ?

— ასეთი შანსი არსებობს და გამორიცხულიც არაფერია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ევროპული სტანდარტების დანერგვა მხოლოდ ევროკავშირის წევრობისთვის კი არ უნდა გვინდოდეს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენმა ხალხმა ნორმალურ პირობებში იცხოვროს. სხვა ალტერნატივა არც გვაქვს. ევრაზიულ კავშირს სერიოზულად არც მოვიაზრებ. ჩვენი ორიენტაცია არის დასავლური, ევროპული და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს ორიენტაცია ხალხის კეთილდღეობას მოხმარდეს.

— სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის გარდა ხომ არ გეგმავთ სხვა ტიპის აქტივობებს მომავალში, ვთქვათ, სამოქალაქო სექტორში ჩართვას?

— სამოქალაქო საზოგადოება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო სფეროა. დღემდე ვთანამშრომლობ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან, თუმცა, პრობლემა ის არის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობა უცხოური გრანტების იმედად იქმნება და ინიციატივებიც ისეთია, რომელიც საზოგადოების შიგნით კი არ დაბადებულა, არამედ გარედან მოდის. ესეც იმის მაჩვენებელია, რომ განვითარების თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები არსებობს ჩვენს საზოგადოებაში.

— თქვენ ხომ არ აპირებთ მსგავსი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას?

— ვფიქრობთ და უახლოეს მომავალში გაიგებთ ალბათ. გვაქვს რამდენიმე ინიციატივა და ეს ინიციატივები მალე გახმიანდება.

— მოდით, ცოტა ოჯახზეც მოგვიყევით.

— მყავს მეუღლე და შვილები, რომლებიც საქართველოს დიდი პატრიოტები არიან. ამჟამად გერმანიაში სწავლობენ. ვაჟი მომავალ წელს დაამთავრებს გიმნაზიას, გოგონა მეცხრე კლასშია.

— საქართველოში დაბრუნებაზე თუ ფიქრობთ?

— რა თქმა უნდა, ნებისმიერ დროს. გერმანიაში მუდმივად ცხოვრებას არ ვაპირებ.

მოამზადა **ᲚᲔᲚᲐ ᲙᲣᲠᲫᲦᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ**

საუნივერსიტეტო საზოგადოებას შეუძლია მახათას მთაზე სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის მონაწილე გახდეს

მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის ფონდის „ივერიისა“ ხელმძღვანელი, ქველმოქმედი, ოპერის მომღერალი პაატა ბურჭულაძე და სასულიერო აკადემიის რექტორი მამა გიორგი ზვიადაძე თსუ-ის რექტორსა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის მნიშვნელობისა და მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება გახლდათ. პაატა ბურჭულაძემ საუნივერსიტეტო საზოგადოებას ტაძრის მშენებლობის ფონდის მუშაობის სქემაც გააცნო, რომელიც ნებისმიერ ადამიანს მშენებლობის პროცესში ჩართვის შესაძლებლობას აძლევს. ღონისძიება გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ორგანიზებით 4 ნოემბერს გაიმართა.

ნატო ოგოლაძე

„მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის მშენებლობის ფონდში ბევრი ადამიანი იღებს მონაწილეობას, თუმცა ჩვენ გვინდა მივაწოდოთ ინფორმაცია მათაც, ვინ ამის შესახებ ჯერ კიდევ არ იცის. რაც შეეხება იმას, თუ რატომ ხდება ამ ტაძრის მშენებლობა, ნაწინასწარმეტყველებია, რომ როდესაც ივერიის ღვთისმშობლის ხატი ათონის მთას სასწაულებრივად დატოვებს, ეს ათონელი ბერებისთვის მეორედ მოსვლისა და ათონის ნახევარკუნძულის ზღვაში ჩაძირვის პირველი ნიშანი იქნება. ხატი კი საქართველოში ჩამობრძანდება და ტაძარიც სწორედ ამ მიზნით შენდება. საეკლესიო პირები ამაზე ხმამაღლა არ საუბრობენ, თუმცა მე არ ვარ სასულიერო პირი და შემიძლია ამის შესახებ მოგახსენოთ. ასევე გეტყვით, რომ 10 წლის უკან 10-მდე ბიზნესმენის დახმარებით ამ ტაძრის მშენებლობის დაწყება ვცადეთ, თუმცა ამ მიდგომამ არ გაამართლა, ფონდის სქემით კი ტაძრის აღმშენებლობის პროცესი დაიწყო და მასში 240 000-ზე მეტი ადამიანია ჩართული“, — განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

სასულიერო პირები მიიჩნევენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი სრულიად საქართველოს მიერ აშენდეს. შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული შეხვედრა ტაძრის მშენებლობის პროცესში კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია.

„როდესაც ისრაელი გადასახლებაში იყო, ეს იყო უმძიმესი პერიოდი მის ისტორიაში. როდესაც ტყვეობიდან ბრუნდებიან, პირველად იერუსალიმის ტაძრის ხელმეორედ აშენებას იწყებენ. საქართველოს გასამთლიანებლად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ეს ტაძარი ყველამ ერთად ააშენოს ეკლესიური ცნობიერებითა და ღვთისმშობლის მიმართ უდიდესი მადლიერებით, რომელიც ჩვენი ქვეყნის მფარველია“, — აღნიშნა თბილისის სასულიერო აკადემიის რექტორმა მამა გიორგი ზვიადაძემ.

პაატა ბურჭულაძესთან შეხვედრაზე გაიმართა დოკუმენტური ფილმის ჩვენებაც, რომელიც ივერიის ყოველადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ამჟამინდელი სამყოფლის — ათონის მთის ივერონის ქართული მონასტრის ისტორიას ასახავს. ასევე გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები და მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობის ფონდში გაერთიანების მსურველთათვის სპეციალური ანკეტები. ანკეტებში შესულია მოსახსენებელიც, სადაც ტაძრის აღმშენებლებს ცოცხალ და გარდაცვლილ ახლობელთა სახელებისა და გვარების შეტანა შეუძლიათ. შესაბამისად გაღებული შეწირულობა მათ სახელზეც ჩაითვლება.

„ამ ტაძრის იდეა და მისი აშენება მართლაც რომ ისტორიული მოვლენაა. დიდი მადლობა ღონისძიების ორგანიზატორებს, რომ ამ სახალხო საქმეში მოინდომეთ უნივერსიტეტის ჩართვაც. ვფიქრობ, ამ საქმეში მთელი საქართველო მიიღებს მონაწილეობას. ბატონი პაატა დიდ საქმეს აკეთებს საქართველოსთვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსიც შეწირულობებით აშენდა და დღეს ძალიან კარგად ვიცით — თუ რა როლი შეასრულა მან ქვეყნის ისტორიაში“, — განაცხადა შეხვედრაზე აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გამოჩენილი ქართველი მომღერალი, საზოგადო მოღვაწე, ბატონი პაატა ბურჭულაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა. მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობა საერთო ქართული საქმეა და ყველა ადამიანი, მეტ-ნაკლებად, შესაძლებლობების ფარგლებში არის ჩართული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს პროექტი აუცილებლად უნდა განხორციელდეს. უნივერსიტეტი ასეთი სახის მამულიშვილურ საქმეში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას. ვფიქრობ, ის განწყობა, რომელიც შეხვედრაზე გამოვლინდა, სრულიად უნივერსიტეტის განწყობას გამოხატავს, “ — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ.

მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის აღმშენებლებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები უკვე შეუერთდნენ. უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს დაეგზავნა ინფორმაცია და

ანკეტების ფორმა მახათას მთაზე მიმდინარე სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად. შევსებული ანკეტები თავს მოიყრის რექტორის თანაშემწე ირმა რუხაძესთან. ირმა რუხაძის ინფორმაციით, ამ დროისთვის შეწირულობის გაღების სურვილი საკმაოდ ბევრმა უნივერსიტეტელმა უკვე გამოთქვა და ნოემბრის თვის ბოლოდან მათთვის სასურველი თანხა ტაძრის მშენებლობის ფონდში გადაირიცხება.

„დედა უნივერსიტეტს საამაყო ქართველი პაატა ბურჭულაძე ესტუმრა, რომელმაც თავისი შემოთავაზებით – მონაწილეობა მიგვეღო მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის აღმშენებლობაში — ფაქტიურად თავი მოუყარა ყველა უნივერსიტეტელის სურვილს და საყოველთაო ქველმოქმედებისკენ მოგვიწოდა. ეს, ალბათ, ერთ-ერთი იღბლიანი დღე იყო ბევრი უნივერსიტეტელისთვის. პატრიარქი ასე მიიჩნევს: ვაშენებთ, ვეხმარებით, შევეწევით იმ საქმეს, იმ ადამიანებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ჩავიდინოთ ქველმოქმედება და ამისთვის მადლობელი უნდა ვიყოთ! ზუსტად ასეთი შეგნებით მოეკიდა საუნივერსიტეტო საზოგადოება ამ შემოთავაზებას და ნოემბრის თვიდან ქველმოქმედების მსურველების ყოველი თვის ხელფასიდან სასურველი თანხა გადაერიცხება ფონდს „ივერიისა“ მანამ, სანამ ტაძარი იკურთხება. ვფიქრობ, რომ საქველმოქმედო აქცია მოულოდნელ მასშტაბსა და შედეგს მიაღწევს“, — გვითხრა ირმა რუხაძემ.

აღსანიშნავია, რომ მახათას მთაზე ტაძრის გარდა სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაც იგეგმება, სადაც პატრიარქის რეზიდენცია, მიუსაფარ ბავშვთა სკოლა, სახელოსნოები, სატრაპეზოები, მუზეუმი განთავსდება.

> ვლადიმერ პაპავა:
> ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს პროექტი აუცილებლად უნდა განხორციელდეს. უნივერსიტეტი ასეთი სახის მამულიშვილურ საქმეში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას. ვფიქრობ, ის განწყობა, რომელიც შეხვედრაზე გამოვლინდა, სრულიად უნივერსიტეტის განწყობას გამოხატავს

წიგნის თარო

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანე — „დამოუკიდებლობის 1028 დღე“

როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის რთულ სამწლეულში? როგორი იყო მათთვის 1028 დღე — 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 18 მარტამდე, როდესაც ბათუმიდან გასულმა გემმა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში წაიყვანა? — ეს კითხვები დღესაც არსებობს, ამიტომ, იმ პერიოდის „გაცოცხლება“, მისი კვლევა და ობიექტური ანალიზი ყველა თაობას ვალად აწევს, ამაზე კი, უპირველესად, ახალგაზრდობამ უნდა იზრუნოს. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ახალი ნაშრომი — „ყოველდღიური მატიანე“, რომელიც თსუ-ის საქართველოს ისტორიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორ დიმიტრი შველიძის ხელმძღვანელობით განხორციელდა. წიგნის დაწერის იდეა მან თავის მაგისტრანტ სტუდენტებს გააცნო, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ საქმიანობას. მათი შრომის პროდუქტს სულ მალე გაეცნობა საზოგადოება.

რატომ და როგორ შეიქმნა „ყოველდღიური მატიანე“? — ამ თემაზე გვესაუბრება პროექტის ხელმძღვანელი **დიმიტრი შველიძე.**

შურთხია გეროშვილი

„საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდი, ისტორიული ხანგრძლივობის თვალსაზრისით, დროის მცირე მონაკვეთია, მაგრამ ის მაინც იგავის — „პატარა ოქროს ხანის“ სახით დარჩა თანამედროვეთა თუ მომდევნო თაობების ხსოვნაში. ამის მრავალი მიზეზი არსებობს. შინაურმა და გარეშე მტრებმა სცადეს ქართველი ერის მეხსიერებიდან ამოეძირკვათ პირველი ქართული დამოუკიდებლობის ისტორია და მისი შემოქმედი ისტორიული პიროვნებები. 70 წლის მანძილზე იკრძალებოდა 1918 -1921 წლების საქართველოს ისტორიის ობიექტური შესწავლა. მას შემდეგ, რაც „ბოროტების იმპერიას“ — საბჭოთა კავშირს ბოლო მოეღო, ქართულ ისტორიოგრაფიაში დაიწყო პირველი ქართული დამოუკიდებელი რესპუბლიკის ისტორიის კვლევის ინტენსიური პროცესი, დღეს მნიშვნელოვანნილად არის შესწავლილი ამ პერიოდის საკვანძო საკითხი, თუმცა, პროცესი გრძელდება და მომავალშიც მეტია საკეთებელი, ვიდრე ბოლომდე არ აღდგება პირველი ქართული რესპუბლიკის ისტორიის ფუნდამენტური და ყოვლისმომცველი სურათი“, — აღნიშნავს პროფესორი დიმიტრი შველიძე. მისი თქმით, საისტორიო მეცნიერების კვლევის კიდევ ერთი მეთოდი და საშუალება ყოველდღიურობის ისტორიის შესწავლაა. „ამ კუთხით, 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის წარმოჩენა საშუალებას მოგვცემს ყოველდღიურ დინამიკას დავაკვირდეთ. ამით მკითხველს საშუალება მიეცემა დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრება ყოველდღიური მოვლენების ფონზე წარმოიდგინოს“, — ამბობს დიმიტრი შველიძე.

ნაშრომი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური ამბების კრებულია. ინფორმაცია ამოღებულია 1918-1921 წლების საქართველოში გამოსული გაზეთებიდან, ძირითადად გამოყენებულია იმდროინდელი ოფიციალური გაზეთის — „საქართველოს რესპუბლიკის“ მასალები. გარდა ამისა, ავტორ-შემდგენელთა ჯგუფი ინტენსიურად ამუშავებდა მასალებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთ „საქართველოსა“ და სოციალისტ – ფედერალისტთა პარტიის ორგანო — „სახალხო საქმის“ მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ მოვლენათა ქრონიკების სახით გადმოცემულ ტექსტში არ არის მეცნიერული ანალიზი და არც შეფასებები. „მატიანეში“ ყოველდღიური ყოფითი



წვრილმანებია წარმოჩენილი — პოლიტიკური პროცესი, კულტურული ღონისძიებები, დედაქალაქისა და პროვინციების ცხოვრება, პროვინციების ამბები, ეკონომიკური სიახლეები და სხვა.

წიგნს 15 თანაავტორი ჰყავს, ესენი არიან თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტები. პროექტის ხელმძღვანელის დიმიტრი შველიძის თქმით, ისინი თავიდანვე დიდი ენთუზიაზმით მოეკიდნენ ამ საქმეს და კარგადაც გაართვეს თავი.

„ერთი წლის წინ ბატონმა დიმიტრიმ შეგვკრიბა და თავისი იდეა გაგვაცნო. წიგნზე მუშაობა საინტერესო იყო. გარდა იმისა, რომ ცოდნა გავიღრმავეთ, საშუალება მოგვეცა გამოგვევლინა ჩვენი პოტენციალი. ჩემი საკვლევი პერიოდი იყო 1919 წლის ზაფხულის სამი თვე, სადაც შევეცადე, პოლიტიკურ ცხოვრებასთან ერთად ამესახა იმდროინდელი საზოგადოების ყოველდღიური ყოფა და საქმიანობა. ვფიქრობ, თითოეული ჩვენგანისთვის ნაყოფიერი და საინტერესო იყო სამუშაო პროცესი“, — ამბობს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მაგისტრი მანუჩარ გუნცაძე.

დიმიტრი შველიძის აზრით, ეს წიგნი სტუდენტებისთვისაც და ფართო საზოგადოებისთვისაც, ვისაც ოდნავ მაინც აინტერესებს საქართველოს ისტორია, საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ ძალიან ბევრი რამით ჭკუის სასწავლებელია. წიგნის პრეზენტაცია უმოკლეს ვადაშია დაგეგმილი.

| ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡ |

ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲠᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ ᲬᲐᲛᲝᲡᲬᲔᲕᲗ?

ᲓᲐᲛᲐᲜᲐ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორი:

— მას შემდეგ, რაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში გაერთიანდა 6 ფაკულტეტი, გაუქმდა კათედრები და ნაცვლად ამისა, „სტრუქტურირების“ რამდენიმე ეტაპის შემდგომ ჩამოყალიბდა ე.წ. ინსტიტუტები, მათ შორის ე.წ. „ქართული ენის ინსტიტუტი“, რომელშიც გაერთიანდა ორი კათედრა: ძველი და ახალი ქართული ენისა, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდა შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევის დეპარტამენტი და ქართველური ენათმეცნიერების დეპარტამენტი.

თითქმის მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით გაუქმდა კათედრებთან არსებული სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიები, მათ შორის ქართული ენის კათედრებთან არსებული ონომასტიკის რესპუბლიკური ცენტრი-ლაბორატორია (რომელსაც საბჭოთა პერიოდში მინისტრთა საბჭოს დადგენილებით აფინანსებდა საქართველოს განათლების სამინისტრო) და ძველქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი ლაბორატორია „ორიონი“, რომლებიც დღეს ნომინალურად განაგრძობენ „არსებობას“ და დამოკიდებულნი არიან გარე დაფინანსებაზე (ძირითადად „რუსთაველის ფონდში წარდგენილი პროექტის გამარჯვების შემთხვევაში).

ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში აღრიცხული და დაცულია საქართველოს ტოპონიმიის ათასობით ბარათი. მასალის გარკვეული ნაწილი კომპიუტერულად დამუშავებულია და გამოცემულიც, მაგრამ დარჩენილია დიდი ნაწილი, რომლის დამუშავება და გამოცემა საშური საქმეა. კიდევ უფრო საშურია ჯერ კიდევ აღუწერელი რეგიონების აღწერა. ამ საქმის ნაყოფიერად წარმართვისთვის არ კმარა პერიოდულად გარე ფონდების (მაგ. „რუსთაველის ფონდის”) ფინანსური მხარდაჭერა. საჭიროდ მიგვაჩნია შიდა საუნივერსიტეტო ფონდიდან საშტატო ერთეულების გამოყოფა ან თანამშრომლების მიღება ხელშეკრულების წესით მაინც, რათა რეგულარულად მოეწყოს ექსპედიციები სათანადო რეგიონებში მასალის მოსაპოვებლად (როგორც ეს ხდებოდა ქართული ენის კათედრის არსებობის პერიოდში) და ამ მასალის კომპიუტერული დამუშავებისთვის. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ სამუშაო პროცესში დოქტორანტების და კურსდამთავრებული მაგისტრების ჩართვა (2 ქართველური ენათმეცნიერებისა და 1 ეთნოლოგიის მიმართულებიდან, ასევე, ხელშეკრულების წესით 1 კარტოგრაფის მოწვევა). ასევე, საჭიროა ცენტრის არსებული (დაძველებული) ტექნიკური ბაზის დამატებით უზრუნველყოფა კომპიუტერული ტექნიკით.

აქვე აღვნიშნავ, რომ ქართული ენის ინსტიტუტში ინახება დიდი რაოდენობის დიალექტოლოგიური მასალა, რომელიც საჭიროებს კომპიუტერულ ბაზაში შეტანას, დამუშავებას და გამოცემას. ამ საქმიანობაში საჭიროდ მიმაჩნია სტუდენტების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ჩართვა გარკვეული ანაზღაურებით, რაც ხელს შეუწყობს მომავალი მკვლევრების აღზრდას (ამგვარი პრაქტიკა არსებობს ევროპულ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში).

ᲘᲐᲒᲝ ᲙᲐᲭᲙᲐᲭᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი:

— მიმართულების ხელმძღვანელები ოფიციალური სტატუსით არც უნივერსიტეტის წესდებაში და არც უმაღლესი განათლების შესახებ კანონში არ ფიგურირებენ. მათ არანაირი ანაზღაურება არ აქვთ. ეს პოზიცია ინსტიტუციურად არის სიმბოლური არა მხოლოდ ფინანსური, არამედ სახელდების თვალსაზრისითაც, არადა ისინი პასუხს აგებენ პროგრამის შედგენაზე, გამართულობაზე, შინაარსზე, პედაგოგის მოწვევაზე. დღეს ისინი არიან, ფაქტობრივად, „აკადემიური დისიდენტები“ — მათი ფუნქციები არსად არ არის გაწერილი. საჭიროა რომ ეს სტატუსი სრულიად ფორმალურად და ოფიციალურად არსებობდეს. ეს არის ჩემი მოსაზრება.

ᲖᲐᲖᲐ ᲡᲮᲘᲠᲗᲚᲐᲫᲔ,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების პროფესორი:

— უნივერსიტეტთან მთელი ჩემი ცხოვრება მაკავშირებს და მოწმე ვარ, თუ როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში ვითარება. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ კონკურსებს თსუ-ში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, რომელიც სამჯერ — 2003, 2006 და 2009 წელს ჩატარდა. ჩემი აზრით, კონკურსების ასე ჩატარება – ერთდროულად ყველა აკადემიურ თანამდებობაზე ვაკანსიის გამოცხადება სამწლიანი ინტერვალით — მართებული არ იყო. ამგვარი სახით კონკურსი შეიძლება მხოლოდ ექსტრემალურ ვითარებაში ჩატარდეს. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შესარჩევად აუცილებელი იქნება საკანონმდებლო დონეზე სათანადო პრინციპების შემუშავება. ერთერთი უმთავრესი ამ მხრივ იმის განსაზღვრაა, კონკრეტულად რა დარგის პროფესორები ესაჭიროება მიმართულებას. ხშირად ეს ბალანსი დარღვეულია და მიმართულებაზე თავს იყრის ერთი და იგივე სპეციალობის რამდენიმე პროფესორი, მაშინ როცა ცალკეული დარგები შესაბამისი სპეციალისტების გარეშე რჩება. ამის გამო აუცილებელი ხდება გარედან სათანადო სპეციალისტთა მოწვევა კონტრაქტის საფუძველზე. უნივერსიტეტის ფუნქციონირების ეს ერთერთი არსებითი სეგმენტი რომ გამართული იყოს, აუცილებელია გავითვალისწინოთ სხვა ევროპული სასწავლებლების გამოცდილება და კონკურსი ამა თუ იმ მიმართულებაზე უნდა გამოცხადდეს არა ზოგადად პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, არამედ სწორედ შესაბამისი სპეციალობის პროფესორის აკადემიური თანამდებობისთვის. ცხადია, ვაკანსიის გამოცხადებისას კონკრეტულად უნდა იყოს გაწერილი შესაბამისი პირობებიც – როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო მუშაობის მიმართულებით.

მეორე საკითხია — სამუშაოს შეთავსების საკითხი. ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანი სრული შტატით ორ ან სამ ადგილზე მუშაობს, მათ შორის, ზოგჯერ — ერთსა და იმავე დაწესებულებაში. ბუნების კანონის თანახმად, ასეთი თანხვედრა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, აშკარაა ხშირად მნიშვნელოვანი შეუსაბამობაც და ხარვეზებიც, რაც თავს იჩენს როგორც სასწავლო-სამეცნიერო, ისე ადმინისტრაციული ასპექტებით. ეს საკითხიც საკანონმდებლო გზით არის დასარეგულირებელი. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ იმას, რომ ხელაღებით უარვყოთ ორი, ან სამი სამსახურის შეთავსება, მაგრამ ნათლად და მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ძირითადი და შეთავსებითი სამუშაოს პირობები (მათ შორის — სამუშაო დრო და საათები) და ანაზღაურებაც შესაბამისი უნდა იყოს. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს ვაკანსიათა ოპტიმიზაციას, აუცილებლად გამოთავისუფლდება თანხა და იგი შესაძლებელია სხვადასხვა მიმართულებით ბევრად უფრო მიზანმიმართულად გამოვიყენოთ.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲡ ᲓᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით 4 ნოემბერს ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე დაინიშნა. ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა თეიმურაზ ბერიძე ერთხმად აირჩიეს, წინააღმდეგი არავინ ყოფილა. იგი ფაკულტეტს გარკვეული დროით, დეკანის არჩევნებამდე უხელმძღვანელებს. არჩევნების ზუსტი თარიღი ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის.

საინტერესოა რა გეგმებისა და ინიციატივების განხორციელებას აპირებს დეკანის მოვალეობის ახალი შემსრულებელი, რომელიც საქმიანობას უკვე შეუდგა. გვესაუბრება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

— დეკანის მოვალეობის შესრულების დროს რა იქნება თქვენი მუშაობის ძირითადი პრიორიტეტები?

— ვინაიდან უნივერსიტეტი, უპირველეს ყოვლისა, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებაა, ბუნებრივია, ჩემი ყურადღება სასწავლო პროცესის სრულყოფასა და გაძლიერებაზე იქნება გამახვილებული. პრობლემები, რომელიც ზოგადად, უნივერსიტეტში არსებობს, კარგად იყო გააზრებული და ჩამოყალიბებული თსუ-ის რექტორის ბატონ ვლადიმერ პაპავას სამოქმედო გეგმაში. ეს პრობლემები ჩემთვისაც კარგად ცნობილია... ფაკულტეტის საქმიანობის სტრატეგიული მიზანია მაქსიმალურად მივუახლოოთ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესი, მისი შინაარსი და ფორმები საერთაშორისო სტანდარტებს. ამისათვის აუცილებელია სასწავლო პროგრამების სრულყოფა, თითოეული საგნის აქტუალიზაცია და ინფორმაციის წვდომა სტუდენტებისთვის. სასწავლო პროცესთან მიმართებაში ყოველთვის ორ მხარეს განვიხილავ — სტუდენტი და ლექტორი. სტუდენტებს ვურჩევ მაქსიმალურად გამოიყენონ ის წლები, რომელსაც უნივერსიტეტში ატარებენ. ხოლო რაც შეეხება მასწავლებელს და სწავლებას, მოგეხსენებათ, რომ სწავლის პროცესი არის მუდმივი და განახლებადი. არსებობს ასეთი გამოთქმა: ვასწავლი და ვსწავლობ! შესაბამისად, ლექტორებიც და მასწავლებლებიც მუდმივად უნდა იმაღლებდნენ თავის თეორიულ და პრაქტიკულ დონეს.

— რას გეგმავთ საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერების მიმართულებით?

— რაც შეეხება საერთაშორისო კონტაქტებს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. სწავლება საერთაშორისო სტანდარტებს უნდა მიუახლოვდეს. ამისათვის საჭიროა კოპერირება, აქტიური ურთიერთობა და თანამშრომლობა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით თუ სასწავლო ცენტრებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან. ჩვენი ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან და ვფიქრობ, რომ ეს არის ერთერთი მნიშვნელოვანი წყარო სასწავლო პროცესის ამაღლებისა და სრულყოფისთვის.

— რას გეგმავთ სამეცნიერო მიმართულების განვითარების მხრივ?

— სამეცნიერო მიმართულებით ვგეგმავთ კვლევითი ლაბორატორიების შექმნას კონკრეტულ, აქტუალურ თემატიკაზე, როგორიცაა ეკონომიკის გლობალიზაცია, თანამედროვე მენეჯმენტის საკითხები, ბიზნესის მართვის თანამედროვე მეთოდები და ა.შ.

— რას პირდებით ფაკულტეტის სტუდენტებს?

— ჩემთვის მნიშვნელოვანია — რამდენად კმაყოფილია სტუდენტი არსებული გარემოთი. ამის საუკეთესო მაჩვენებელია გამოკითხვის ჩატარება. ასეთი გამოკითხვა პირველკურსელებთან პირადად გავაკეთე და შედეგით კმაყოფილი დავრჩი. სტუდენტთა დიდმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ სწორი არჩევანი გააკეთა.

დღეს აქტუალური პრობლემაა კურსდამთავრებულების დასაქმებაც. მართალია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში უმუშევრობის გარკვეული დონე ყოველთვის იქნება, მაგრამ პრობლემაა მისი მინიმიზაცია. უნივერსიტეტში უნდა შეიქმნას კარიერული ცენტრი, რომელიც გარკვეული დოზით მაინც შეუწყობს ხელს ამ საკითხის გადაჭრას.

ასევე მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის ზნეობრივ-მოქალაქეობრივი აღზრდაც. მართალია, ისინი უნივერსიტეტში გარკვეული გამოცდილებით მოდიან, მაგრამ უნივერსიტეტს ისეთ დაწესებულებად ვთვლი, რომელიც მათ პროფესიულ ზრდასთან ერთად აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებაზეც უნდა ზრუნავდეს. ამის მისაღწევად აუცილებელია სხვადასხვა უნარების კომპლექსური განვითარება, რათა ახალგაზრდობამ უკეთ გააცნობიეროს საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიცია. როდესაც იგი უნივერსიტეტის კედლებს დატოვებს, უკვე სამოქალაქო საზოგადოების სრულყოფილი, სრულფასოვანი წევრი უნდა იყოს. ბევრმა ახალგაზრდამ არ იცის — ეს როგორ გააკეთოს, არადა, პრაქტიკულად, სამოქალაქო საზოგადოება ყველაზე კარგი ინსტრუმენტია სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის მისაღებად. ვფიქრობ, რომ ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტი მათ საჭირო უნარ-ჩვევებს მისცემს.

„ᲙᲐᲙᲝᲡ ᲔᲞᲝᲥᲐ“ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ

„როგორც საბჭოთა კავშირი აზანზარებდა მთელ მსოფლიოს, ისე ბატონი კაკო აზანზარებდა უნივერსიტეტის მთელ იურიდიულ ფაკულტეტს“, — ასე დაიწყო თავისი მისალოცი სიტყვა სამართლის დოქტორმა, პროფესორმა ლადო ჭანტურიამ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის, აკაკი ლაბარტყავას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემული წიგნის — „მამულიშვილი, პედაგოგი, მეცნიერი“ პრეზენტაციაზე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 8 ნოემბერს გაიმართა.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

კრებულში თავმოყრილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საიუბილეო საღამოზე გაკეთებული მისალმებები და მილოცვები, ასევე, იუბილარისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომები.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ იურისტები: მალხაზ სალაყაია, გოჩა ფარულავა, მერაბ სიჭინავა, თემურ გოგსაძე, ნინო გინტური. ღონისძიებას აკაკი ლაბარტყავას სტუდენტები – თსუ-ის პროფესორები, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პრეზენტაცია გახსნა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა, რომელმაც მოკლედ ისაუბრა კრებულის შინაარსობრივ მხარეზე და მადლობა გადაუხადა იუბილარს იურიდიული ფაკულტეტის განვითარებისთვის გაწეული ღვაწლისათვის.

სამართლის დოქტორმა, პროფესორმა ლადო ჭანტურიამ დაწვრილებით მიმოიხილა კრებულში შესული მოგონებები, მისალმებები, მილოცვები, რომელთა ავტორებიც აკაკი ლაბარტყავას კოლეგები, მეცნიერები და ყოფილი სტუდენტები არიან. მან ასევე საინტერესოდ ისაუბრა აკაკი ლაბარტყავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან დეტალებსა და პიროვნულ ღირსებებზე. „ჩემი თაობის იურისტებს, ბატონი აკაკი გვახსოვს, პირველ რიგში, როგორც იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, რომლის შიშითაც იურიდიულ ფაკულტეტზე „დაბლა ჭიანჭველა ვერ გაივლიდა და მაღლა ჩიტი ვერ გადაფრინდებოდა“. ამბობენ, იმ კაბინეტის კედელს, სადაც ბატონი კაკო

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲒᲕ. 14-ᲖᲔ

„საბავშვო უნივერსიტეტი“ რეგიონებში თსუ-ის პოპულარიზაციის მიზნით „მოგზაურობს“

ვიზიტი ქარელის რაიონის საჯარო სკოლებში

„თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი“ აქტიურად მუშაობს საქართველოს რეგიონებში. ლექციები და შეხვედრები პატარა ქალაქების და სოფლების სკოლებშიც ტარდება, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონში მცხოვრები მოსწავლეებისათვის. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნივერსიტეტის, როგორც ქვეყნის პირველი და მთავარი უმაღლესი სასწავლებლის, პრეზენტაციას ეთმობა.

ამ მხრივ საინტერესო და ნაყოფიერი იყო „თსუ საბავშვო უნივერსიტეტისა“ და ქ. ქარელის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ხელმძღვანელის გიორგი კობახიძის ერთობლივი ინიციატივით განხორციელებული შეხვედრა 15 ნოემბერს, სადაც ქარელის საჯარო სკოლების და „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ თანამშრომლობის პერსპექტივები და ფორმები განიხილეს. დაიგეგმა ერთობლივი საგანმანათლებლო, შემეცნებითი თუ არაფორმალური პროექტების განხორციელება. ბატონ გიორგი კობახიძის თქმით, ასეთ შეხვედრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რაიონის ახალგაზრდობისთვის, რადგან ისინი ტერიტორიული ფაქტორის გამო მოწყვეტილნი არიან დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო სივრცეს, ნაკლები წვდომა აქვთ განათლების სისტემაში დანერგილ სიახლეებსა და ინიციატივებზე.

თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორმა მარინა ლომოურმა დიდი მადლობა გადაუხადა გიორგი კობახიძეს მოწვევისთვის. „საბავშვო უნივერსიტეტი“ 2007 წლიდან გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც გარკვეულ იდეოლოგიას ატარებს. ამ იდეოლოგიაში ჩადებულია უნივერსიტეტის მისია, ხედვა, რომელიც ქვეყნის საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრის ფუნქციებს სცილდება და მოქალაქეების სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს თამაშობს. ამიტომ ვიწყებთ ჩვენ სკოლებიდან. დღეს, თანამედროვე ევროპა კარგი განათლების მქონე სპეციალისტს აღიქვამს, როგორც სტრატეგიულ რესურსს და ხელს უწყობს მის განვითარებას. დიდ როლს თამაშობს თსუ-ის პროფესურა, რომელიც „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში სრულიად უსასყიდლოდ მუშაობს და სკოლის მოსწავლეებში მეცნიერებისადმი ინტერესს აღვიძებს,“ — აღნიშნა მარინა ლომოურმა.

„საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორმა გიორგი გრიგოლაშვილმა, თსუ-ის პროფესორმა გიორგი დვალაშვილმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ძეგლის მეგობართა“ წევრმა სალომე ფაჩუაშვილმა გაცნობითი ხასიათის ლექციები წაიკითხეს აგარის და ქარელის პირველ და მეორე საჯარო სკოლებში. სტუმრებმა მოსწავლეებს გააცნეს უნივერსიტეტის ისტორია.

შთამბეჭდავი იყო შეხვედრა აგარის საჯარო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან და მოსწავლეებთან, რომლებსაც „საბავშვო უნივერსიტეტთან“ დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. ამ სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი „საბავშვო უნივერსიტეტის“ პროექტებში და ისინი „ნორჩ ასტრონომთა სკოლის“ ერთერთი მასშტაბური პროექტის გრან-პრის მფლობელებიც კი გახდნენ.

„საბავშვო უნივერსიტეტის“ პროგრამების კოორდინატორმა გიორგი გრიგოლაშვილმა მოსწავლეებს უფრო დაწვრილებით გააცნო მიზნები, პროგრამები და პროექტები. მან „თსუ დესპანის“ და „გააცანი შენი პროფესიის“ საორგანიზაციო ჯგუფის წევრთან, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტთან ნინო ნანეტაშვილთან ერთად მოსწავლეებს გააცნო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პროცესის სპეციფიკა, საინტერესო და აქტიური სტუდენტური ცხოვრების, გართობისა და დასვენების შესაძლებლობები. აქვე მოხდა პროექტის — „გააცანი შენი პროფესიის“ პრეზენტაციაც, რომელმაც მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების პროფესორმა გიორგი დვალაშვილმა ისაუბრა „თსუ საბავშვო უნივერსიტეტში“ შემავალ „ნორჩ გეოგრაფთა“ სკოლის საქმიანობასა და განხორციელებულ პროექტებზე, ასევე, სამომავლო გეგმებზე. მან მოსწავლეებს მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ სკოლის ინიციატივით ორგანიზებულ ვიქტორინაში, რომელიც დეკემბრის პირველ რიცხვებში გაიმართება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან.

ასევე საინტერესო და ინტერაქტიული იყო შეხვედრა ქარელის პირველ და მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. მათ ყურადღებით მოისმინეს „საბავშვო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლების გამოსვლები და თავის ინიციატივებზეც ისაუბრეს. შეხვედრაზე მრავალი საინტერესო კითხვა დაისვა თსუ-ის სასწავლო პროცესის, ფაკულტეტებისა და მომავალი პროფესიის არჩევის კუთხით.

ქარელის რაიონის საჯარო სკოლებში ვიზიტის დროს მკვეთრად გამოიხატა, რომ რაიონში მცხოვრები მოსწავლეები მწვავედ განიცდიან სამოქალაქო და საზოგადოებრივ სექტორში ნაკლებ აქტივობას, სკოლა თითქმის ვერ იჩენს ინიციატივას — ხელი შეუწყოს თავის მოსწავლეებს ახალგაზრდული ორგანიზაციების, სხვადასხვა კლუბების, გაერთიანებების ჩამოყალიბებაში, რაც მოსწავლეს, სამოქალაქო აქტივობის მხრივ, უფრო მოტივირებულსა და აქტიურს გახდის.

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ ამ მიმართულებითაც აქტიურ მუშაობას გეგმავს ქარელის სკოლებთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრთან.

ვიზიტი ახალქალაქში

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ წარმატებულად აგრძელებს საგანმანათლებლო პროექტს არაქართულენოვანი რეგიონების სკოლებშიც. დღეს განათლების პრობლემა მთელი სიმწვავით დგას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. თუ ეროვნულ უმცირესობებს არ მივეცით ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ადაპტირების საშუალება და არ ვასწავლეთ ქართული, ეს მიგვიყვანს იქამდე, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები პოტენციური ემიგრანტები გახდებიან.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებული პრობლემები ხშირად უშუალოდ უკავშირდება მძიმე სოციალურ ვითარებას. სხვა ქალაქიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსულ სტუდენტს გაცილებით მეტი ფული სჭირდება, ვიდრე თბილისელს, ხოლო არაქართულენოვან სტუდენტს ერთი წლით მეტი სწავლა უხდება – იგულისხმება ბაკალავრიატში 4+1 წელი სწავლა, რადგან სტუდენტი ერთი წლის განმავლობაში ქართულ ენას სწავლობს. ამიტომაც არის ახალქალაქში ისეთი განწყობა, რომ მათთვის უფრო ადვილია, სასწავლებლად ერევანში წავიდნენ, ვიდრე თბილისში. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტი ჩართულობა არაქართულენოვანი რეგიონების სკოლების საქმიანობაში თანამშრომლობისა და მეტი ინფორმირებულობის მიზნით.

ამ მხრივ ნაყოფიერი გამოდგა 25 ოქტომბერს „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ ვიზიტი ახალქალაქის საჯარო სკოლებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრში.

შეხვედრა გაიმართა ახალქალაქის ქართულ და რუსულ სკოლებთან. ასევე ახალქალაქის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან ნარციას კარაპეტიანთან. შეხვედრის დროს განიხილეს უნივერსიტეტსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრს შორის თანამშრომლობის და სამომავლო პროექტების გეგმები. ჯავახეთის რეგიონში საგანმანათლებლო სივრცეში არსებული პრობლემები.

„საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორმა მარინა ლომოურმა და „საბავშვო უნივერსიტეტის“ პროგრამების კოორდინატორმა გიორგი გრიგოლაშვილმა „საბავშვო უნივერსიტეტის“ პროგრამებსა და ამ პროგრამებში ახალქალაქის სკოლების ჩართვის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე ისაუბრეს.

სკოლის მოსწავლეებს მიმართეს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკური მეცნიერების მიმართულების პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ, თსუ-ის პედაგოგიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ქეთევან ჭკუასელმა და თსუ-ის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა სანდრო მარუაშვილმა.

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ სისტემატურ საგანმანათლებლო პროგრამებს გეგმავს ჯავახეთის მხარის სკოლებთან. საწყის ეტაპზე დაგეგმილია ექსკურსიები უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, ერთობლივი კონფერენცია და ონლაინ ლექციები.

„საბავშვო უნივერსიტეტი“ აბიტურიენტებისთვის ახალ პროექტს იწყებს

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ სკოლის მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისთვის იწყებს ახალ პროექტს, რომლის მიზანია აბიტურიენტების ინფორმირება მომავალი პროფესიის შესახებ. პროექტის სახელწოდებაა: „გააცანი შენი პროფესია“. აბიტურიენტმა სწორად რომ დაგეგმოს საკუთარი პროფესიული კარიერა, საჭიროა ზუსტად იცოდეს — თუ რას გულისხმობს მისთვის სასურველი სპეციალობა, რა კონკურენტუნარიანობით ხასიათდება შრომის ბაზარზე და რა პერსპექტივებს მომცემია იგი კარიერული ზრდის თვალსაზრისით.

როგორც პროექტის კოორდინატორმა გიორგი გრიგოლაშვილმა განაცხადა: „პროექტი „თსუ დესპანის“ მიზანი აბიტურიენტებისთვის უნივერსიტეტის გაცნობა იყო. მართალია, ამ პროექტის ფარგლებში, სტუდენტები საკუთარი პროფესიის შესახებაც საუბრობდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს არ ყოფილა სისტემური და სავალდებულო კომპონენტი. ვითვალისწინებთ რა პროექტებში სტუდენტთა ჩართვის პოზიტიურ გამოცდილებას, მიგვაჩნია, რომ „გააცანი შენი პროფესია“ ანალოგიურ სისტემას შეიძლება დაემყაროს“.

პროექტის საწყისი ეტაპი ქ. თბილისის სკოლებს მოიცავს. დედაქალაქში არსებულ თითოეულ რაიონში შეირჩევა 6 სკოლა, სადაც სტუდენტები მოსწავლეებს, ერთი კვირის განმავლობაში, გააცნობენ თსუ-ის ექვსივე ფაკულტეტის მიერ შემოთავაზებული სპეციალობების შესახებ ინფორმაციას.

თბილისის მასშტაბით პროექტის დაწყების სავარაუდო თარიღია 25 ნოემბერი, რომელიც 6 კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

მეორე ეტაპი ქ. რუსთავის საჯარო სკოლებს მოიცავს, ხოლო მესამე ეტაპი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განხორციელდება. თითოეულ გასვლით შეხვედრაზე რეგიონებში პრეზენტაციას გააკეთებს პროექტის საორგანიზაციო ჯგუფი. გასვლით შეხვედრებზე პრიორიტეტი მიენიჭება კონკრეტულ რეგიონში მცხოვრებ თსუ-ის სტუდენტს. მეოთხე ეტაპი გულისხმობს არაქართულენოვან რეგიონის სკოლებში პროექტის განხორციელებას. პრიორიტეტი მიენიჭება რუსულენოვან, აზერბაიჯანულ და სომხურენოვან თსუ-ის სტუდენტებს.

პროექტში მონაწილე ყველა სტუდენტს გადაეცემა სერტიფიკატი. პრეზიდენტის სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში უპირატესობა იმ სტუდენტს ექნება, ვინც ამ სერტიფიკატის მფლობელი იქნება. „ვსარგებლობთ რა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გამოცდილებით, რომლებმაც „თსუ დესპანში“ მონაწილეობის დამადასტურებელ სერტიფიკატს მიანიჭეს ქულა, გვსურს, რომ აღნიშნული სტანდარტი ყველა ფაკულტეტზე დაინერგოს“, — აღნიშნავს „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორი მარინა ლომოური, რომელმაც ამ ინიციატივით თსუ-ის რექტორს, აკადემიკოს ლადო პაპავას მიმართა.

მოამზადა **თამარ დადიანმა**

„კაკოს ეპოქა“ იურიდიულ ფაკულტეტზე

მეცამეტე გვერდიდან





მოღვაწეობდა, დღემდე აქვსო ბზარები, ისე ომახიანად შემოსძახებდა ხოლმე მრისხანე დეკანის მოადგილე ზარმაც და უდისციპლინო სტუდენტებს, რომ ხელმეორედ ლექციაზე დაგვიანების ან გაცდენის სურვილიც კი არ უჩნდებოდა ვინმეს.

ბატონი აკაკი სტუდენტებზე გამორჩეულად მზრუნველი პედაგოგი იყო. შეიძლება მისი მეთოდები დღევანდელი გადასახედიდან მიუღებლად ჩანდეს, მაგრამ დისციპლინა, წესრიგი, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა ბატონი აკაკისთვის წმინდა და ხელუხლებელი ღირებულებები იყო და ამ ღირებულებებს ყავლი არ გასდით. ყველა ადამიანი, მით უფრო საზოგადოება, რომელსაც აქვს პრეტენზია იყოს წარმატებული და პროგრესული, უნდა ეყრდნობოდეს მათ. ეს არის ბატონი აკაკის მოღვაწეობის ძირითადი გაკვეთილი“, — აღნიშნა ლადო ჭანტურიამ.

სამართლის დოქტორმა, პროფესორმა გურამ ნაჭყებიამ დადებითად შეაფასა კრებული, სადაც თავმოყრილია აკაკი ლაბარტყავას, გოჩა ფერაძის, თევდორე ნინიძის, დავით ბოსტოღანაშვილის, თამარ ზარანდიას და სხვა მეცნიერების ნაშრომები და მილოცვები.

„ის დიდი გამოცდილება, რომელიც ბატონ აკაკის გააჩნია საუნივერსიტეტო მოღვაწეობის სფეროში, უბრალოდ, არ უნდა დაიკარგოს... სასურველი იქნება, რომ აკაკი ლაბარტყავა თსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრად წარვადგინოთ. რა თქმა უნდა, ეს ფაკულტეტის საბჭოს გადასაწყვეტია. ბატონი აკაკი ყველა იმ საქმეში, რასაც ხელს ჰკიდებდა, იყო გამორჩეული და იგი დღემდე რჩება ასეთად“, — განაცხადა პროფესორმა გურამ ნაჭყებიამ.

„მართალია, ეს კრებული პიროვნებისადმი მიძღვნილი დოკუმენტია, მაგრამ იგი ამ მოგონებებს ისტორიული დოკუმენტის ხასიათსაც აძლევს“, — ასე შეაფასა წინამდებარე კრებული სამართლის დოქტორმა, პროფესორმა თედო ნინიძემ.

გამორჩეული მეცნიერის აკაკი ლაბარტყავას სამეცნიერო მოღვაწეობასა და პიროვნულ ხიბლზე ვრცლად ისაუბრეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რომან შენგელიამ, პროფესორმა გია მეფარიშვილმა, ასოცირებულმა პროფესორმა დავით ბოსტოღანაშვილმა, იურისტებმა: ნინო მასხულიამ და სხვებმა. ჟურნალ „მეოხის“ მთავარმა რედაქტორმა თემურ გოგსაძემ სიყვარულითა და სითბოთი გაიხსენა უნივერსიტეტში გატარებული წლები და აღნიშნა, რომ ბატონი აკაკი მას და მის თანაკურსელებს დღემდე დიდი ყურადღებითა და ინტერესით ადევნებს თვალს, მათი მოღვაწეობისა და ცხოვრების ყველა დეტალი იცის, რაც თავისი აღზრდილების დიდი სიყვარულის მანიშნებელია.

ღონისძიების ერთერთმა ორგანიზატორმა, მალხაზ სალაყაიამ დიდი მადლობა გადაუხადა ლადო ჭანტურიასა და მის ძმას კრებულის გამოსაცემად გაწეული წვლილისთვის და აღნიშნა, რომ „ეს წიგნი თავისი შინაარსით მარტო მოგონებების კრებული კი არ არის, არამედ სახელმძღვანელოა იმისა, თუ როგორ უნდა აღიზარდოს პიროვნება უნივერსიტეტის კედლებში. აქ გახმაურებულია ფორმები და მეთოდები წვრთნისა, რომელიც მხოლოდ ბატონი აკაკი ლაბარტყავასეულია და მას ანალოგი არ ჰქონია. ამ სიტყვების შინაარსს ჩასწვდება ყველა, ვისაც გასული საუკუნის 70-90-იან წლებში უსწავლია და უმოღვაწია თსუ-ის როგორც იურიდიულ ფაკულტეტზე, ასევე, ზოგადად, უნივერსიტეტში“.

როგორც სამართლის დოქტორი, პროფესორი ირმა ხარშილაძე აღნიშნავს, ბატონ კაკოსთან დაკავშირებით უამრავი სახალისო ისტორია არსებობს, რომელიც ლეგენდასავით გადაეცემოდა იურისტთა თაობებს: „ერთი რამ, რაც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, არის ის, რომ თუკი ბატონი კაკოს გამოჩენა შიშის ზარს გვცემდა იმდროინდელ სტუდენტებს, დღეს ყველა სიყვარულით და სითბოთი მოვიხსენიებთ მას“.

უამრავი სახალისო ისტორია გაიხსენეს მისმა სტუდენტებმა, რასაც საოცარი გულწრფელობითა და სიყვარულით ყვებოდნენ. ღონისძიების ბოლოს სიტყვით გამოვიდა პროფესორი რამაზ გახოკიძე, რომელმაც პრეზენტაციის მნიშვნელობაზე ისაუბრა. პრეზენტაციის ბოლოს ბატონმა აკაკი ლაბარტყავამ, რომელიც გახლავთ საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი და ღირსების 2 ორდენით დაჯილდოებული, დიდი მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს, კრებულის შემდგენლებს, გამომცემლებს, ავტორებს და აღნიშნა, რომ ყველაზე სასიხარულო და საამაყო მისთვის კრებულის სახელწოდებაში გაჟღერებული სიტყვა „მამულიშვილია“ და რომ ამაზე დიდი შეფასება ვერ წარმოუდგენია!

| სტუდენტური შთაბეჭდილება |

საწარმოო პრაქტიკა კლაუს ჰიპის (HiPP GmbH) საწარმოში

ცნობილი გერმანელი მეწარმე, თსუ-ის საპატიო დოქტორი კლაუს ჰიპი განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან. ბატონი ჰიპი სტუდენტებისთვის გერმანულ ენაზე ყოველწლიურად კითხულობს საჯარო ლექციებს ბიზნესის ეთიკისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების საკითხებზე. წლის ბოლოს იგი ირჩევს რამდენიმე წარმატებულ სტუდენტს და საკუთარი სახსრებით იწვევს გერმანიაში, თავის საწარმოში პრაქტიკის გასავლელად. წელსაც, უკვე მესამედ, ბატონმა ჰიპმა შეარჩია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მორიგი 3 სტუდენტი: II კურსელი ლია ახალაია, III კურსელი ცოტნე მაისურაძე და IV კურსელი ირაკლი ქართველიშვილი.

სტუდენტებმა ზაფხულში ძალიან ნაყოფიერი პრაქტიკა გაიარეს გერმანიაში, HiPP GmbH-ის მთავარ საწარმოში.



ირაკლი ქართველიშვილი:

— პრაქტიკა Bio-Rohwarenhandel-ის განყოფილებაში გავიარე. ვაკვირდებოდი და უშუალოდ ვმონაწილეობდი ოპერაციებში, რომლებსაც ეს განყოფილება საერთაშორისო შესყიდვებისა და გაყიდვების მიმართულებით ახორციელებდა. ასევე გავეცანი წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის თანამედროვე, წამყვან მეთოდებს, რომელიც საქართველოში ამჟამად თითქმის არაა დანერგილი. ჩვენ ასევე საშუალება გვქონდა, დაგვეთვალიერებინა გერმანიის ულამაზესი და ყველაზე განვითარებული მხარე ბაიერნი. ამ პრაქტიკამ მნიშვნელოვანი გამოცდილება შემძინა და ამისათვის უღრმეს მადლობას ვუხდი ბატონ ჰიპს.

ლია ახალაია:

—სტუდენტებისთვის საუკეთესო შესაძლებლობაა უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკული თვალსაზრისით გამოიყენონ ისეთ წარმატებულ ფირმაში, როგორიცაა „HiPP“. პრაქტიკამ, რომელიც ლოჯისტიკის განყოფილებაში გავიარე, დიდი გამოცდილება და თავდაჯერებულობა შემძინა. აგრეთვე საპასუხისმგებლო იყო მაღალკვალიფიციურ მენეჯერებთან თანამშრომლობა, მოლაპარაკებებზე აქტიური ჩართულობა, მომხმარებლებთან ურთიერთობა. გარკვეულწილად დავეუფლე ფირმის სამუშაო პროგრამას — „SAP“. ეს პრაქტიკა კიდევ უფრო საინტერესო იყო იმ მხრივ, რომ შევძელი უფრო ახლოს გავცნობოდი არა მხოლოდ გერმანიის, არამედ ევროპის ეკონომიკურად მოწინავე რეგიონს, ბაიერნის ფედერაციულ მიწას. ასევე ბატონი ჰიპის შუამდგომლობით შევხვდი მნიშვნელოვან პიროვნებებს. ამგვარი შესაძლებლობებისათვის გულითად მადლობას ვუხდი ბატონ ჰიპს და ვუსურვებ წარმატებებს.

ცოტნე მაისურაძე:

— პრაქტიკა ექსპორტის განყოფილებაში გავიარე. ვმონაწილეობდი საერთაშორისო პროდუქტის მართვის მარკეტინგულ ოპერაციებში. კავშირი გვქონდა სხვადასხვა ბაზრების შუამავლებთან. ვაკეთებდი მიმოხილვას ბაზრებზე კონკურენტებისა და მომხმარებლების შესახებ. ასევე დეტალურად გავეცანი დეპარტამენტის თითოეული თანამშრომლის საქმიანობას. ვესწრებოდი დეპარტამენტის თათბირებსა და პრეზენტაციებს უმაღლესი მენეჯმენტისთვის. HiPP-ში დიდი გამოცდილება მივიღე, პრაქტიკულად დავინახე — თუ როგორ ფუნქციონირებს გერმანიის ერთერთი მოწინავე ორგანიზაცია, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ბატონ კლაუს ჰიპს.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი გულითად მადლობას უხდის ბატონ კლაუს ჰიპს იმისთვის, რომ იგი მსგავს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს ჩვენს სტუდენტებს და წარმატებებს უსურვებს მას.

უჩა გოგიშვილი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი

| მილოცვა |

შეუძლებელია არ შენიშნოთ, როგორ იხარჯება ყოველ ლექციაზე



დაბადებიდან 75 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობის 50 წელი შეუსრულდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის ასოცირებულ პროფესორს, ფიზიკა–მეთემატიკის მეცნიერებათა დოქტორს **ბესარიონ დოჭვირს**.

მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა–მათემატიკის ფაკულტეტი, მოსკოვის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკური ინსტიტუტის ასპირანტურა. გამოქვეყნებული აქვს 150 სამეცნიერო ნაშრომი და 12 სახელმძღვანელო.

ბატონი ბესარიონის კვლევის სფეროს წარმოადგენს ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, კერძოდ, შემთხვევითი პროცესების ოპტიმალური გაჩერების თეორია, სტოქასტური ფინანსური მათემატიკა.

მას მონაწილეობა აქვს მიღებული 50 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. არის ადგილობრივი და უცხოური საზოგადოებებისა და ასოციაციების წევრი. აღზრდილი ჰყავს მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორები, მათ შორის – სამი უცხოელი.

1964 წლიდან დღემდე მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სხვადასხვა წლებში კი მუშაობდა გერმანიის ქ. ბერლინის უმაღლეს ეკონომიკურ სკოლაში, ქ. იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტში, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სტოქასტური ანალიზის ს/კ ლაბორატორიის გამგე, საქართველოს ბანკების ასოციაციაში – მთავარი კონსულტანტი, აგრეთვე რამდენიმე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების თანამშრომელი.

ბესარიონ დოჭვირი დაჯილდოვებულია ივანე ჯავახიშვილის მედლით და ღირსების ორდენით.

ბატონი ბესარიონი გახლდათ ერთერთი ორგანიზატორი საერთაშორისო კონფერენციებისა ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკაში, რომელიც რეგულარულად ტარდებოდა დაბა ბაკურიანში. მან თსუ-ის სპორტულ კლუბში ჩამოაყალიბა სამთო მოთხილამურეთა გუნდი. მისი ინიციატივით დაბა ბაკურიანში 80-იან წლებში რამდენჯერმე ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შეჯიბრება სამთო-სათხილამურო სპორტში. იგი იყო თსუ-ის გუნდის კაპიტანი და ჩემპიონი (იხ. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, 1980 წ., N13, გაზეთი „ლელო“, 1980 წ., N42). თსუ-ის რექტორისა და სპორტკლუბის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია მადლობის წერილები ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და სპორტკლუბის თავმჯდომარისგან.

ბესარიონ დოჭვირი თანამშრომლებში სარგებლობს პატივისცემითა და სიყვარულით. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობაში წარმატებებს.

ბოლოს გვინდა გაგაცნოთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2012-2013 სასწავლო წლის პირველკურსელთა განცხადება, რომელსაც ხელს აწერს 28 სტუდენტი: „სტუდენტობა ბედნიერებაა“.ჩვენ კი ორმაგად ბედნიერები ვართ, რადგან ეს ძვირფასი წლები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა გავატაროთ. ეს უძველესი ცოდნის ტაძარი დღესაც განათლების შუქურაა, სადაც უამრავი პროფესორ-მასწავლებელი დგას ჩვენი განათლების სადარაჯოზე. ისინი ჩვენთვის ერთი შეხედვით უინტერესო საგნებს საინტერესოდ წარმოგვიდგენენ და განათლების უკიდეგანობაში გვახედებენ. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სტატისტიკის პედაგოგი, სტუდენტებისადმი კეთილგანწყობილი და გულისხმიერი, ბატონი ბესარიონ დოჭვირი, რომელიც მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა. შეუძლებელია არ შენიშნოთ, როგორ იხარჯება ყოველ ლექციაზე, როგორ უყვარს და ესმის მისი საგანი. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ასე შევიყვარეთ და ადვილად ავითვისეთ სტატისტიკა. დიდ მადლობას ვუხდით ბატონ ბესარიონს და გამოვხატავთ ღრმა პატივისცემას მისდამი“.

ვფიქრობთ, ეს განცხადება პედაგოგის ღვაწლის დაფასების საუკეთესო ნიმუშად გამოდგება.

ელიზბარ ნადარაია
ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი

| გახსენება |

თითქოს, მელოდია იყო მისთვის ყოველი ექსპერიმენტი

1972 წელს უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტს კიდევ ერთი მომხიბლავი სტუდენტი გოგონა — მედეა სიხარულიძე შეემატა. მან ბირთვული ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიიდან განვლო გზა უფროს მეცნიერ თანამშრომლამდე. „მამაკაცური ხელი და მამაკაცური აზროვნება“ — ასე ახასიათებდა მედიკოს ლაბორატორიის ხელმძღვანელობა და, მართლაც, მის ნაზ ხელს, დასმული ამოცანიდან გამომდინარე, შეეძლო უკანასკნელ ჭანჭიკამდე დაეშალა და კონსტრუქციული ცვლილებები შეეტანა ისეთ რთულ სამეცნიერო დანადგარებში, როგორიცაა მას-სპექტრომეტრები, ქრომატოგრაფები, სპექტრული ანალიზატორები და სხვ. უზომოდ უყვარდა თავისი საქმე, თითქოს მელოდია იყო მისთვის ყოველი ექსპერიმენტი, ბავშვივით ეფერებოდა თითოეულ ხელსაწყოს და სხვებისგანაც იმავეს მოითხოვდა. მისი გარდაცვალების დღეს სათუთად გადავშალეთ ლაბორატორიის ჟურნალი, რომელშიც მედიკო კვლევებთან დაკავშირებულ ჩანაწერებს აწარმოებდა. მათი უმრავლესობა გაკეთებულია ღამის პირველის ნახევარზე!

ყველაფერში მაქსიმალისტი, გულში უზომო სიყვარულის მატარებელი, მხიარული, მაგრამ ყველას დარდის მოზიარე — ასეთი გვახსოვს ყველას მედეა სიხარულიძე.

ბედმა მწარე გამოცდის წინაშე არაერთხელ დააყენა, მისმა მგრძნობიარე გულმა უამრავ ტკივილს გაუძლო, რომელსაც განიცდიდა ყოველ წამს და ყოველ წუთს. 25 წლის ასაკში ტრაგიკულად — ავტოკატასტროფაში დაეღუპა მეუღლე, ასევე ავტოკატასტროფით დაეღუპა დედა, სრულიად ახალგაზრდა ასაკში მოულოდნელად გარდაეცვალა დის შვილი... ყოველივე ეს მხოლოდ ოჯახის და ნათესავების ტრაგედია არ იყო, ეს ყველა ჩვენგანის გულისტკივილი იყო, რადგან მედიკოს თბილი ბუნებიდან გამომდინარე, იგი თითოეული თანამშრომლისა და მეგობრის ოჯახის წევრი იყო.

სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, ეროვნული მოძრაობის პირველივე დღიდან სიცოცხლის ბოლო წუთამდე პირველ ხაზზე გახლდათ, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თანამოაზრე და გვერდით მდგომი, მუდამ უკომპრომისო და შეუპოვარი, ბობოქარი სული — ასეთად დარჩება მედიკო მეგობრების ხსოვნაში. მეგობრობის ნიჭი — ეს ბუნების საოცრებაა. სიმდიდრე კარგია, ჯანმრთელობა უკეთესი, ოღონდ იმას ვერ შეედრება, როცა ბევრ მეგობარს გულწრფელად უყვარხარ.

მედეა სიხარულიძემ კიდევ ერთი მოქალაქეობრივი, მამულიშვილური გამოცდა ჩააბარა მაშინ, როდესაც დედა-უნივერსიტეტი საკუთარი სახის, საკუთარი ისტორიის წინაშე აღმოჩნდა; იგი დადგა იმათ წინა რიგებში, ვინც გადაწყვიტა წინ აღდგომოდა ეროვნულ უნივერსიტეტზე ძალადობის ამ ავადმოსაგონარ შემთხვევას და ამ პერიპეტიებმაც, ცხადია, მძიმე კვალი დააჩნია მის ჯანმრთელობას...

ამქვეყნად იმაზე საამო საცქერი არაფერია, როგორ შეაბერდებიან ხოლმე ერთმანეთს მეგობრები და როგორ არ ბეზრდებათ ერთმანეთში სულ ახალ-ახლის შემჩნევა და აღმოჩენა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ მოესწარი ჩვენო მედიკო... უმეგობროდ შეიძლება გაძლო კიდეც, მაგრამ თუ მედეასნაირი მეგობარი გყოლია, მას ვერასოდეს დაივიწყებ.

დამძიმებული გულით დავამთავრეთ ამ წერილის წერა, შენ უკვდავებაში გადადიხარ, ჩვენ — შენს ხსოვნას გავუფრთხილდებით!

ბირთვული ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ყოფილი და ახლანდელი თანამშრომლები

ვინ გასცა ექვთიმე თაყაიშვილის შინაპატიმრობის ბრძანება? — კითხვა, რომელზე პასუხიც გამოძიებამ უნდა გასცეს

18 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის ორგანიზებით აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა, სადაც წარმოდგენილი იყო ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ექსპონატები: ექვთიმე თაყაიშვილის პირადი წერილები, ფოტოები, დოკუმენტები, მის მიერ გამოცემული წიგნები. ღონისძიებაზე თსუ-ის მუზეუმში, საქართველოს ეროვნული არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საარქივო-დოკუმენტური მასალა გამოიფინა.

გამოფენა თსუ-ში

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენა და შეაფასა უნივერსიტეტის ერთერთი დამაარსებლის, დიდი მეცნიერის, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესად წოდებული და მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ექვთიმე თაყაიშვილის (ღვთისკაცის) ამაღელვებელი ისტორია.

„თითოეული ერის ისტორიაში არიან გამორჩეული ადამიანები, მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისეთ პიროვნებას, როგორიც არის დიდი ექვთიმე თაყაიშვილი. ადამიანი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა, პრაქტიკულად, ანარეკლია იმ პერიოდისა, რაც განვლო ჩვენმა ქვეყანამ — დაწყებული XX საუკუნის დასაწყისიდან შუა პერიოდამდე. ეს არის დრო, როდესაც საქართველომ მოიპოვა და დაკარგა დამოუკიდებლობა, სწორედ მაშინ გამოჩნდნენ ადამიანები (რეალურად არცთუ ისე მრავალრიცხოვანი), რომლებსაც სწამდათ საქართველოს მომავლის და ამიტომ თავს ვალდებულად თვლიდნენ შემოენახათ ის, რაც ამ ქვეყნის განუყოფელი ნაწილია. ექვთიმე თაყაიშვილის სახელი უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი უნივერსიტეტის შექმნასთან, ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან. რაც მთავარია, მისი ცხოვრების ბოლო პერიოდი დაკავშირებულია თსუ-სთან. აქ დამსწრე საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი მისი ღვაწლი, მაგრამ საკვლევი და გამოსამზეურებელი საარქივო მასალები კიდევ არსებობს, ამიტომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ამ კუთხით კვლევა გაგრძელდეს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა ნათელი გახდეს იმ ისტორიის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანასთან, მის წარმომადგენლებთან, ისინი ხომ ფიქრობდნენ მომავალზე და ქვეყანაზე, დედაუნივერსიტეტზე“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

საექსპოზიციო სივრცე საზოგადოებას თსუ-ის მუზეუმის დირექტორმა მაია გურაბანიძემ წარმოუდგინა. მისი თქმით, ექსპოზიციაზე მუშაობის პროცესში ხელახლა გაიარა ამ ადამიანის ცხოვრებამ, მისმა მრავალმხრივმა მოღვაწეობამ, რომელსაც ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის თავისი ქვეყნის წინაშე.

„ექსპოზიცია ასახავს ყველა იმ სფეროს, სადაც მოღვაწეობდა ექვთიმე თაყაიშვილი. აქ არის მიმოწერა პოლიტიკოსებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან. არ ყოფილა

იმ პერიოდში არც ერთი დიდი ეროვნული საქმე, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღია მას. ძნელია ასე აქტიურ ცხოვრებას შეუფარდო ის ქრისტიანული და მორალური ღირებულებები, რითიც მან იცხოვრა. ამის დასტურია მისი ანდერძი, რომელიც ისტორიამ შემოგვინახა და დღეს თსუ-ის მუზეუმშია დაცული“, — აღნიშნა მაია გურაბანიძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა საქართველოს ეროვნული არქივის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და თსუ-ის მუზეუმის თანამშრომლებს ექსპოზიციის ორგანიზებაში ხელშეწყობისთვის.

* * *

მრავალ ჭირგადანახად მეცნიერის სამშობლოში დაბრუნება და მისი ცხოვრების ბოლო წლები გაიხსენა აკადემიკოსმა **მარიამ ლორთქიფანიძემ**.

როგორც ცნობილია, როდესაც ექვთიმე გარდაიცვალა, მის სახლთან მდგომი „ჩეკისტები“ ხალხს პანაშვიდზე შესვლას უკრძალავდნენ. ზამთრის ცივ და ქარიან დღეს სამშობლოსთვის თავდადებული გმირი სასაფლაომდე 50-მდე გაბედულმა ადამიანმა მიაცილა, მათ შორის თავის მეგობრებთან ერთად მივიდა მარიამ ლორთქიფანიძეც.

„როდესაც ექვთიმე თაყაიშვილი პირველად ჩამოვიდა საქართველოში და განძი ჩამოიტანა, მას ხელისუფლებაც და ხალხიც დიდი პატივით შეხვდა. უნივერსიტეტში ლექცია დაინიშნა, მაგრამ იმდენი ხალხი მოვიდა, შეუძლებელი გახდა ამ ლექციის ჩატარება. მახსოვს, კორიდორები და ეზოც კი ხალხით იყო სავსე. იგი აღადგინეს უნივერსიტეტის პროფესორად, ასევე, აკადემიკოსად, შემდეგ კი რა მოხდა, ვეღარ გავიგეთ. ბოლო დროს იგი, ფაქტობრივად, შიდა პატიმრობაში იმყოფებოდა. ექვთიმე უკვე მწოლიარე ავადმყოფი გახლდათ, ორგანოში დასაკითხად რომ წაიყვანეს და როგორც ამბობენ, მას ხელითაც კი შეეხნენ. მეორე თუ მესამე დღეს კი გარდაიცვალა.

მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების თანამშრომლებისგან სასტიკი გაფრთხილება მივიღეთ, მე და ჩემი მეგობრები: ოთარ ჯაფარიძე, ტარიელ ჩუბინაშვილი და ნიკო ქანთარია პანაშვიდზე მაინც წავედით. საზიზღარი დღე იყო: ვიდექით თოვლჭყაპში, ქარში და სიცივეში და უკანასკნელ გზაზე ვაცილებდით ამ დიდ ადამიანს. 1953 წლის 23 თებერვალს სამგლოვიარო პროცესია, რომელსაც ორი პატარა ავტობუსით 50-მდე ადამიანი მისდევდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეჩერდა. პირველი ავტობუსის მძღოლმა მეორეს გადასძახა: რაღაც გაფუჭდაო, ყველა მიხვდა, რომ ავტობუსი „შემთხვევით“ არ გაფუჭდა. პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი — ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც ამ დღეს მიასვენებდნენ, შენობაში „არ შეუშვეს“ და მხოლოდ ამ ხერხით მოახერხეს უკანასკნელი პატივი მიეგოთ მისთვის (კარგი იქნება ძიება იმ მიმართულებითაც გაგრძელდეს, თუ ვინ გასცა ექვთიმე თაყაიშვილის შინაპატიმრობის ბრძანება, არსებობს თუ არა ამის შესახებ ოფიციალური დოკუმენტი, საინტერესოა აგრეთვე ვინ იყო ის პიროვნება, ვინც უნივერსიტეტის წინ ავტობუსის „გაფუჭების“ ბრძანება გასცა).

გასვენებაში აკაკი შანიძეც მობრძანდა, რომელსაც ხელში მისი წიგნი ეჭირა და მიცვალებულს მიმართა: ძმაო ექვთიმე! შენ არც მიტინგი გჭირდება, არც ძეგლი. შენი ძეგლი შენი წიგნები და შენი მოღვაწეობაა. ძალიან მწყინს, რომ ამ წიგნის რედაქტორი ვარ და ვერ მოვასწარი — სასიგნალო გამოცემა მაინც მეჩვენებინაო. ყველას ეგონა, რომ ასეთ სითამამეს აკაკი შანიძეს არ აპატიებდნენ, მაგრამ იმ პერიოდში სტალინი გარდაიცვალა და ეს ამბავი დავიწყებას მიეცა.

რომ გითხრათ, ჩვენ არ გვეშინოდა, ტყუილი იქნება, მაგრამ სხვანაირად ვერ მოვიქცეოდით, რადგან კარგად გვესმოდა — ასეთი პიროვნებები საქართველოს თითზე ჩამოსათვლელი ჰყავდა“.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ყოფილი რედაქტორის გივი შეყილაძის მოგონებიდან

1967 წელს ლიხაურში მიამბო ექვთიმეს დის, ელისაბედის (ლისას) შვილიშვილმა ელენე გოთუამ: 1953 წლის თებერვლის ცივი დღეა, ორმოცდაათამდე კაცმა ვაშლოვანის ქუჩიდან ვაკის სასაფლაომდე მიაცილა ექვთიმეს ცხედარი. საფლავს რომ მივუახლოვდით, ბატონი აკაკი შანიძის ხელში დიდი ჩაქუჩი დავლანდე, გაკვირვებულმა მორიდებით ვკითხე: რათ გინდათ? - მალე გაიგებო, — მიპასუხა. მესაფლავეებმა მიწა მიაყარეს ცხედარს, უკან ვბრუნდებით, ბატონი აკაკი დარჩა და საიდანღაც ორი გრძელი რკინის მილი მოიტანა, ჩაქუჩით ჩააჭედა ფხვიერ მიწაში.

— ახლა დამშვიდებით გეთხოვები, ექვთიმე, ძმაო, — ბუტბუტებდა, — სანამ ცოცხალი ვარ, შენი საფლავი აღარ დაგვეკარგება.

ექვთიმე თაყაიშვილის ერთადერთობა ტაბუდადებულ ლეგენდად ცოცხლობდა და ახალთაობიდან საუკეთესოთ მისი დიდი ღვაწლის გამოსააშკარავებლად უხმობდა. ეს იმ წლებში ძალზე საშიში და სახიფათო იყო, ამას გაბედვა სჭირდებოდა და ჭეშმარიტების ახალგაზრდა მაძიებელნი რისკის საფასურად ბედავდნენ კიდეც. ამის დასტურია ამონარიდი ქალბატონ გიული ნიგურიანის მოგონებიდან: „სტუდენტი როინ მეტრეველი მივიდა ვაშლოვანის ქუჩაზე ლიდია პოლტარაცკაიასთან (ექვთიმეს ცოლისდასთან) და სთხოვა მასალები ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ. ლიდიამ მაშინვე ეს ამბავი დეიდაჩემს, ნინო ნიჟარაძეს ამცნო, თან ჰკითხა, როგორ მოქცეულიყო. კარგად მახსოვს, პირველი, რაც ლიდიამ თქვა: „Пришел из университета студент молодой, красивый и просит материали... Бедный, неужели не боится, его могут арестовать“.

სწორედ როინ მეტრეველია თანატოლ შოთა ბადრიძესთან ერთად დიდი მამულიშვილის პირველი ბიოგრაფიული წიგნის ავტორი.

ასეთი მოგონებებით ფიქრმოძალებული ექვთიმე თაყაიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის საძიებლად მივეშურები ლარსის ქუჩის პირველ ნომერში, ექვთიმეს ძმის შთამომავალთან ჯანიკო სანიკიძესთან (მადლობა მას გულისხმიერებისათვის) და თაყაიშვილის ქუჩის ოთხ ნომერში დის შთამომავალთან — ლალი თოფაძესთან. სწორედ აქ შევიგრძენი ის, რამაც ამ ჩანაწერის მთავარი სათქმელი დაბადა — „თაყაიშვილის ქუჩაზე ნინო პოლტარაცკაიას (ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე) სული ტრიალებს!“

ქალბატონმა ლალიმ მიმიყვანა ნინოს ნახატებთან. კედლიდან გადმოღვრილმა სიმშვენიერემ გამაოცა: რა დიდებული მხატვარი ყოფილა ექვთიმე თაყაიშვილის ნაადრევად გარდაცვლილი მეუღლე.

მკითხველს ვთავაზობთ ამ ნახატს და აქვე დავძენ, რომ იგი პირველად ქვეყნდება.

მოამზადა **შურთხია ბერეშვილმა**

ნინო პოლტარაცკაიას ნახატი „წელიწადის დრონი“ — „ზაფხული“

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11° (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ნოდარ ბელქანია, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური	tsunewspaper@tsu.ge
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		2 22 36 62
ფოტოკორესპონდენტი	ანა ბოლქვაძე		
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი		